DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Zakaraia,P. / ზაქარაია,პ. / Закараиа, П. П.
- Title: ნაქალაქარი გრემის არქიტექტურა / Архитектура городница Греми
- Publication Date: 1975
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_83b6c9182d

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

Ე. ᲜᲐᲥᲐᲠᲐᲘᲐ



ნაქალაქარ
ბრიმის
არქიტექტურა

IVE
3292

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

პ. ზაქარაია

ნაქალაქარი გრემის არქიტექტურა

17953

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1975

[illegible]

72(C41)1
72(47.922)(09)
ზ 391

წინამდებარე ნაშრომში პირველადაა განხილული კახეთის ძველ დედაქალაქ გრემსა და მის მიდამოებში ხანგრძლივი ძიებით მიკვლეული მასალა. ძირითადს წარმოადგენს ის ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრებით იყო გამოვლენილი, ამასთანავე, დიდი ადგილი აქვს დათმობილი მიწისზედა ნაგებობებსაც. ბევრი მათგანი უნიკალურია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით პირდაპირი ანალოგიები არ მოეპოვებათ. აქ წარმოდგენილი ძირითადი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოები თავსდება XV—XVII საუკუნეებში.

ნაშრომს უშუალოდ დაინტერესებულ მკვლევარებს გარდა, გამოიყენებენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის სათანადო სპეციალობათა სტუდენტები.

წიგნს დართული აქვს მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

ზ 80102
M607(03)—75 205-75, © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975 წ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გრემი ეკუთვნის იმ ნაქალაქართა რიცხვს, რომლებიც მტრის ხელით იქნა დანგრეული და შემდეგში სისხლსავსე ცხოვრება იქ არ გაგრძელებულა (ტაბ. I—V). სამწუხაროდ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ისე მომრავლდა ნასოფლარ-ნაფუძარები და ნაოხარ-ნაქალაქარები, რომ სიცოცხლე მხოლოდ აქა-იქღა კიაფობდა[1]. საუკუნეების განმავლობაში გრემის ნაქალაქარის ნანგრევები ყოველ მნახველზე შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა და მწარე ფიქრებს აღუძრავდა. ამ მხრივ საინტერესოა ის ცნობა, რომელიც მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძემ დაგვიტოვა.

XVII ს. შუა ხანებში ქალაქი უკვე მიტოვებული და დანგრეული ყოფილა. მემატიანე აღწერს როსტომ მეფის კახეთში მოგზაურობის ამბავსა და იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მეფეზე ქალაქის ნანგრევებს მოუხდენია. იგი წერს: „მეფე... გრემს მივიდა, იქ მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეულ ვნახეთ, უკარო და უჭერო ნადირთ სადგომ-ქმნილნი. რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს უბრძანა: „ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი გვითხარო:“ მანაც ეს ლექსი მოახსენა. ასე თქვა:

„მღვთის მეცმ ყური მათხოვეთ, გრემის სასახლის ქებაო,
ვისაც გენახოს, ეს ასრე რად გული დაგედებაო.
ესე სოფელი ცუდია, არვის გასთავდებაო,
და ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო“[2].

---

[1] საქართველოს გვიანფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. ამ ხანის ნაქალაქარებიდან კი შესწავლის პირველი ობიექტი გახდა გრემი. მის ტერიტორიაზე ხუთი წლის ინტენსიურმა მუშაობამ მეტად საინტერესო ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვადასხვა ხასიათის დიდძალი არქეოლოგიური მასალა გამოავლინა.

[2] ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, როსტომ მეფის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 321.

ჩვენი ექსპედიცია გრემს რომ ჩავიდა, ნაქალაქარი უფრო გაპარტახებული და გავერანებული დახვდა (სურ. 1.). შედარებით უკეთ გამოიყურებოდა გორაზე აღმართული მთავარანგელოზის ანსამბლი. საჭირო იყო დიდი ხნის დაძაბული მუშაობა, რომ როგორმე მცირედ მაინც აგვემეტყველებინა მიწის წიაღში დარჩენილი ნაშთები.

გრემის გათხრების სხვადასხვა კამპანიების წინასწარი შედეგები მოხსენებების სახით გატანილ იქნა როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო არქეოლოგთა სესიებზე[3], ამასთანავე, სხვადასხვა ხასიათის სტატიები დაიბეჭდა გაზეთებშიც[4]. არქიტექტურულ ნაგებობათა მთლიანი განხილვა კი მხოლოდ ამ ნაშრომში განხორციელდა.

ნაქალაქარი გრემის შესწავლა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებამ წამოიწყო 1963 წელს. ჩვენი ხელმძღვანელობით ექსპედიციამ ჩაატარა ხუთი კამპანია. პირველ წელს ვიმუშავეთ მხოლოდ ერთი თვე, მეორე წელს — ორი თვე, დანარჩენ წლებში კი თვენახევარ-თვენახევარი. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: უფრ. მეცნიერ თანამშრომლები— ლ. ჭილაშვილი (ხელმძღვანელის მოადგილე), ვ. ცისკარიშვილი (რაზმის უფროსი). ნ. ქანთარია (მონაწილეობდა 1965 წლიდან), ი. კიკვიძე (მონაწილეობდა 1964 წელს), ვ. გამრეკელი (მონაწილეობდა 1965 წელს), ვ. ლექვინაძე (მონაწილეობდა 1965 წელს), უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები — გ. კიკნაძე (მონაწილეობდა 1966 და 1967 წლებში), ლ. გვრიტიშვილი (მონაწილეობდა 1966 წელს) და ლაბორანტი რ. ერისთავი (მონაწილეობდა 1964 წელს).

ძეგლების ფიქსაციაზე მუშაობდნენ არქიტექტორები — ფ. ქუფარაშვილი (მონაწილეობდა 1963, 1964 და 1966 წლებში), თ. თოდუა (1965 წ.) და ე. კაპერსკი (1967 წ.).

ფოტოგადაღებებს ძირითადად ჩვენ ვაწარმოებდით, მაგრამ ამ მხრივაც საკმაო დიდი მუშაობა ჩაატარეს ლ. ჭილაშვილმა და თ. თოდუამ.

---

3 პ. ზაქარაია, ლ. ჭილაშვილი, გრემის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967 წლის მუშაობის ანგარიში. საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიის საპრობლემო სამეცნიერო საბჭო და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1967 წ. სესიის თეზისები, თბილისი, 1968.

4 პ. ზაქარაია, ლ. ჭილაშვილი, გრემის წარსული დიდება, გაზ. „კომუნისტი“, 1967, 11 იანვარი: რას მოგვითხრობენ გრემი და ნოსტე, 1968, 3 აგვისტო.

ექსპედიციას პირველ წელს ფაქტიურად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში გავლებულ იქნა საცდელი თხრილები, წამოვიწყეთ ქულბაქების ტერიტორიის გათხრები და გაიწმინდა რამდენიმე დიდი და პატარა ეკლესია. ამავე დროს დამთავრდა ამ ეკლესიების აზომვა და ფოტოფიქსაცია.

მეორე წელსაც ძირითადი მუშაობა მიმდინარეობდა ნაქალაქარის იმავე მონაკვეთში. პირველი უბანი გავხსენით ქულბაქების ტერიტორიაზე, მეორე — მასთან ახლოს ე. წ. „თარსა გალავანში“, ხოლო მესამე უბანი დავუკავშირეთ „სამების“ ციხის შესწავლას. მართალია, ეს ციხე არ მდებარეობს უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მაგრამ მას დაჰყურებს მაღალი მთიდან და უდავოდ მის დაცვაში აქტიურად მონაწილეობდა.

მესამე კამპანია (1965 წ.) ყველაზე დიდი მასშტაბისა გამოდგა, რადგან გათხრებში მონაწილეობა მიიღეს გზის მშენებლებმაც[5]. ამ სეზონში მუშაობა დიდი ტემპით წარიმართა ნაქალაქარის ვრცელ ტერიტორიაზე. მუშაობა გაგრძელდა ადრევე დაწყებულ მონაკვეთზე და პარალელურად უბნები გაიხსნა მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში, ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთზე. სწორედ ამ უკანასკნელმა მონაკვეთმა შესანიშნავი შედეგები მოგვცა. გათხრებით მიკვლეულ იქნა მეფეთა სასახლეები, შადრევნიანი პავილიონი, ე. წ. აკადემიის დიდი შენობა და მრავალი სხვა ნაგებობის ნაშთები.

ამ გათხრებით დადასტურდა ის გუმანი, რომელიც მცირე ისტორიულ ცნობაზე და საერთო სიტუაციაზე იყო დამყარებული;

---

5 პროექტის მიხედვით მდ. ინწობაზე ხიდი გათვალისწინებული იყო იმავე ადგილას, სადაც ამჟამადაა, მაგრამ ხიდი მდ. ბოლიანზე კეთდებოდა მაღლა და გზატკეცილი უვლიდა მთავარანგელოზის ანსამბლს ჩრდილო-დასავლეთიდან. გზა ჭრიდა ჭედს და გაივლიდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, გრემის მთავარანგელოზის ანსამბლი ჰქმნის იშვიათ ლამაზ მხატვრულ კომპოზიციას იმ გორაკთან ერთად, რომელზედაც ისაა აღმართული. შედგენილი პროექტის მიხედვით ზიანდებოდა ნაქალაქარი და ამ საუკეთესო სანახაობას ეკარგებოდა თავისი მიმზიდველობა. ჩვენ შევთავაზეთ რამდენიმე ვარიანტი, რომ გზა და ხიდიც მოეშორებინათ ამ ანსამბლისათვის, მაგრამ ვერ განხორციელდა, რადგან ამ ხიდთან თავს იყრიდა რამდენიმე სოფლიდან მომავალი გზა. პროექტის ავტორებმა შემდეგში შეადგინეს ახალი ვარიანტი, რომელიც თითქოს უფრო მომგებიანი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამან გაამართლა იმედები; ანსამბლის ძირთან გზის ამაღლებამ მთა დაადაბლა და საერთო ხედს ნაწილობრივ მაინც დაუკარგა პირვანდელი მიმზიდველობა.



სურ. 1. ნაქალაქარი გრემი. გეგმა.

სწორედ ეს მხარე აღმოჩნდა განკუთვნილი მეფე-დიდებულთა საცხოვრებლად.

ამის შემდეგ ექსპედიციისათვის უკვე დადასტურებულად ითვლებოდა ის შეხედულება, რომ ქალაქი გრემი შედგებოდა სამი მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. ცენტრში გორაკზე მოთავსებული იყო მთავარანგელოზის ტაძრის ანსამბლი, რომელიც იმავე დროს ციტადელის როლსაც ასრულებდა და იქვე იყო მეფეთა პირველი პალატი. როგორც აღვნიშნეთ, მეორე დიდ ნაწილს შეადგენდა პატარა მდინარე ბოლიას გაღმა მდებარე ტერიტორია, სადაც განლაგებული იყო მეფე-დიდებულთა საცხოვრებელი. მესამეს და ყველაზე ხალხმრავალს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთი, რომელიც ქალაქის სავაჭრო კვარტალი ყოფილა. მთლიანად ქალაქს კი ორმოცდაათ ჰექტარამდე ფართობი ეკავა.

მომდევნო 1966 წელს ექსპედიცია ძირითადად მუშაობდა მეფე-დიდებულთა უბანზე და მოასწრო წინა წელს წამოწყებულ ნაგებობათა გაწმენდა. ამავე დროს იქვე გამოვლენილ იქნა ახალი ობიექტები.

ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთზე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის ნაშთი გავხსენით და გაითხარა დიდი გვირაბი მისი მიმდებარე ტერიტორიით.

ექსპედიციის მეხუთე კამპანია ძირითადად მოვანდომეთ სავაჭრო კვარტალს, სადაც დამთავრდა ქულბაქების გვერდით მდებარე ქარვასლის გათხრები. ამასთანავე გაითხარა იქვე შორიახლო მდებარე დიდი აუზი და სხვა ობიექტებიც, ხოლო მეფე-დიდებულთა კვარტალში გაუთხრელი ტერიტორია დავსერეთ საძიებო თხრილებით, მაგრამ ახალი ობიექტი არ აღმოჩენილა.

როგორც ყოველი კამპანიისას, ისე ახლაც ვაგრძელებდით გრემის მიდამოების შესწავლას და რამდენიმე ახალი ობიექტი იქნა გაწმენდილი და ფიქსირებული.

დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში. აქ ყველა ადგილი, რომელიც კი ნაგებობებისაგან თავისუფალი იყო, გაითხარა და შესწავლილ იქნა.

რადგანაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გასათხრელი ობიექტები მეტი არ იყო, მისი არქეოლოგიური შესწავლაც შეწყდა.

ნაქალაქარის ტერიტორიის სრულყოფილი ფიქსაციის მიზნით მისი დასავლეთის მონაკვეთის ტოპოგეგმა დავამზადებინეთ გათხრების დაწყებამდე (1961 წელი, ტოპოგრაფი ნ. ვარაზიშვილი),

ხოლო ახლად გამოვლენილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთი აიზომა გათხრების მიმდინარეობის პროცესში (ტოპოგრაფი რ. ატოიანი, 1966 წ.). ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა და არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილ ნაგებობათა ნაშთები დატანილ იქნა ამ ტოპოგეგმებზე.

ნაგებობათა აზომვებს აწარმოებდნენ ზემოთ ჩამოთვლილი არქიტექტორები. შემდეგში მასალების კამერალურად დამუშავების დროს თითოეულმა მათგანმა თეთრად გამოხაზა საკუთარი ანაზომები, რომელთა დიდი უმრავლესობაც ამ წიგნშია მოთავსებული[6].

---

6 წიგნში მოთავსებული ნახაზები შესრულებულია შემდეგი არქიტექტორების მიერ: ფ. ჭუფარაშვილის — სურ. №№ 16, 23, 24, 25, 26, 27, 29, 30, 31, 32, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50; თ. თოდუას — სურ. №№ 18, 19, 20, 21, 24, 25, 33, 37, 38, 39, 51, 55, 56; ე. კაპერსკის — სურ. №№ 14, 15, 34, 35. 36, 40, 41, 42, 52, 53, 58, 59; ვ. წილოსანის — სურ. №№ 3, 4, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, (აზომილია 1949 წ.); ნ. სევეროვის—სურ. №№ 5, 6, (შესრულებულია 1924 წ.), № 57 (შესრულებულია 1923 წ.).

თ ა ვ ი I

ქალაქ გრემს, რომელიც თავის დროზე ხალხმრავალი და მდიდარი იყო, დიდი და საინტერესო ისტორია ექნებოდა, მაგრამ, როგორც ეს ჩვენს სინამდვილეში ხშირადაა, ცნობები მეტად მცირედაა შემორჩენილი, სამეცნიერო ლიტერატურა კი საკმაოდ ბევრია.

ქალაქის ისტორია და ლიტერატურის მიმოხილვა

გრემის ქალაქად გადაქცევაზე ერთადერთი ცნობა მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს. იგი წერს: „საბუე-გრემის... წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუჯვ, და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდნენ მუნ. აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოჯრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, მთავარ-ანგელოზთა, და არს ე (ე. ი. მეხუთე—პ. ზ.) მეფე ლევან დაფლული მას შინა“[1].

როგორც ვხედავთ, ვახუშტის ქალაქის დაარსებისა და დაბგრევის დრო და მიზეზები კარგად სცოდნია, მხოლოდ მას ჩვეულებისამებრ ყველაფერი მოკლედ და ლაკონიურად აქვს ნათქვამი. მის მიხედვით ქალაქი დაარსებულა 1466 წელს, ხოლო დაუნგრევია შაჰ-აბასს. ცხადია, შაჰ-აბასის შემოსევებიდან იგულისხმება 1614 და 1616 წლების შემოსევა.

ქალაქის დაარსება უშუალოდ დაკავშირებულია იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან, რომელიც შეიქმნა XV საუკუნის საქართველოში.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 99—100. ვახუშტის მიერ მოწოდებული თარიღი გრემის დაარსების შესახებ მიღებულია ისტორიკოსების მიერ; Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, стр. 101.

ასეული წლების განმავლობაში გამუდმებულმა ომებმა ქვეყანა დაასუსტა. შეუძლებელი შეიქნა ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი ბრძოლის წარმოება ყოველმხრივ მოძალებული მტრების წინააღმდეგ. მეტად რთული სიტუაცია იყო XV ს. შუა ხანებში. არ იქნა და ვერ დააწყნარეს ყვარყვარე ათაბაგი, რომელიც არ მოერიდა ირანის შაჰის გამოყენებასაც ისედაც ძალაგამოცლილი გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. მათ გაერთიანებული ძალით 1462 წელს მეფე დაამარცხეს. ამ დამარცხებით სხვებმაც ისარგებლეს. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩეოდა ბაგრატი, რომელიც „სამოქალაქოს“, ანუ ქუთაისის ოლქის ერისთავი იყო. გიორგი მეფე ბაგრატთან ბრძოლის დროსაც დამარცხდა 1463 წ. მართალია, ჩიხორთან ამ გამარჯვების შედეგად ბაგრატმა ქუთაისი მაინც ვერ დაიპყრო, მაგრამ სხვა მხრიდანაც შემოტევები არ ცხრებოდა. ყვარყვარემ ხელახლა წამოიწყო ბრძოლა და 1465 წელს მეფე ტყვედ წაიყვანა. ასეთი ხელსაყრელი მომენტით ბაგრატმა დაუყოვნებლივ ისარგებლა და ქართლი დაიკავა. ტყვეობიდან განთავისუფლებული გიორგი მეფე შეებრძოლა ბაგრატს, მაგრამ მას აქ უკვე საკმაო მომხრეები გაეჩინა და მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. ბრძოლის გაგრძელებას მან გაცლა ამჯობინა და კახეთს გადავიდა. აი, ამ მომენტიდან იწყება კახეთის სამეფოს ისტორია და იქვე იღებს სათავეს ბაგრატიონთა კახეთის შტო[2].

გიორგი მეფემ კახეთში რომ დაისადგურა, ერთი შეხედვით ყველაზე უპრიანი იქნებოდა მას ცენტრად თელავი აერჩია. სწორედ აქ იყო ადრეც კახეთ-ჰერეთის სამეფოს დედაქალაქი. მართალია, მან დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს გაერთიანების შემდეგ დაჰკარგა თავისი პრიორიტეტი, მაგრამ მომდევნო ხანაშიც სხვებზე ცნობილი პუნქტი მაინც თელავი იყო.

სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა გრემის ამაღლების ნამდვილი მიზეზები. ამ კითხვაზე პასუხი არც გათხრებმა მოგვცეს. ჩვეულებრივ, როდესაც დასახლებული პუნქტის თანდათანობით გაძლიერებას დაერთვის სხვა გარეშე პირობებიც, მაშინ ხდება ადვილის ქალაქად გადაქცევა. როგორც აღვნიშნეთ, გრემი არც ისტორიული ცნობებით და არც მიწის წიაღის მონაცემებით არ იყო ასეთი გაძლიერებული პუნქტი. საქმეს ამ მხრივ ვერ შველის ვერც ის მცირე მონაცემები, რომლებსაც გათხრების დროს მივაკვლიეთ.

---

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 90—92, 114; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, 1, თბილისი, 1958, გვ. 260—263.

ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთში, ქულბაქების ჩრდილოეთით, მთის ფერდობთან აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი და რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასეულის დასაწყისით თარიღდება. ასევე, აღსანიშნავია მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში აღმოჩენილი XII—XIII სს. კერამიკა. ერთიც და მეორეც რაოდენობით იმდენად უმნიშვნელოა, რომ აქ დიდი სამოსახლოს არსებობაზე სულაც არ მეტყველებს, რაც შეეხება ისევ XII—XIII სს. კერამიკის აღმოჩენას მთის წვერზე მდგარი „სამების“ ციხე-დარბაზის ეზოში, თავისთავად იქ ცხოვრებაზე მიუთითებს და არაკონკრეტულად—ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

ქალაქის გაჩენის სხვა მიზეზებიც არსებობს. აქ მხედველობაში გვაქვს მეფის ბრძანება, როგორც ამას ვხედავთ ატენის სიონის წარწერაში.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ XI ს. სამოციანი წლების ატენის წარწერას მხოლოდ ნაწილობრივ მოვიყვანთ. მეფე ბაგრატ IV-ს ატენში ქალაქის აგება უბრძანებია, რაზეც შემსრულებელი გვიყვება: „მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს... მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ... ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი...“[3]

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ წარწერის განხილვისას აღნიშნავს: „წარწერიდგან ირკვევა, რომ ქალაქის შენებაჲ ანუ დაბის ქალაქად ქცევა, მარტო სტიქიური და ბუნებრივი, თანდათანი ზრდის შედეგი კი არ იყო ხოლმე, არამედ შესაძლებელია ქალაქი ერთდროულადაც, მთავრობის განკარგულებით, მეფის ბრძანებითაც ყოფილიყო შექმნილი“[4].

შესაძლოა, რომ გრემშიც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, გიორგი VIII-ის კახეთში ფეხის მოკიდება და გამაგრება დაიწყო ალბათ ცენტრის შერჩევით. ასეთ ცენტრად მან გრემი ჩათვალა.

მეფე გიორგი VIII-მ კახეთში მალე მოახდინა მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. ამის თაობაზე ვახუშტი წერს: „მაშინ მოისპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა ვითარცა არიან დღემდე. მოურავი ჭიზიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყვარე-

---

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წ. I, თბილისი, 1946, გვ. 3.

[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ლისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა და განჰყო ოთხს სადროშოდ, ვითარცა აღვწერეთ და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა"[5].

კახეთის სამოურავოებად დაყოფა, ვახუშტის მიხედვით, მომხდარა XV ს. 70-იან წლებში[6]. ამ დროს გრემის მნიშვნელობას ალბათ ძირითადად განსაზღვრავდა არა სიდიდე, არამედ მისი დედაქალაქობა. როგორც ზემომოყვანილი ციტატიდან ჩანს, ჩვეულებრივ მოურავი იმ დროს ჰყავდა ამა თუ იმ მხარეს, ქალაქებიდან კი მხოლოდ გრემს, დედაქალაქს.

XV ს. ბოლოს იწყება კახეთის პოლიტიკური აღმავლობა და ეკონომიურად მოღონიერება, რაც მას აშკარად განასხვავებდა საქართველოს სხვა მხარეებისაგან. კერძოდ კახეთში შესამჩნევია მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარება. რაც შეეხება ქალაქებს, მათ განვითარებას ხელს უწყობდა სიახლოვე ამიერკავკასიაზე გამავალ სატრანზიტო გზასთან. საქალაქო ცხოვრების დონე თანდათანობით მაღლა იწევს. თავისთავად მხარისა თუ მისი ქალაქების განვითარებაში საკმაო როლს ასრულებდა საქართველოს სხვა კუთხეებიდან გამოქცეული გლეხობა, რომელიც აქ ღებულობდა თავშესაფარს. ამ პერიოდში გრემის გარდა კახეთის განთქმული ქალაქები იყო ბაზარი (ზაგემი), ყარალაჯი და თელავსაც არ ჰქონდა დაკარგული ეკონომიურად ღონიერი პუნქტის როლი.

კერძოდ, ამ პერიოდის კახეთზე ნ. ბერძენიშვილი წერს: «Из всех частей Грузии в XVI в. в лучших условиях находится Кахети. Природные условия Кахети для развития средневекового хозяйства были наилучшие. И близостью от большого пути Кахети XVI в. выгодно отличается от других частей Грузии. Гилян-Шамаха-Астраханский «шелковый путь» исстари являлся ареной для выгодной внешней торговли кахетинского феодального хозяйства... В выгодной внешней торговле вместе с феодалами в XVI в. участвует и кахетинский царь. Это явление, бесспорно, кладет отпечаток на характер внутренней и внешней политики кахетинского двора.

---

5 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ზ. ჟიჟინაძის გამოცემა, თფილისი, 1913, გვ. 158; ნ. ბერძენიშვილი, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XIV вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 95.

6 სხვა მონაცემებითაც მტკიცდება, რომ XV ს. ბოლოსათვის კახეთის სამოურავოებად დაყოფა მომხდარი ფაქტია.

Предметами внешней торговли Кахети являлись: вино, шелк, ковры, златотканные материи, кони, овцы, красильные растения...

Кахети XVI века — экономически самая сильная из всех частей Грузии страна»[7].

მიუხედავად იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო, მის ისტორიაზე მეტად ძუნწი ცნობები გვაქვს. უკეთ რომ ვთქვათ, ამ ცნობებში თვით ქალაქზე, მის ცხოვრებაზე და გარეგან სახეზე თითქმის არაფერია ნათქვამი. მაგალითად, ვხვდებით ცნობებს: შაჰ-შირვანის მპყრობელი ასანბეგი ურჩობდა, ლევან კახთა მეფემ შაჰი დალაშქრა, ასანბეგი ომში დაიღუპა, გამარჯვებული ლევანი კი გრემში ბრუნდება[8]; რენეგატი კონსტანტინე გრემში მდგარ მამას, ალექსანდრე მეფეს, მახარობელს უგზავნის 1605 წ.; ჩერქეზთ ბატონი 1589 წ. ალექსანდრე მეფეს გრემში ეწვია[9] და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილი მაგალითები და სხვებიც, თავისთავად, იმაზე მეტყველებენ, რომ ამ ხანებში გრემი დედაქალაქია, მაგრამ ჩვენი თემისათვის კონკრეტულად არაფერს გვაძლევენ.

კერძოდ, რაც შეეხება გრემის დანგრევას და ქალაქის მოსპობას, ეს დაკავშირებულია ისევ ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციასთან. შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრებასთან დაკავშირებული საკითხები რადგან ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლადაა გაშუქებული, ამიტომ აქ მას მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევეხებით.

ირანის შაჰი, XVI ს. ბოლოდან მოკიდებული, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოოდ მოთოკვას და იქ თავისი ხალხის დასახლებას. ამის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი წერს: „საქართველოს მიმართ შაჰ-აბასი ყველაზე თანმიმდევრული ყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებდა. საქართველოსა და თურქმან-ყიზილბაშებს შორის ორასი წლის მანძილზე მიმდინარე ბრძოლას შაჰ-აბასმა თავი მოაბა“[10].

---

[7] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 94.

[8] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 162—163.

[9] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება II, თბილისი, 1959, გვ. 383.

[10] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 266.

კახეთი მოჭარბებულ ძალებს ვერ უმკლავდებოდა და ერთმორწმუნე რუსეთს მიმართავდა თხოვნით. კახეთის ასეთი მოქმედება უფრო ახელებდა ირანის შაჰს. მან მრავალგვარი ღონე იხმარა კახეთის შემომტკიცებისათვის, მაგრამ როდესაც სასურველ მიზანს ვერ მიაღწია, 1614 და 1616 წლებში სასტიკი ლაშქრობები მოახდინა. კახელებმა უთვალავ მტერს ვერ აჯობეს. მართალია, მათ ბრძოლა წააგეს, მაგრამ დამპყრობლებმა ქართველთა გმირული და სამშობლოს დამცველთა წინააღმდეგობა კი ვერ აღმოფხვრეს.

დანაკლისი მეტად დიდი იყო; კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი დაიღუპა, ასიათასამდე ტყვე კი შიდა ირანში გადაასახლეს. სწორედ ამ ბრძოლებს შეეწირა კახეთის დედაქალაქი, აყვავებული გრემი. ამის შემდეგ ქალაქი ფეხზე არ წამომდგარა. იგი თანდათანობით უკაცრიელი ხდება და ბოლოს მთლიანად წყვეტს არსებობას... ასეთივე ბედი ეწია კახეთის მეორე დიდ ქალაქს ბაზარს (ზავემს). XVII ს. შუა ხანებისათვის კახეთში არც ერთი ქალაქი არ რჩება. ცხადია, ასეთ ვითარებას მოჰყვებოდა ვაჭარ-ხელოსანთა მოსახლეობის გადაშენებაც.

ასეთი გამანადგურებელი ომების შემდეგ სიცოცხლე ჩაქრებოდა და ვაჭრობაც აღარ იქნებოდა. სწორედ ამიტომაც XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთის მეფის ელჩები მიშეცკი და კლუჩარევი კახეთში იყვნენ, რაც ნახეს იმაზე წერენ: «А городов никаких в грузинской земле нет. А которые малые городки в грузинской земле встарь бывали, и как шах воевал грузинскую землю, и те городки шах разорил и разбил до подошвы»[11]. ამას ქვემოთ კიდევ ამატებენ: «А в какову цену что купят, того не ведомо, потому что вгрузинской земле базаров и съезжих ярмонок нигде нет, и ничего не продают»[12]. როგორც ვხედავთ, ქვეყანა მთლიანად გაპარტახებული იყო; ძველებურად არც გამყიდველი ჩანდა და არც მყიდველი. ხოლო მცირე მოთხოვნილებას დროებით აკმაყოფილებდნენ სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული მოგზაური ვაჭრები. ამის თაობაზე ვოლკონსკისთან (იგი რამდენიმე წლით ადრე იყო კახეთის მეფის კარზე) ვკითხულობთ: «... Торговых людей нет, а приезжают из шахова города ис Тифлиза арменья с худым товаришкам...»

---

11 Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, изд. М. Полиевктова, Тбилиси, 1928, стр. 160.

12 Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, изд. М. Полиевктова, Тбилиси, 1937, стр. 332.

აქვე გვინდა ერთი ცნობის მოყვანა, რომელიც იმავე ვოლკონსკის ნაწერებშია: «А стольной-де город у них в грузинской земле каменной, не велик, только с Кремль-город. А около ево посады, а острогу нет... А царев-де двор не велик же, устроены полаты и подписаны красками»[13].

ამ პატარა ციტატაში რამდენიმე ცნობაა საინტერესო: ჯერ ერთი ის, რომ ქალაქი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველია „Кремль-город", სადაც ალბათ ბორცვზე მდებარე მთავარანგელოზის ანსამბლი იგულისხმება. მეორე — „посады", ე. ი. ქალაქის სავაჭრო ნაწილი და მესამე — „царев-двор", სადაც პალატებია განლაგებული. ასეთი განლაგება გრემში გათხრების დაწყებისას გამოკვეთილად არ ჩანდა, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი გაირკვა. გაირკვა ქალაქის საერთო დაგეგმარება, მაგრამ განა გათხრებმა სადმე აღმოაჩინეს პალატები მოხატული კედლებით? სასახლე შიგნიდან მოხატული რომ იყო, ამაზე სამწუხაროდ მხოლოდ ზემომოყვანილი ციტატი მიგვითითებს. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის მეფის სასახლეთა არსებობა.

ზემოდასახელებული ორივე ელჩობის დროს, რომელიც მოხდა ერთმანეთის მიყოლებით XVII ს. 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში, ვხედავთ, რომ გრემი კიდევ ასრულებდა დედაქალაქობის როლს, მაგრამ ცხოვრება თითქმის ჩამკვდარი იყო. მათ ნაწერებში ხშირად ვკითხულობთ, რომ თეიმურაზ მეფე დროდადრო გრემშია[14], მაგრამ დიდხანს იქ არ რჩება. ამაზე მიშეცკისთან ვკითხულობთ «Теймураз царь в Крыму не живет, приезжает в Крым наездом Дни на 2 или на 3, потому что боитца кумыцких людей, чтобы на него кумыцкие люди безвесно не пришли»[15].

XVII ს. შუა ხანებში კახეთში არ იყო ქალაქის აღდგენის არავითარი პირობები. ამიტომ არც გრემი, არც ზაგემი, ან სხვა ქალაქი ვერ აღუდგენიათ. ალბათ გრემი, ასე თუ ისე, არსებობდა თეიმურაზის მეფობის დამთავრებამდე (1648 წ.), ხოლო მის შემდეგ საბოლოოდ მიტოვებულ იქნა და იქვე მახლობლად ჩრდილო-აღმოსავლეთით გაჩნდა სოფ. გრემი.

ასეთი სიტუაცია კახეთში დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ქვეყანა ნელ-ნელა იწყებდა შემოკრებას, ნაწილობრივ იშუშებდა ია-

---

13 Материалы..., გვ. 160.

14 იქვე, გვ. 232, 246, 285, 288, 422 და სხვა. აგრეთვე Посольство..., გვ. 147, 159 და სხვა.

15 Посольство..., стр. 157.

რებს და იმავე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, თუ 70-იანი წლების დასაწყისში არჩილ მეფის დროს საფუძველი ჩაეყარა კახეთის ძველი დედაქალაქის თელავის განახლებას (1664—1675 წწ.). ამ დროიდან მოკიდებული კახეთის ცენტრი საბოლოოდ ხდება თელავი[16].

ნაქალაქარი გრემის ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა ალბათ ისეთი ეკლესიები, როგორიცაა მთავარანგელოზი და მეფეთა უბანში მდგარი მიძინების საყდარი.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ გრემის ციტადელის, მთავარ ანგელოზის ტაძრის გალავანს თავდაცვითი მნიშვნელობაც ექნებოდა. ასეთ ობიექტს კი უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ და საჭიროების მიხედვით მას შეაკეთებდნენ. უკანასკნელად მისი მნიშვნელოვანი შეკეთება მომხდარა XVIII ს. მეორე ნახევარში ერეკლე მეფის დროს, რასაც გვატყობინებს მემატიანე ომან ხერხეულიძე[17].

გრემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ცოტაა. ამ ლიტერატურის ნაწილი იძლევა ძეგლების მხატვრულ ანალიზს, ზოგი კი სხვა მხრივ არის საინტერესო.

ქალაქ გრემის წარმოშობის საკითხზე პირველად და ძალიან ზუსტად დაწერილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონს, ვერ კიდევ XVIII ს. მეორე მეოთხედში[18] მას თავის მოკლე ცნობაში ლაკონიურად გადმოცემული აქვს სხვა ძეგლების თარიღებიც და თვით ქალაქის დანგრევის მიზეზები.

გრემს რამდენიმე სიტყვით ეხება იმავე საუკუნის 70-იანი წლების მოგზაური გიულდენშტედტიც. მისი ნაწერიდან აქვე მოვიყვანთ შემდეგს: „დაბალ კირქვიან კლდეზე დგას პატარა ციხე—გრემი ეკლესიით, კოშკით და რამდენიმე სახლით. მხოლოდ ორ პატარა ჭიშკარს მივყევართ მათკენ.

იქვე ახლოს დაბლობზე იყო წინათ მნიშვნელოვანი ქალაქი გრემი, რომლისგანაც კიდევ დარჩა 5 ეკლესია. ამათგან ზოგს ქართული წარწერები აქვს, ზოგს — სომხური“[19].

---

16 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 100; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 108; ლ. რჩეულიშვილი, თელავი, თბილისი, 1963, გვ. 7—9.

17 ო. ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., თბილისი, 1913, წ., გვ. 276.

18 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100.

19 გიულდენშტეგტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 33.

ამ ამონაწერიდან აღსანიშნავია ის ადგილი, რომელიც მიგვითითებს მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში სახლების არსებობაზე. ამჟამად ამ სახლებიდან მხოლოდ რამდენიმეს კვალია დარჩენილი.

XIX ს. შუა ხანებში თავის პატარა წიგნში გრემს ეხება პლ. იოსელიანიც[20]. მისი თქმით — «основание города относится к глубокой древности», საიდან აქვს ავტორს ასეთი ცნობა არ ვიცით. სტატიის დანარჩენ ნაწილშიც არაფერია ღირსშესანიშნავი.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თელავის მაზრის სხვა ძეგლებთან ერთად გრემს ეხება ვ. კიკნაძე[21]. მისი მიმოხილვის ერთ თავში, რომელსაც ჰქვია „Древние города", გადმოცემულია ქალაქ გრემის ისტორიაც. შეგვეძლო ამ მიმოხილვისთვის გვერდი აგვევლო, მაგრამ მისი ცნობებით კარგად უსარგებლია ა. ხახანოვს[22].

გრემის „კარის ეკლესია" გიორგი მეფის დროს 1800 წ. მოქმედი რომ ყოფილა, ამას ვგებულობთ ვინმე პავლე მღვდლის გუჯრიდან და მეფის ოქმიდან, სადაც ბრძანებაა დავით მაყაშვილისადმი, რომ მან ეკლესიაში დააბრუნოს პეტრე მღვდლის შვილი პავლე[23].

ამ საუკუნის დასაწყისში ე. მარკოვს უმოგზაურია კახეთში და თელავიდან დაღესტანში გადასვლამდე უნახავს გრემი და ერთგან ვკითხულობთ: «Развалины Греми, древней столицы Кахетинского царства, занимают огромное пространство по предгорьям того берега Алазани.

Греми был одним из древнейших городов Грузии и возник еще до рождества Христова. В IV в. он был уже весьма значительным городом и крепостью. С ним связана легенда о чуде Григория, просветителя Армении, скитавшегося в то время в лесу у Марткопи».

უცნაურია გრემის წარმოშობის გადატანა ანტიკურ ხანაში. წყარო ძნელი მისაგნებია.

ზემოალნიშნულს მოსდევს ნანგრევების აღწერა შემდეგი სიტყვებით: «Мы любовались, на другое утро, громадным охватом греминских развалин, венчающих все окрестные возвы-

17953

---

20 Пл. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, стр. 43—44.

21 В. Кикнадзе, Памятники древности Телавского уезда, Тифлисской губернии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. VII, Тифлис, 1880 гр., стр. 39—44.

22 А. С. Хаханов, Экспедиция на Кавказ, МАК, М., 1898, стр. 2—3.

23 ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 94, 95.

17

шенности. Крепость на высокой горе, живописная башня старой церкви на обрыве утеса, с гробницею кахетинского царя Леона, безличное множество разрушенных домов, храмов, вся эта давно прогремившая и давно стихшая история исчезнувшего царства, оставившая по себе только груды камней, производит странное и тягостное впечатление.

Раскопки Греми могли бы дать безценный археологический материал...

Греми, кроме того, славилось своими школами. В нем, между прочим, была основана единственная высшая школа, откуда грузинские юноши отправлялись доканчивать свое образование прямо в Афины, к мудрецам Греции»[24].

გრემში „აკადემია“, ე. ი. სასწავლებელი, რომ იყო ამაზე დღესაც გადმოცემით ყვებიან ადგილობრივნი, მაგრამ ათენში სწავლის გაგრძელებაზე არავინ არაფერი იცის. ცხადია, ესეც შესაძლოა ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ეს ისევ იმ საკითხს უკავშირდება, ვითომ თვით ქალაქი გრემი ანტიკური დროისა იყოს.

1917 წ. ფრესკული მხატვრობის შესწავლის მიზნით კახეთში უმოგზაურია დ. გორდეევს. მოგზაურობის შესახებ ჩანაწერები გამოუცია ორი წლის შემდეგ, სადაც გრემსაც ეხება. გრემის მთავარანგელოზისა და შუამთის ტაძრების ფრესკებს იგი შედარებით კარგ შეფასებას აძლევს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ისინი ატარებენ არამონუმენტური მხატვრობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. არამედ ხატწერის მანერითაა შესრულებულიო[25]. ცხადია, ჩვენ ასეთ დასკვნებს ვერ დავეთანხმებით; გრემისა და შუამთის მხატვრობა ჩვეულებრივია XVI ს. ქართული კედლის მხატვრობისათვის.

დ. გორდეევს თბილისში 1924 წ. მოწყობილ ძველი არქიტექტურის გამოფენისათვის სტატია მიუძღვნია. ამ გამოფენაზე გატანილი ყოფილა გრემის მთავარანგელოზის ტაძრის ორი ნახაზი. ამ ტაძრის აგების თარიღად მოცემულია 1565—1577 წწ., რომელსაც საფუძვლად უდევს გ. ფ. წერეთლის მიერ წაკითხული ბერძნული წარწერა, მოთავსებული დასავლეთის კარის თავზე შიგნიდან[26].

შუამთისა და გრემის ფრესკებს შ. ამირანაშვილის მიერ ქარ-

---

24 Е. Марков, Очерки Кавказа. СПб., 1904, стр. 402—403.

25 Д. П. Гордеев. Краткий отчет о командировках в Кахию и Горийский уезд летом 1917 г., Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. V, Тифлис, 1919, стр. 9.

26 Д. Гордеев, О второй выставке древнегрузинской архитектуры, состоявшейся в Тифлисе в марте 1924 г. საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი, 1924, გვ. 238.

თული კედლის მხატვრობის განვითარების გზაზე ასევე კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი[27].

გრემის მთავარანგელოზის ტაძარი პირველად იქნა მიმოხილული და მტკიცედ დათარიღებული გ. ჩუბინაშვილის მიერ. 1936 წ. მან მოსკოვში ირანის ხელოვნებისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ კონგრესზე წაიკითხა მოხსენება, რომელიც მერე დაიბეჭდა იმავე კონგრესის კრებულში[28]. შემდეგში იმავე ტაძარს და მის ჯგუფს იგი უფრო ვრცლად ეხება თავის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც მიძღვნილია კახეთის არქიტექტურისადმი[29].

გრემის მთავარანგელოზის ეკლესიას ეხება შ. ამირანაშვილიც „ქართული ხელოვნების ისტორიის“ იმ ნაწილში, სადაც განხილულია გვიანი ხანის არქიტექტურა[30].

გრემის ანსამბლში შემავალ თარსა-გალავნის ეკლესიის ორიგინალური წარწერა გამოცემული აქვთ ა. შანიძეს და ვ. ფუთურიძეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მიერ გამოცემული სამენოვანი წარწერა ამომწურავადაა გაშიფრული და კომენტარებით გამოქვეყნებული. გრემში მათ მიზანს ძირითადად ამ წარწერების გამოქვეყნება შეადგენდა, მაგრამ ადგილზე ჩასულებმა არც ბერძნული წარწერა დატოვეს ყურადღების გარეშე. წარწერა მოთავსებულია მთავარანგელოზის ტაძრის შიგნით დასავლეთის კარის თავზე. გამოქვეყნებულია ბერძნული წარწერა და მისი თარგმანი[31].

აქვე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აწგანსვენებული ალ. მამულაშვილის გრემთან დაკავშირებული საქმიანობა. იგი, როგორც ირკვევა, იყო საქმის მოყვარული, მცოდნე და ენერგიული ადამიანი. მან თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს თავისი ხელი დაატყო დირექტორად ყოფნის დროს. კერძოდ, გრემში მას მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები ჩაუტარებია 1939 წელს.

---

27 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 396—397.

28 Г. Н. Чубинашвили, Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии, III Международный конгресс по иранскому искусству и археологии, Москва, 1939, стр. 252.

29 იქვე, გვ. 447—450, 469—473, ტაბ. 360—369.

30 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 392.

31 ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიმკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 1—11. ბერძნული წარწერა კომენტარებით გამოცემული აქვს თ. ყაუხჩიშვილს. იხ. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1941, გვ. 332—339.

სამწუხაროდ, მას გათხრის ანგარიში გამოქვეყნებული არა აქვს, ამიტომ სრული წარმოდგენა მის ნამუშევარზე ვერ შეიქმნება. ვიცით, რომ მისი ძირითადი საქმიანობა იყო ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე აბანოს გათხრა. ეს სამუშაოებიც მან ბოლომდე ვერ მიიყვანა.

გრემში მუშაობის შედეგად მოგვიანებით მას გამოქვეყნებული აქვს ორი სტატია. პირველ მათგანში განხილულია გრემში გათხრილი აბანო და მასთან ერთად იმავე დროის კახეთის რამდენიმე აბანოც[32]. ხოლო მეორე სტატია შეეხება მის მიერ მიკვლეულ გრემის სარწყავ არხს[33]. ამ სტატიაში ავტორი მდ. ლოპოტადან გამოყვანილ არხს XI—XII საუკუნეებით ათარიღებს. იგი ამ შემთხვევაში ეყრდნობა თავისივე მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს გრემი XII საუკუნეში ქალაქი იყო. ცხადია, გრემი XII ს. ქალაქი არ ყოფილა. ისეთ რთულ არხს, როგორიც გრემისაა, ესაჭიროებოდა დიდი და ძლიერი დამკვეთი. ასეთი ხელსაყრელი მომენტი კი ამ მიდამოებს ჰქონდა მაშინ, როდესაც აქ გაშენდა და ძლიერ პუნქტად იქცა ქალაქი გრემი. ეს კი, როგორც უკვე ვიცით, XV—XVI სს. მოიცავს.

---

32 ალ. მამულაშვილი. კახეთის ძველი აბანოები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, 1947, გვ. 167—193.

33 მისივე, გრემის სარწყავი არხი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B, გვ. 173.

თავი II

მთავარანგელოზის ანსამბლი

გრემის ნაქალაქარზე მთავარ ნაგებობას მთავარანგელოზის ანსამბლი წარმოადგენდა. მიუხედავად მრავალი გადაკეთებისა, ამ ანსამბლმა ყველაზე უკეთ მოაღწია ჩვენამდე. იგი მთლიანად იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. მისი შემქმნელები ნამდვილად გენიალური ხუროთმოძღვრები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი ერთდროულად არ არის შექმნილი, მაინც მთლიანად ჰარმონიულია. ამიტომაა, რომ მისი მნახველი სპეციალისტი თუ შემთხვევით გამვლელი ყველა აღტაცებაში მოდის. ადგილი მაღალი გემოვნებითაა შერჩეული და რაც მთავარია, ადგილმდებარეობასთანაც ნაგებობები ბრწყინვალედაა შეხამებული.

მდინარე ინწობას მარცხენა მხარე გაშლილია, თითქმის ვაკეს წარმოადგენს, ხოლო მარჯვენა მხარეს მთის კალთებია ახლოს. ერთერთი მთის ქედი მდ. ბოლიას ჩამოუყვება და მასთან ერთად ერწყმის ინწობას კალაპოტს. ამ ქედის ჩატეხილი ზურგის შემდეგ ისევ შემაღლება იწყება. სწორედ ეს შემაღლება დაუგვირგვინებიათ ნაგებობებით მშენებლებს.

ანსამბლი ამჟამად ძირითადად სამი ნაგებობისაგან შედგება. ესენია: მთავარანგელოზის გუმბათოვანი ტაძარი, პალატი-სამრეკლო და გალავანი კოშკებით.

გრემის ქალაქობის დროს და ამჟამადაც ქალაქის დომინანტს ქედზე შემდგარი მთავარანგელოზის ტაძარი და მის ირგვლივ მდებარე ნაგებობები წარმოადგენენ. ქალაქის პირველი ნაგებობა აქ უნდა წარმოშობილიყო და აქვე გაგრძელდებოდა მომდევნო ხანის ხუროთმოძღვართა ხელოვნებაც.

მთავარანგელოზის ტაძარი

მთავარანგელოზის ტაძარი აუგია ლეონ კახთა მეფეს. ამაზე მიუთითებს ტაძრის დასავლეთის კარის თავზე შიგნიდან არსებული



სურ. 2. მთავარანგელოზის ანსამბლი.

ბერძნული წარწერა. წარწერა შედარებით კარგადაა შენახული. თარგმანი მოგვყავს თ. ყაუხჩიშვილის გამოცემის მიხედვით[1]:

„ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწევნით, ხარჯით, გულსმოდგინებითა და შრომით, მაშინ როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი. 7085 წელს აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს, საბას წინამძღვრობის დროს... ქარტულარიოსი, ბერმონაზონი და პროტოსვინგელოზი სალონიკელი“.

წარწერაში მოცემული თარიღი ჩვენი წელთაღრიცხვით გამოდის 1577 (7085—5508=1577); მაგრამ სხვა ცნობებით ცნობილია, რომ ლეონ მეფე გარდაიცვალა 1574 წელს[2]. ტექსტს კი ემჩნევა, რომ იგი შესრულებულია ლეონის სიცოცხლეშივე. როგორც ეტყობა, ბერძნული ტექსტის დამწერს თარიღი შეეშალა[3].

ლეონ კახთა მეფე სხვა წარწერებითა და ცნობებით ცნობილია როგორც ძველი ძეგლების აღმდგენელ-რესტავრატორი, ისე ახლის მშენებელი. მან ააგო შუამთის ახალი მონასტერი[4] და სხვა.

მეორე პიროვნება, რომელიც წარწერაში იხსენიება, არის მღვდელმთავარი ნიკოლოზი. სხვადასხვა საბუთებთან შეჯერება საშუალებას იძლევა ნიკოლოზი გავაიგივეოთ ალავერდელ ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსთან.

წარწერაში მოხსენიებული მესამე პიროვნებაა საბა, რომელიც იმ დროს გრემის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა. სხვა საბუთებით საბა არ არის ცნობილი.

წარწერა საბას შემდეგ საკმაო მანძილზე გადარეცხილია და შემდეგ წერია: „ქარტულარიოსი, ბერმონაზონი და პროტოსვინგელოზი სალონიკელი“. ვინ უნდა იყოს ეს ბერძენი უცნობია. შ. ამირანაშვილის აზრით ის უნდა იყოს მომხატველი[5].

სამწუხაროდ, ეს წარწერა ტაძრის აგების ზუსტ თარიღს იძლევა, ამიტომ ჩვეულებრივად მიმართავენ რუსი ელჩების ცნობას:

---

1 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 332—339.

2 საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1958, გვ. 274.

3 წარწერის თარიღზე და იქ ნახსენებ პიროვნებებზე ვრცლად იხილეთ თ. ყაუხჩიშვილის ზემოხსენებულ ნაშრომში.

4 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 440—446.

5 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 397.



სურ. 3. მთავარანგელოზის ანსამბლი. ხედი აღმოსავლეთიდან.

«а храму сказал Офанасей архимандрит, как поставлен двадцать пять лет»[6]. ეს ელჩობა საქართველოში იყო 1589—1590 წლებში. აქედან გამომდინარე გ. ჩუბინაშვილი ასკვნის, რომ მთავარანგელოზის ტაძარი აგებულია 1565 წ.[7] (შესაძლოა არქიმანდრიტს ზედმიწევნითი სიზუსტით არ სცოდნოდა აგებიდან რამდენი წელი იყო გასული, მაგრამ მიახლოებით 60-იან წლებს რომ ვერ გასცდება, ეს თავისთავად ცხადია).

ყველა ამ ცნობას მხარს უმაგრებს ტაძრის კედლის მხატვრობაში ჩართული ლეონ მეფის გამოსახულებაც. იგი მოთავსებულია დასავლეთის კედელზე სამხრეთი მკლავის არეში. მეფეს ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს. ზემოთ კი წარწერაა: **ᲑᲘᲓ ᲜᲘᲐ ᲜᲘᲐ-ᲜᲘᲓᲜᲘ.**

წარწერა ასე იკითხება: „მეფე ლეონ აღმშენებელი“. მეფის სამარხიც იქვეა. ფრესკის წინ ადგილი შემაღლებულია. მის შიგნით დამარხული უნდა იყოს ლეონი.

ზემომოყვანილ ბერძნული წარწერის დასაწყისშივე ნათქვამია: „აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტაძარი...“. აქ სიტყვა „განახლდა“ შეიძლება შემთხვევით არ იყოს ნახმარი. ახლა კი ტაძარს არც შიგნით და არც გარეთ არაფერი ეტყობა აღდგენის ან გადაკეთებისა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ადრეული ეკლესიის ნაშთები უფრო ღრმად იყოს მიწაში ჩამალული.

წარწერის ასეთ ცნობას პირველად ყურადღება გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია და გაიხსენა, რომ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობა, სადაც მოხსენიებულია „მთა მიქელ-გაბრიელთა“, მაგრამ კონკრეტულად ვერ უთითებს თუ სად არის იგი[8]. ეს მთა მოხსენიებულია მატიანეში ბაგრატ IV-ის (1027—1072 წწ.) ბრძოლასთან დაკავშირებით კახეთის შემოსამტკიცებლად XI ს. მესამე და მეოთხე ათეულის მიჯნაზე. კერძოდ, მატიანეში წერია შემდეგი: ბაგრატ მეფემ „გაილაშქრა... კახეთს შეება და შეუჳდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა...“ და შეიპყრა მრავალი[9]. აქ, მართლაც, ეს ბრძოლა ისეთ კონტექსტშია გადმოცემული, რომ არაფერი კონკრეტული არ არის მის დასაზუსტებლად. გ. ჩუბინაშვი-

---

6 С. Белокуров, Сношения России с Кавказом, I, М., 1889, стр. 124, 196.

7 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 450.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948, გვ. 15, 140.

9 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1955, ტ. I, გვ. 298.



სურ. 4. მთავარანგელოზის ანსამბლი. ხედი ჩრდილოეთიდან.

ლი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლებელია ეს ცნობა დავუკავშიროთ გრემს. ე. ი. XI საუკუნეში აქ უკვე მდგარა მიქელ-გაბრიელის სახელწოდების ეკლესია.

XVI საუკუნეზე ადრე აქ რომ ეკლესია იდგა, ამას თითქოს სხვა ცნობაც ადასტურებს. რუსი ელჩები 1589—1590 წლებში გრემში ყოფნის დროს აღწერენ მთავარანგელოზის ეკლესიის მოწყობილობას და ერთგან აღნიშნავენ: «Захея з братьею говорили, что онтимису о подписи сто пятдесят лет, а храм поставлен двадцат пят лет, и тот антимис взят из иного храму»[10]. თუ ანტიმისი 1440 წელს იყო დამზადებული და ეკუთვნოდა იმ ეკლესიას, რომელიც ადრე აქ იდგა, მაშინ ზემოაღნიშნულ ვარაუდს უფრო მეტი საფუძველი ექმნება.

სხვა ცნობები ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით არა გვაქვს. ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა ტიპს მიეკუთვნება (გენგეგმაზე — 1). როგორც ცნობილია, ეს ტიპი საქართველოში წარმოიშვა ჯერ კიდევ XI საუკუნის დასაწყისში და აქედან მოყოლებული მას იყენებდნენ XVIII ს. ბოლომდე. ცხადია, ყველა ეპოქაში თავისებურად ამუშავებდნენ მას, მაგრამ ნაგებობის ძირითადი სახე უცვლელი რჩებოდა. გრემის ოსტატსაც მისთვის თავისი ეპოქის შესაფერი სახე მიუცია, ყველა დეტალი XVI საუკუნეზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ მისი თარიღი რომც არ ვიცოდეთ, სტილისტიკურად მისი დათარიღება მხოლოდ XVI საუკუნით შეიძლება.

ეკლესიის გეგმა კვადრატს უახლოვდება (სურ 5). შესასვლელი განლაგებულია სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების ცენტრებში. ისინი თითქოს წონასწორობას ამყარებენ ფასადებზე.

გუმბათი, როგორც ჩვეულებრივ ამ ტიპის ძეგლებში, აქაც საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ პილონს ეყრდნობა (სურ. 5, 6). გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრული წესით, სადაც ქვედა დონეზე ტრომპის მაგვარი ერთი საფეხურია. ასეთი გადაწყვეტა ხშირად გვხვდება XVI — XVIII სს. გუმბათოვან ტაძრებში.

საკურთხეველი შედგება სამი ნაწილისაგან. ცენტრალურს საკურთხევლის აფსიდი წარმოადგენს, ხოლო გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნეა განლაგებული. აფსიდის წინ ღრმა ბემაა მოთავსებული. ბემა პილასტრებითაა გამოყოფილი აფსიდისაგან. ასევე პი-

---

[10] А. Белокуров, Сношения России с Кавказом, I., М., 1889, стр. 124, 196.

ლასტრებითაა იგი გამოყოფილი გუმბათქვეშა სივრცისაგან, მხოლოდ განსხვავება აქ პილასტრების სიგანეშია; მეორე პილასტრი სიგანით პირველს თითქმის ორჯერ.აღემატება.



სურ. 5. მთავარანგელოზის ტაძარი. გეგმა.

აფსიდი წინა სწორკუთხედისაგან აქაც პილასტრებზე გადასული თაღითაა გამოყოფილი. განათების წყაროს სამივე აფსიდში აღმოსავლეთით მდებარე თითო ფანჯარა წარმოადგენს. სამკვეთლო და სადიაკვნე თითო კარით დაკავშირებულია ეკლესიის ცენტრალურ ნაწილთან. სამკვეთლო საკურთხეველთან კარით არ არის დაკავშირებული (როგორც ეს ხშირად გვხვდება სხვა ტაძრებში). აღსანიშნავია ისიც, რომ სამკვეთლოს კარით დაკავშირება საკურთხეველთან აუცილებელი არასოდეს არ ყოფილა.

ტაძრის შიდა სივრცე ხალვათია, ამასთანავე იგრძნობა ზეაზიდულობა, პროპორციები ვიწრო და მაღალია, როგორც ეს შეიმჩნე-



სურ. 6. მთავარანგელოზის ტაძარი. განაკვეთი სამხრეთით.

ვა გვიან ძეგლებში. გუმბათის საყრდენი ოთხივე თაღი და კამარები შეისრულია. ჯვრის მკვლავებიდან მხოლოდ დასავლეთისას აქვს შუაზე საბრჯენი თაღი. სამი მკლავის არეში განლაგებულია ორ-ორი მაღალი სარკმელი, ხოლო აღმოსავლეთით მხოლოდ ერთია. ამათ გარდა, თითო სარკმელი გვერდის ნავების დასავლეთის კედლებშია. ყველაფერ ამას ემატება გუმბათის ყელის ვიწრო და მაღალი რვა სარკმელი. განათება შიგნით საკმარისია კედლის მხატვრობის ათვისებისათვის. ინტერიერის კედლებს, რადგანაც შესალესად და მოსახატავად ამზადებდნენ, ამიტომ კაპიტელები ან სხვა პროფილები არა აქვს. თვით გუმბათის დასავლეთის ორი საყრდენი ქვემოთ ცილინდრულია და ზემო სწორკუთხედს უშუალოდ უერთდება. ასეთი გადასვლა თვალს არ ეხამუშება.

გრემის ტაძრის ინტერიერის შედარება შეიძლება გვიანი საუკუნეების კახეთის მრავალ ძეგლთან, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი, ამიტომ შევადარებთ მხოლოდ უშუალოდ იმავე ეპოქაში აგებულ შუამთასა და შიხიანს. პირველი მათგანის აგება გრემს ორი თუ სამი ათეული წლით უსწრებს, მეორესთან შეიძლება მას ამდენი დროც არ აშორებდეს. მოკლედ, ესენი ერთი ეპოქის ნაწარმოებებია. სამივე აშენებულია დაახლოებით 50—60 წლის ფარგლებში.

ამ სამი ტაძრიდან გრემი სხვებზე პატარაა, მაგრამ აშკარად მათზე უკეთესია პროპორციებით. როდესაც ხართ შუამთაში, როგორლაც გაწუხებთ ქვედა კორპუსის მეტისმეტი სიმაღლე და შეუსაბამოდ ვიწრო და მაღალი გუმბათი. ამ მხრივ შიხიანის აღდგომის ეკლესიაშიც უკეთესი მდგომარეობა არ არის. შეუსაბამოდ გამოიყურება ვიწრო გუმბათის ყელი ქვედა ჯმუხ ტანთან შედარებით.

რაც შეეხება ინტერიერის კედლების გადაწყვეტას, გრემი შიხიანთან[11] უფრო მეტ საერთოს პოულობს, ვიდრე შუამთასთან[12]. ეს ჩანს უპირველეს ყოვლისა პილასტრებისა და თაღების სისადავეში. კაპიტელები თუ იმპოსტები მათ არ ახასიათებთ; თავიდან ბოლომდე უწყვეტი ხაზია. შუამთაში კი კაპიტელები და იმპოსტები ხაზგასმითაა გამოვლენილი, ხოლო რაც შეეხება გუმბათის დასავლეთის საყრდენს, იგი სამივეგან ცილინდრულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გრემში უფრო მარტივი და წერწეტაა. ამასთანავე აქ წრე კვადრატს უშუალოდ ედგმის. მაგრამ თვალს

---

11 Г. Н. Чубинашвили, დასახ. შრ. გვ. 450—453, ტაბ. 373, 378.

12 იქვე, გვ. 440—446. ტაბ. 356—357.

არც ეს არ ეხამუშება. შუამთაში კი მეტად ფრთებგაშლილი კაპიტელია, ხოლო შიხიანში კბილანა გადასვლაა.

ტაძრის კედლები მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკული მხატვრობით (ტაბ. VII). სამწუხაროდ, მხატვრობა არ არის ისეთი, რომ აღტაცებაში მოგიყვანოთ. იგი, ბერძნული წარწერის მიხედვით შესრულებულია 1577 წ.[13]



7. პალატი-სამრეკლო. პირველი სართულის გეგმა.

---

13 Д. П. Гордеев, Краткий отчет о командировках в Кахию и Горийский уезд, летом 1917, Изв. кавк. отд. московского археологического общества, вып. V, 1919, стр. 8—9, 22—23, 24—25; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 396—397.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადები სხვებზე თვალსაჩინოა მდებარეობით: მათი დათვალიერება ახლო მანძილიდან შეიძლება, ამიტომ ეს კედლები სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტადაა მორთული, აქ, შუაზე თითქმის ერთ ჰორიზონტზე, პატარა, დეკორატიული თაღები გასდევს კედლებს (ტაბ. VII). ამათ გარდა, დეკორის მთავარ აქცენტს ქმნის ჯვარი. კედლებში ჯვრები აგურის წყობითაა მიღებული. თითო ჯვარი ყველა ფასადის ცენტრალურ თაღშია მოქცეული. აღმოსავლეთის ფასადზე კი ერთ ვერტიკალზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის ორი ჯვარია განლაგებული. ამათგან ზედა კედლის სიბრტყეშია ჩამჯდარი, ხოლო ქვედა სიბრტყის ზემოთაა, რელიეფურად.

გუმბათის ყელი შიგნიდან თუ ცილინდრულია, გარედან მკვეთრად გამოვლენილი რვაწახნაგაა (ტაბ. VI, VII). ყველა გვერდი გადაწყვეტილია ერთი სისტემით, წიბოებზე ლეკალური აგურით აყვანილია ლილვი. ლილვები შუაზე წყდება აგურის დეკორატიული წყობით. ლილვებით შემოფარგლულ ოთხკუთხედებში ჩაღრმავებით მაღალი თაღებია გამოყვანილი. თვით სარკმლებიც ვიწრო სწორკუთხედებშია მოთავსებული. დიდი სწორკუთხედების ზედა ჰორიზონტს აგურის კბილანა წყობა მიჰყვება. გუმბათის კარნიზი კი მარტივია.

ეკლესია ნაგებია აგურით (ზომები: 21×21×4; 22×22×5 სმ). აქა-იქ ურევია რიყის ქვა და ზოგან ყორეც. სახურავი კრამიტისა ყოფილა და ახლაც კრამიტითაა აღდგენილი. ეზოში ბლომად მოიძებნება მოჭიქული კრამიტი, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ტაძარი თავდაპირველად გადახურული ყოფილა ფერადი კრამიტით (ფრაგმენტებში ნაპოვნია ცისფერი და მოყავისფრო). ამჟამად ტაძრის კედლები თეთრადაა შელებილი. მაგრამ თავის დროზე წითელი, აგურისფერი იყო და იშვიათი სანახავი იქნებოდა ფერად სახურავთან ერთად.

ეკლესიას კიდევ ერთი დამახასიათებელი მხატვრული ელემენტი აქვს. ესაა მკლავების ფასადების თაღებით დამუშავება. მართალია, ეს თაღები მაღლაა და ერთგვარად მეორე პლანზეა, მაგრამ ისინი მაინც მორთულობის მნიშვნელოვანი ელემენტებია.

მორთულობის ასეთი თაღები არ არის შექმნილი არც გრემის არქიტექტორისა და საერთოდ არც იმ ეპოქის მიერ. იგი შეიქმნა და ჩამოყალიბდა X—XII სს. მიჯნაზე და შემდეგ იყენებდნენ დროგამოშვებით. XVI საუკუნის სხვა ოსტატებთან ერთად შუამთისა[14] და

---

[14] Г. Н. Чубинашвили, დას. ნაშრ., ტაბ. 353—355.

შიხიანის[15] ავტორებიც თაღის ამ ფორმას იყენებდნენ. ადრეული ძეგლებიდან კი შეიძლება დავასახელოთ: ალავერდი[16], სვეტიცხოველი[17], სამთავისი[18] და სხვა.



სურ. 8. პალატი-სამრეკლო. მეორე სართულის გეგმა.

---

[15] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. 370—371.

[16] იქვე, ტაბ. 380, 382.

[17] გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936, გვ. 91.

[18] Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, ტაბ. 42.

როგორც ვხედავთ, ეკლესიის მთელი კომპოზიცია და ცალკეული დეტალებიც მიუთითებენ მხოლოდ გვიან საუკუნეებზე. ასეთი ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ახალი შუამთა, რომელიც აგებულია გრემზე უადრეს, ლეონის ცოლის თინათინის (მამია გურიელის ქალიშვილი) მიერ XVI ს. მეორე მეოთხედში[19]. მეორე ეკლესია, რომელთანაც მას ბევრი რამ აკავშირებს, არის იქვე. მახლობლად, ალაზნის ველზე ნასოფლარ შიხიანში მდგარი აღდგომის გუმბათოვანი ეკლესია. ეს ეკლესია ლეონის შვილის ალექსანდრეს მიერაა აგებული (1574 — 1605 წწ.). სხვა მონაცემებით ეს თარიღი ზუსტდება 70-იანი წლების ბოლოსა, ან 80-იანი წლების დასაწყისით[20]. ამათ გარდა სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ამჯერად საჭირო არ არის, რადგან გ. ჩუბინაშვილს კარგად აქვს შესწავლილი კახეთის ამ პერიოდის ძეგლები.

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში კახეთში მყოფი რუსი ელჩების მიერ გრემის აღწერა, სადაც ზოგი რამ საინტერესოა, ჭალაჭის აღწერის დროს ერთგან ვკითხულობთ: «Послы пришли в Крым (გრემში—პ.ზ.) и стали в Архангельском монастыре. А тот монастырь стоит от большие горы на остроге, на горе ж и приделан к горе... А в монастыре церковь архангела Михаила; зделана на 4 угла. вдоль 10 сажен, поперег 5 сажен. В ней 2 столба; основана на камени дичи, кладена кирпичь с известью; наверху шея. Олтарь с церковью не разгорожен; а креста на церкв нет. Подписана стен стенным письмом. Зделаны двери деревянные; престол каменной о осми углах; образов нет. С онну сторону олтаря зделан кабы жертвенник, а з другую сторону кабы предел. Престол приделан к стене, с церковью не разгорожено»[21].

როგორც ვხედავთ, რამდენიმე ცნობა არ არის ინტერესს მოკლებული და მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას, როგორც დამატებითი წყარო.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ელჩებმა მთავარანგელოზის ეკლესია და, საერთოდ, გრემი ნახეს მტრის მიერ დანგრეული და ჭალაჭი მიტოვებული. ამიტომ ელჩები უკმაყოფილონი დარჩნენ, როდესაც მათ ბინა მონასტერში მიუჩინეს. ამასთან დაკავშირებით ისინი შემდეგს წერენ: «А тот Архангельской монастырь от

---

19 Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, стр. 340—346.

20 იქვე, გვ. 450—453.

21 М. Полиевктов. Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643, Тифлис, 1928, стр. 285—286.



სურ. 9. პალატი-სამრეკლო. მესამე სართულის გეგმა.

разорения пуст, и жильцов в нем не бывало... и никакого покою в нем нет»[22].

[22] М. Полиевктов, დასახ. ნაშრ., გვ. 378.

ისინი ბევრი რამით იყენენ უკმაყოფილონი და ხშირად ვხვდებით წინააღმდეგობებს. თუ 2 ოქტომბერს დღიურში წერდნენ, რომ ეკლესია ცარიელიაო და აღრე კიდევ აღნიშნეს, რომ ხატები არ არისო, 12 ოქტომბერს წერენ: «царь Темраз... заехал в Архангельской монастырь помолится и был в церкви у образов и у архимандрита принял благословение»[23].

პალატი-სამრეკლო

როგორც აღვნიშნეთ, პალატი მდგარი მთავარანგელოზის ტაძრის სამხრეთით მასზე აღრეა აგებული. მაგრამ კერძოდ როდის? ეს უცნობია. 1640—1643 წლებში, როდესაც ქალაქი დანგრეულ-გაპარტახებული იყო, მეფე თეიმურაზი აქ იშვიათად მოდიოდა და რაც დახვდათ რუს ელჩებს, როგორც ვნახეთ, თითო-ოროლა სიტყვით მოიხსენიებენ. მათ შორის პალატზე წერენ: «Да посторонь тое церкви полата, а от той полаты вверх 2 полаты, а на тех полатах кабы бывала колокольня да иные закомарки»[24].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ეს ნაგებობა მაშინაც პალატს და სამრეკლოს წარმოადგენდა (გენგეგმაზე — 2). ხალხში დარჩენილი გადმოცემაც მას „პალატს“ უწოდებს. ეს კოშკისებრი ნაგებობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. სამწუხაროდ, ფენები ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ მათი გამიჯვნა ყველგან ზუსტად ვერ ხერხდება (სურ. 7—13, ტაბ. I—III, VIII).

პალატი, სამრეკლოს პირველი სართული, კამაროვანი ვრცელი დარბაზია (სურ. 7—11). სწორედ ეს დარბაზი მიგვაჩნია ამ რთული ნაგებობის პირველ ფენად: თავდაპირველად მხოლოდ ეს უნდა მდგარიყო აქ. დარბაზი ერთიან დახურულ სათავსოს წარმოადგენდა. მას დამხმარე სადგომები გვერდებზე ექნებოდა მიდგმული. თვით დარბაზი ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. აქედან სამხრეთის ბოლოს გამოყოფილი შემაღლება ორნაირად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული (ტაბ. VIII). ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა დანიშნულებისა იყო დარბაზი. თუ იგი საცხოვრებელი იყო, მაშინ ეს შემაღლება საწოლად იქნებოდა გამოყენებული, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი განკუთვნილი იყო მისაღებად, მაშინ აქ იდგმებოდა მეფის საჯდომი ტახტი. დარბაზის ამ შე-

---

[23] М. Полиевктов. დასახ. ნაშრ. გვ. 379.

[24] იქვე, გვ. 156.

მაღლებული ნაწილის კედლებში განლაგებულია ოთხი ღრმა და მაღალი ნიშა თაღოვანი გადახურვით. დარბაზის ორივე ნაწილი გადა-



სურ. 10. პალატი-სამრეკლო. მეოთხე სართულის გეგმა.

ხურულია შეისრული კამარებით. დარბაზის შუაზე პილასტრებზე დაყრდნობილი საბრჯენი თაღია.

დარბაზში შესასვლელი და სარკმლები მოთავსებული ყოფილა



სურ. 11. პალატი-სამრეკლო. განაკვეთი სამხრეთით.

ჩრდილოეთის კედელში. კარი შუაზეა. მისი თალოვანი გადახურვა გარედან სწორკუთხედშია ჩასმული და ზემოთ აგურის კბილანა წყობა მიჰყვება. სამი მცირე ზომის სარკმელი ზედა ჰორიზონტზეა განლაგებული. ამჟამად აღმოსავლეთით მდებარე განიერი სარკმელი XIX საუკუნეშია გაჭრილი. ხოლო მოპირდაპირე დასავლეთის კედლის ცენტრში კარი გაუჭრიათ გვერდით სათავსოსთან შესაერთებლად, მაგრამ იგი შემდეგ ამოუქოლიათ და მხოლოდ სათოფე დაუტანებიათ. იმავე დროს ამოუშენებიათ კარის გვერდით მეორე მონაკვეთში მდებარე სარკმელი და იქაც სათოფე დაუყოლებიათ.

პალატი ნაგებია აგურით (ძირითადად ნახმარია აგური ზომით 24×24×6; 25×25×6; მაგრამ გვხვდება 22, 23 და 27 სმ).

შემდეგში, როდესაც გადაუწყვეტიათ ნაგებობის გაზრდა-გაფართოება, მაშინ გაუნგრევიათ სამხრეთის კედელი ცენტრში და გარედან მიუდგამთ მეტად ირეგულარული გეგმის სათავსოები.

დარბაზიდან გასვლის შემდეგ პირველად ვხვდებით უსწორო გეგმის მქონე კამაროვან სათავსოს, რომლის ცენტრში ბუხარია (იგი შესაძლოა გვიან იყოს გაჭრილი) და გრძივ კედლებში — სამი ნიშა. ამ სათავსოს დასავლეთით წრიული გეგმის მქონე საპირფარეშოა, გვერდებზე ორი სარკმელ-სათოფურით. მოპირდაპირე ბოლოს კი კიბის უჯრედია, სადაც მარჯვენა ფრთა მეორე სართულზე მიემართება, მარცხენა კი — მესამეზე (სურ. 7, 12).

ამავე დონეზე კიდევ ერთი სათავსოა, რომელიც დამოუკიდებლად დგას და შესასვლელი მხოლოდ ეზოდან აქვს. ესაა გარედან წრიულ ფორმაში ჩასმული და შიგნიდან უწესო მრავალგვერდა, რომელსაც სფერული გადახურვა აქვს. მის კედლებში მხოლოდ მცირე ზომის ორი სწორკუთხა ნიშაა. როგორც ეტყობა, ეს სათავსო მცველის სამყოფს წარმოადგენდა.

მეორე სართულის ცენტრს კვადრატული დარბაზი წარმოადგენს, რომელსაც სამი მკლავი აქვს (სურ. 8). ცენტრალური დარბაზი გუმბათითაა გადახურული, სადაც კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება აფრული წესით. მაგრამ ეს აფრა რთულია დამატებითი ბადისებური წყობით. ასეთი ფორმით ნაწყობი აფრები გვხვდება ხშირად XVI—XVII სს. აგურით ნაგებ კონსტრუქციებში, მაგალითად, შუამთის სამრეკლოში[25], ალავერდის სატრაპეზოში[26] და სხვაგან.

---

25 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 502, 505.

26 იქვე, გვ. 526—527.



სურ. 12. პალატი-სამრეკლო. განაკვეთი დასავლეთით.

აღნიშნული დარბაზის მკლავებიდან აღმოსავლეთისა შემაღლებული იატაკითაა, ერთი განიერი სარკმელი ლამაზ ხეობასა და კავ-

კასიონის მთებს დაჰყურებს. ჩრდილოეთის მკლავში თონე[27] და გვერდით ორი ტაშტის მაგვარი ფორმაა კირის დუღაბით შექმნილი (ამ „ტაშტების“ დანიშნულება ზუსტად არ დგინდება, მაგრამ შესაძლოა პურის საზელად იყო გამოყენებული. ასეთი „ტაშტი“ ნაქალაქარის ორივე კვარტალში რამდენიმე იყო ნაპოვნი). აღმოსავლეთის მკლავი სხვებზე მოკლეა. გადახურვა აქაც კამაროვანია. მის ორ კედელში თითო ნიშაა. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ორი კარია. ერთი მათგანი დარბაზს კიბის უჯრედთან აერთებს, მეორე კი მცირე ზომის კვადრატულ სათავსოსთან. იგი გადახურულია სფერული გუმბათით, კედლებში ბუხარი, ნიშა და ერთი სარკმელია მოთავსებული.

მეორე სართულის მთავარ დარბაზთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი უნდა აღვნიშნოთ. მისი გუმბათის ცენტრში წრიული ხვრელია დატოვებული, ხოლო იატაკში ოთხკუთხა ხვრელი ყოფილა. ამრიგად, ამ ხვრელებით სამივე სართული გაერთიანებული იყო. ასეთ გაერთიანებას ორი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ერთი — მათ შორის კავშირი; ადვილად შესძახებდნენ და შეატყობინებდნენ ერთმანეთს საჭირო ცნობებს. მეორე — შეეძლოთ ერთმანეთისათვის მიეწოდებინათ წყალი, სანოვაგე თუ სხვადასხვა ნივთი. სართულების მაკავშირებელი ხვრელები გვიანი ეპოქის სხვა ძეგლებშიც გვხვდება.

მესამე სართულზე მოსახვედრად, როგორც აღვნიშნეთ, პირველი სართულიდან კიბის მარშს მარცხნივ მივყვებით. დაახლოებით მეორე და მესამე სართულების შუა დონეზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში გვხვდება პატარა ოთახი. მას წრიული გეგმა აქვს და დამჯდარი გუმბათითაა გადახურული. კედლებში ორი სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული და ერთი სარკმელი.

ამ ოთახს გვერდით კიბე მიჰყვება, რომელიც მიემართება ზემოთ მესამე სართულზე. აქ კი რთული გადაწყვეტაა. იქვე მარცხნივ, ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, სამრეკლოს ფანჩატურია. მისი სამი წახნაგი მცირედ შვერილია და შეისრული თაღედით ღიაა. ესეც გადახურულია დაბალი გუმბათით (სურ. 9).

კიბიდან აღნიშნულ ფანჩატურში შესვლამდე გრძელი კამაროვანი სათავსოა, რომელსაც სამი კედელი აქვს, ხოლო მეოთხე მთლიანად ღიაა. იგი ალბათ ვესტიბიულის როლს ასრულებდა. მის ორ გარე კედელში სხვადასხვა ზომის თითო სარკმელია, რომლებიც სი-

---

27 ამ დარბაზის იატაკი მთლიანად გავათავისუფლეთ გვიანი ხის იატაკისაგან, რის შემდეგაც გამოჩნდა ძველი იატაკი, თონე და „ტაშტები“.



სურ. 13. პალატი-სამრეკლო. აღმოსავლეთის ფასადი.

ნათლის მიხალებად კი არ იყო დატანებული, არამედ გადასახედად. ცენტრიბიულის მესამე კედელში კარია, რომელსაც შევუყავართ საკ-

მაოდ ვრცელ დარბაზში. დარბაზს კამაროვანი გადახურვა აქვს, შუაზე ერთი საბრჯენი თაღით. აღმოსავლეთით ორი დიდი სარკმელია. აქედან, ისე, როგორც ქვედა სართულიდან, თვალწინ იშვიათი სანახაობა იშლება.

ამით მთავრდებოდა ძველი პალატი-სამრეკლო. მაგრამ, როგორც ეტყობა, XIX ს. მესვეურებს არ აკმაყოფილებდათ სარკმლის პატარა ფანჩატური, რომელიც მერცხლის ბუდესავით იყო მიდგმული შენობის ერთ კუთხეში და ახალი ექვსწახნაგა ფანჩატური დაადგეს ვესტიბიულის სახურავს (სურ. 10—12). იგი, მართალია, არავითარი ხელოვნების ნაწარმოები არ არის, მაგრამ ათეული წლების განმავლობაში თვალი მიეჩვია გრემის ორი ნაგებობის სილუეტს და იგი აღბეჭდილია მრავალ გამოცემაში, ამიტომ იგი ალბათ ასევე დარჩება (მისი მოშლა უკვე აღარ იქნება მიზანშეწონილი).

პალატი-სამრეკლოს ფასადები ჭრელია (სურ. 13. ტაბ. VIII). პირველი ფენის დიდი დარბაზი და პალატი-სამრეკლოს ზედა ნაწილი თითქმის სულ აგურია. შუა მესამედი კი ნაგებია აგურითა და ფლეთილი ქვით. ქვედა ნაწილში კი ქვა ჭარბობს. წვრილ ფლეთილ ქვასთან ერთად ნახმარია რიყის ქვაც. ფასადებზე შეიმჩნევა შეუსაბამობებიც, რომლებიც აშკარად ხშირი გადაკეთების მაუწყებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით ამ ნაგებობის ყველა ფენის ზუსტად გამიჯვნა ვერ ხერხდება, მაგრამ, ვფიქრობთ, სამი სამშენებლო ფენის გაყოფა კი შესაძლებელია.

პირველად აქ აუგიათ ერთსართულიანი ვრცელი პალატი. შემდეგ ამ პალატის სამხრეთის კედლის გაგრძელებით აღუმართავთ ოთხსართულიანი სამრეკლო, სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებით (ცხადია, მათი უმრავლესობა საცხოვრებელი იქნებოდა). ამ ახალი ნაგებობის მეოთხე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე დაკავებული ჰქონდა სამრეკლოს ფანჩატურს. მესამე სამშენებლო პერიოდში აგებულია ის ექვსგვერდა ფანჩატური, რომელიც ფაქტიურად მეხუთე სართულს ქმნის.

აქ მოყვანილი სამი ფენიდან მესამე. ე. ი. ექვსგვერდა სამრეკლო აშკარად XIX ს. აგებული. დასადგენია ორი დანარჩენი.

მთავარანგელოზთა ტაძრის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მისი მშენებლობის დაწყებისას პალატი უკვე იდგა. ჩვენ კი ვიცით, რომ ტაძრის მშენებლობა დამთავრებულა 1565 წ. აქედან გამომდინარე, პალატის აგების ზედა ზღვარი 1565 წელია, ხოლო ქვედა — 1466 წელი, როდესაც მეფე გიორგი VIII-მ აქ საფუძველი ჩაუყარა კახეთის ახალ დედაქალაქს. სამწუხაროდ, ამ ჩარჩოების უფრო დავიწ-

როება ძნელი საქმეა. შეიძლება მხოლოდ ვარაუდით დავუშვათ, რომ იგი ერთ-ერთი პირველი ნაგებობათაგანია და აგებულია გიორგი VIII (1466—1476 წწ.) მიერ. (რაც შეეხება მომდევნო მეფე ალექსანდრე I-ს, იგი იმდენად ძლიერი იყო და ისე დიდხანს იმეფა (1476—1511 წწ.), რომ მისი მოღვაწეობის სფერო გაცილებით დიდი იქნებოდა; ალექსანდრე I სასახლის ნაშთები ქვემოთ, სასახლეების ნანგრევებში უნდა ვეძებოთ).

მშენებლობის მეორე პერიოდის ოთხსართულიანი ნაგებობა სამრეკლოს ფანჩატურით მთავარანგელოზის ტაძრის თანადროული უნდა იყოს. ასეთ დიდ ტაძარს, ცხადია, სამრეკლოც დასჭირდებოდა. ამ თარიღზე მიუთითებს ნაგებობის სტილისტიკური მონაცემებიც.

ეზოში მდგარი ნაგებობები

მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში მეტად მჭიდროდ მდგარა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. აქ უკანასკნელი პერიოდის სამარხებიც ბევრია. ყველაფერი ეს ხელს გვიშლიდა ეზოს არქეოლოგიურად შესწავლისას. მიუხედავად ამისა, ადგილთა შერჩევით ვაწარმოეთ გათხრები.

ყველაზე ღრმა ფენა აღმოჩნდა სამრეკლოს სამხრეთით. აქ გაითხარა თითქმის 15 კვადრატული მეტრი, კულტურულმა ფენამ სამი მეტრის სიღრმეს გადააჭარბა, მაგრამ ნაგებობის კვალი არ გამოჩენილა. ფენაში არეული იყო გვიანი საუკუნეების კერამიკა. დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა მეტად განიერი თონე. სხვა ღირსშესანიშნავი აქ არაფერი ყოფილა.

ასევე მოსინჯულ იქნა რამდენიმე ადგილი, სადაც ნაგებობათა კვალი შეგვხვედრია, ხოლო არქეოლოგიური მონაპოვარი მხოლოდ ღა მხოლოდ გვიანი ხანის იყო. გარდა ამისა, ოთხი ადგილი გაითხარა, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ნაგებობებთან. თუ დავიწყებთ მათ განხილვას ჩრდილოეთიდან შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

გალავნის ჩიშკრის მიდამოებში მთავარანგელოზის ტაძრისათვის სწორკუთხედად საყრდენი კედლებია ამოყვანილი. მის ზემოთ ტაძრის გარშემო სწორი ზედაპირია შექმნილი. ამ მონაკვეთის გათხრას აზრი არ ჰქონდა, რადგან იგი ფაქტიურად სუბსტრუქციას წარმოადგენს და არაფერი სხვა არ არის მოსალოდნელი. ამ საყრდენ კედელსა და გალავანს შორის გათხრის დროს საკმაოდ რთულ ფენებსაც წავაწყდით. სამწუხაროდ, ფენები ერთმანეთშია არეული და

არც ერთი ფენა სრულად არ არის დაცული. ამიტომ გარკვეულად იმის წარმოდგენა, თუ რა იდგა აქ, ძნელდება. ჰიშკრიდან თუ მივ-



სურ. 14. მთავარანგელოზის ანსამბლი. ნაგებობათა ნაშთები ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით.

ყვებით ჯერ ტრაპეციისმაგვარი ფართობია შემოფარგლული კედლებით (ამჟამად ნაწილობრივ საძირკველია დარჩენილი), შიგნით

დგას მცირე ზომის ოთხკუთხა (0,7×1,1 მ) ქურა. მისი კედლები ამოყვანილია თითო აგურით და შერჩენილია 0,7 მ. სიმაღლეზე (სურ. 14a, ტაბ. IX$_1$). ამ ნაგებობას გადახურვა არ შერჩენია, ამიტომ არ დგინდება თუ რა სახის ქურასთან გვაქვს საქმე. შიგნით ნაპოვნი იყო ტყვიის წიდის ნაშთები. იმავე სათავსოს მოპირდაპირე კუთხეში მდგარა საშუალო ზომის თონე. იქვე სამხრეთ-დასავლეთით ჩანს აგურის იატაკის ფრაგმენტი.

ამ სათავსოს გაგრძელებაზე სწორკუთხა ოთახის საძირკვლები ჩანს. არსებულ კედლებში შესასვლელიც არ ჩანს. იატაკში კი ჩადგმული ყოფილა სხვადასხვა ზომის ქვევრები და თონე.

ქვევრები ამ ოთახის აღმოსავლეთითაცაა (ტაბ. IX$_2$). მათ კედლები არ შემოფარგლავს და არც ის ირკვევა როდესმე იყო თუ არა. ამ ქვევრების საშუალებით აშკარად ჩანს, რომ ადრე მთავარანგელოზის გალავანი უფრო გარეთ ყოფილა, ე. ი. მეტი ტერიტორიაც იქნებოდა დაკავებული. რამდენიმე ქვევრზე გალავანი ზემოდან გადადის. ზოგი ქვევრი კი გალავნის გარეთაც გადის. ცხადია, აქ მარანი უფრო ადრე იყო, ვიდრე დღეს არსებულ კედელს ააგებდნენ.

ზემოგანხილული ეხებოდა გალავნის ჩრდილო მონაკვეთს. მისი გაგრძელება აღმოსავლეთის მონაკვეთი გაცილებით რთულია. აქაც ფრაგმენტულობის გამო ბევრი რამ გაურკვეველია.

მათში პირველი ნაგებობა დგას იქვე მოსახვევის ბოლოს, ტაძრის პირდაპირ. იგი ეზოს დონის ქვემოთაა და გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს, თუ მეტი არა, სამ ფენასთან მაინც. გარე კედლად ორფენიანი გალავანია გამოყოფილი (სურ. 14b), მასში სარკმლები და ნიშაა. ეზოს მხარეს საწნახელი მიუშენებიათ. მის ფსკერზე, როგორც ასეთი გადაწყვეტის დროს სხვაგან, ისე აქაც ღარია დატანებული, რომელიც ჩრდილოეთ კედელში გადის. იქ კი ღაწურული ღვინისათვის რაიმე ჭურჭელს დადგამდნენ, ან ხის ღარით ქვევრებში გაანაწილებდნენ. ზემოთ სართული იყო თუ არა, არ ჩანს. სათავსოს დასავლეთით ცენტრში განიერი კარია და გვერდით დიდი ოთხკუთხა ბურჯი. იქვე ტალანი დასავლეთით უხვევს და შევდივართ მცირე ზომის სათავსოში, სადაც ერთ კედელში ბუხარია, ჩრდილოეთით კი — კარი. ამ მონაკვეთში სხვა არაფერი ჩანს გარდა იმ კედლის კვალისა, რომელიც მარნის ცენტრიდან გამოდის და ტაძრის გვიანი დროის საყრდენი კედლის ქვეშ შედის.

ამ შენობის კედლებიც ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა ისეთივეა, როგორც ამ მონაკვეთის სხვა ნაგებობებში და ნაწილობრივ გალავანში. აგური უმნიშვნელო რაოდენობითაა გამოყენებული.

თუ ამ შენობის ქვედა სართულში იყო მარანი საწნახელით, მეორე სართული საცხოვრებელი იქნებოდა. პირველი სართული მიწის დონის ქვემოთაა, ხოლო მეორე, საცხოვრებელი სართული მიწის დონეზე დაიწყებოდა. იმავე დონეზე იყო ეზოს აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარე სხვა ნაგებობებიც.

განხილული ნაგებობის გაგრძელებაზე სამხრეთით, გალავანზე მიდგმული ყოფილა სწორკუთხა შენობა, რომლის კედლები ყორე ქვითაა ნაგები. მისი დანიშნულება, სართულიანობა და სხვა გაურკვეველი რჩება, რადგან მხოლოდ საძირკველია შერჩენილი 30—40 სმ სიმაღლეზე.

იქვე ეკლესიასა და ამ ნაგებობას შორის კიდევ ყოფილა რაღაც ნაგებობა. კედლებიდან გადარჩენილია მხოლოდ სამხრეთის ფრაგმენტი. იმავე მიდამოებში, გალავნის გაყოლებაზე, კიბე ჩადის და ვიწრო კარით გადის გარეთ. ეს სათადარიგო კარი ყოფილა. მშვიდობიანობის დროს ამ კარით თავისუფლად შეიძლებოდა მოძრაობა, ხოლო გარემოცვის შემთხვევაში შეტევისათვის შეიძლებოლა გამოეყენებინათ. მაგრამ ძირითადად მისი დანიშნულება ჩვეულებრივი შესასვლელი იქნებოდა. ამ მხარეს შედარებით პატარა აღმართია და ბილიკით მდინარეებს შესაყართან ადვილი მისასვლელი იყო.

აღწერილის გარდა, კიდევ ერთი პატარა ნაგებობის კვალი ჩანს აღმოსავლეთით, დაახლოებით გალავნის შუაზე. იგი თითქოს კოშკის საძირკველია. მაგრამ კოშკი თუ არის, ყოველ შემთხვევაში, არა გალავნის თანამედროვე, რადგან სამშენი მასალაც განსხვავებულია და კედლებიც გადაბმული არ არის.

გალავნის შიგნით ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით სხვა ნაგებობათა კვალი არ ჩანს.

გალავანი

იმ კონცხს, სადაც მთავარანგელოზის ანსამბლია განლაგებული, უსწორმასწორო რელიეფი აქვს. ამ რელიეფის მაქსიმალურად გამოყენებით აგებულია გალავანი (სურ. 2). როგორც ეს გვიან საუკუნეებში იყო მიღებული, ტაძრის გალავანი თავისთავად სიმაგრეს წარმოადგენდა. კედლებს ზედა ნაწილი ყველგან მორღვეული აქვს, ზოგან კი ეზოს მხრიდან მიწის ზედაპირამდეა დანგრეული.

გალავნის მთავარი შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთის კუთხეშია მოთავსებული (სურ. 2. 4, ტაბ. X_1). იგი საგანგებოდ ყოფილა გამაგრებული. თაღოვანი განიერი შესასვლელი ორ ბურჯს შუაა მოქცეული. შესასვლელის გვერდებზე თითო სათოფეა, ხოლო ზემოთ—

ორი შეწყვილებული და ოთხი ძირს დახრილი სათოფეა. აქ მოქმედება ორ მეთოფეს თუ შეეძლო, რადგან ჩამოსადგომის ფართი მეტად მცირეა (ტაბ. XI₂).

დასავლეთით გალავნის შერჩენილ ნაწილში სათოფეები განლაგებულია 4—5 მეტრის დაცილებით. კედელი შუაში ნახევარწრედ კოშკივითაა გამოშვერილი მისი კედლები აღჭურვილია ცალმაგი და ორმაგი სათოფეებით.

ჩრდილოეთის უსწორმასწორო კედელშიც ცალმაგი და ორმაგი სათოფეებია განლაგებული 1—2 მეტრის დაცილებით. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში კი სათოფეები ორ იარუსადაა განლაგებული.

გალავნის აღმოსავლეთის მონაკვეთი თითქმის ეზოს დონემდეა დანგრეული (ახლანდელი 1 მეტრის სიმაღლის კედელი სამოციან წლების რესტავრაციის შედეგია), ამიტომ სათოფეები და სხვა საბრძოლო ელემენტები არ შერჩენია.



სურ. 15. მთავარანგელოზის ანსამბლი. ჩრდილო-დასავლეთის კოშკის გეგმა და მონაკვეთი.

სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კოშკიდან ნაწილობრივ შერჩენილია ორი სართული (სურ. 3, ტაბ. II). ექსპედიციის მუშაობის დაწყების პერიოდში იგი მიწით იყო ამოვსებული. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ პირველი სართული რომელიღაც პერიოდში ამოუვსიათ და შიგ ერთი დიდი და ერთი პატარა თონე ჩაუდგამთ. შემდეგ ისიც მიწით დაფარულა. ჩვენ ეს თონეები გამოვაჩინეთ და

ქვევით აღარ ჩავედით (სურ. 15). კარი კი, რომელიც ეზოსკენ, გვირაბის მხარეს ჰქონია, გავწმინდეთ. მეორე სართულის გარე კედლებიდან გვერდითებს თითო სათოფე აქვს, პირდაპირ კი — ორი. ეს სათოფეები დიდია. შორიშორს დგას და ოდნავ ქვემოთაც არის დახრილი. ცხადია, იგი თავდაპირველი ჩანს, ე. ი. პირველი ფენაა გალავნის. განსხვავებით შემოსასვლელ კოშკთან, რომელიც ქვითა და აგურითაა ნაგები და გარედან აგურის წყობა ზოლებად გასდევს, აქ ყველაფერი მონუმენტურია; დიდი და პატარა ქვებით ნაგები.

ამ კოშკის ძირას ღრმად, გალავანში კარია დატანებული. ამ კარით გადიოდნენ გვირაბში, რომელიც გარედან კედელს მიჰყვებოდა და მდინარე ინწობაში ჩადიოდა (სურ. 14b, ტაბ. XI$_1$). გვირაბის კედლები, მართალია, კლდესთან შეხამებულია, მაგრამ მტერს შეუმჩნეველი მაინც არ დარჩებოდა. ცხადია, მტრის გარემოცვის შემთხვევაში მთელი იმედები დამყარებული იქნებოდა დაცვაზე.

გორაზე თუ მთაზე მდგარი ქალაქისა და სიმაგრის წყლით მომარაგება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე წყდებოდა. კერძოდ, მდინარეზე გვირაბით ჩასვლა ერთ-ერთი ხერხთაგანი იყო საქართველოში. შუა ფეოდალური ხანის ქალაქებიდან ამის კარგ მაგალითს ვხედავთ დმანისში[28] და თმოგვში. ხოლო გვიანი ხანის ციხეებიდან ასეთი გადაწყვეტა გვაქვს გორში (XVII ს. ფენა) და ხრამის ხეობაში მდგარი ხულუტის ციხეში (XVII ს.).

ამ კოშკსა და სამრეკლოს შორის მდებარე კედელი ბურჯით შუაზეა გაყოფილი. კედლის სამხრეთის ნახევარი სიმაღლით ოთხი მეტრია, ჩრდილოეთისა კი — ექვსი. პირველში ორი ცალმაგი სათოფეა, მეორე კი ყრუა. ორივეს აკლია ზედა ნაწილი. სამრეკლოს კუთხეში კლდეზე დაშენებულია ამ გალავანზე გადასასვლელი კიბე (შესაძლოა ეს კედელი ზემოაღწერილზე ადრე იყოს აგებული) განიერ კედელზე, ზედა ნაწილში დაცვის სისტემა უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა.

გალავანი ნაგებია ყორე ქვით რიგების დაუცველად.

გარედან, გალავნის თითქმის ყოველ მოსახვევში წრიული კონტრფორსია ჩართული (ტაბ. II, X$_2$). ამ კონტრფორსებზე ზოგან აგურის წყობაა (აგურის ზომაა: 21—23×4—5 სმ). შესასვლელის ბურჯებზე აგურის წყობა დეკორატიულადაა გამოყენებული. არშია ზოგან აგურის ვერტიკალური წყობითაა მიღებული, ზოგან კი თევზიფხურია. აგურის ასეთი არშიის გამოყენება გვხვდება XVIII ს.

---

28 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938, გვ. 343.

სხვადასხვა ძეგლებზე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გალავნის ჩრდილოეთის ნაწილი და შემოსასვლელი ძირითადად XVIII ს. განახლებას მიეკუთვნება. გადაკეთების კვალი სხვა მხარეებზეც შეიმჩნევა, მაგრამ ჩრდილოეთის კედელი, რომ უფრო შიგნით არის შემოწეული, ვიდრე ეს ადრე იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში ღიად მდებარე მარნის ქვევრები შიგნით ბლომადაა, გარეთ კი მხოლოდ ნაშთებია მიწაში. ამასთანავე ყველაზე მეტყველია ფაქტი ქვევრებზე ზედ გადასული გალავანი.

გალავნის აღნიშნული რესტავრაცია უნდა ეკუთვნოდეს ერეკლე II-ს. ამაზე ცნობას გვაწვდის მემატიანე ომან ხერხეულიძე. იგი წერს: „მეფე ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა... გრემისა...“ და სხვა [29].

ცხადია, გალავანში აშკარად ჩანს სხვა ფენებიც, მაგრამ მათი ზუსტად გამიჯვნა და დათარიღება შეუძლებელია, მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნების უქონლობის გამო.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველი გალავნის მცირე ნაშთი შიგნით ეზოშია შერჩენილი. რამდენადაც ამჟამად ამის გარკვევა შეიძლება, იგი უნდა იყოს თავდაპირველი პალატის გალავანი. ამ გალავნის ფრაგმენტი შერჩენილია პალატის აღმოსავლეთით. იქ არის დიდად შვერილი ნახევარი წრე, რომლის კედელი ეკლესიას ებჯინება, ხოლო მეორე — სამრეკლოს. რადგანაც აქ რთულია რელიეფი, ამიტომ ზედა ტერასაზე გალავანი ნახევარ მეტრამდეა ამოწეული, ხოლო გარედან კედლის სიმაღლე ხუთ მეტრს აღემატება. ამ კედლის წყობა დიდად განსხვავდება გარე გალავნის ყველა ფენისაგან. აქ გამოყენებულია მცირედ დამუშავებული ქვის საკმაოდ მოზრდილი კვადრები, სადაც ძირითადად დაცულია ჰორიზონტული რიგები.

---

29 ო. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამ., თბილისი, 1913, გვ. 276.

თავი III

მეფე-დიდებულთა უბანი

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, მეფე-დიდებულთა უბანი მდებარეობს ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მას 20 ჰექტარზე მეტი ტერიტორია ჰქონია დაკავებული (სურ. 1, ტაბ. V).

ამ კვარტალში განლაგებული იყო მეფეთა სასახლეები, პავილიონები, საცხოვრებელი სახლები, აბანო და მრავალი სხვა ნაგებობა.

ყველა ეს ნაგებობა დანგრეულია და მხოლოდ საძირკვლებიღა ჩანს. ზოგი მათგანი მიწითაა დაფარული, ზოგი კი მცირედ მოჩანს მიწის ზემოთ. ჩვენ ყოველი მათგანი მაქსიმალურად გავაშიშვლეთ მიწისგან და რისი გამოჩენაც კი შეიძლებოდა გამოვაჩინეთ.

აქვე უნდა განგვეხილა მარიამის ეკლესია და სამრეკლო, რომლებიც მდგარა მდინარის ნაპირას და დანგრეულა ამ სამიოდე ათეული წლის წინათ. მაგრამ რადგანაც ეკლესიის აღწერა არ მოიპოვება, ამიტომ მასზე ვერაფერს ვამბობთ, ხოლო რაც შეეხება სამრეკლოს, იგი შესწავლილი აქვს გ. ჩუბინაშვილს[1].

სასახლეთა ნანგრევები

მეფეთა სასახლეებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია დარჩენილი. კედლები ზოგან პირველი სართულის იატაკის დონემდე ძლივს აღწევს, ამიტომ არა მარტო დაგეგმარება, არამედ კარ-ფანჯრების განლაგებაც კი უცნობი რჩება.

ამასთანავე, თითოეული ობიექტი მრავალჯერ არის გადაკეთებული, რაც ართულებს ფრაგმენტების წარმოსახვით აღდგენას. უყურებთ ამ ნანგრევებს და განცვიფრებთ რბევა-აოხრების ის საშინელება, რომელიც მათ გადაუტანიათ. მარტო ერთ ადგილზე ოთხჯერ სხვადასხვა გეგმით აგებული სასახლეთა ნაშთებია ერთმანეთზე

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 489, 494, 495, 510, табл. 397а.

გადაჯვარედინებული. გრემს ისე ხანგრძლივადაც არ უარსებია, მისი ქალაქობა ბოლოს და ბოლოს 150 წელი გრძელდებოდა, მეტი არა.

ქალაქი გრემის როგორც სავაჭრო, ისე სამეფო უბანი ვაკეზეა განლაგებული: მათ შუა გამყოფ მთაზე კი მთავარანგელოზის ანსამბლი მდებარეობს. ამ მთის ჩრდილოეთით არსებულ ვაკეზე ერთადერთი მცირე შემაღლება ყოფილა მდ. ინწობის ნაპირას, რომელიც, როგორც ხელსაყრელი პუნქტი, გამოუყენებიათ სასახლისათვის (გენგეგმაზე — 3). ამჟამად მხოლოდ მისი დასავლეთით მდებარე



სურ. 16. პირველი სასახლე. გეგმა.

მონაკვეთის ნაშთია დარჩენილი. საქმე იმაშია, რომ მდინარე ბუნებრივად მარჯვენა ნაპირს აწვებოდა. აქ წყალს წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, ამიტომ მდინარე ნელ-ნელა ანგრევდა ყველაფერს რაც კი გზაზე ეღობებოდა. მათ შორის იყო ეს სასახლეც. სტიქიამ არც

იგი დაინდო და ამ ოციოდე წლის წინათ თითქმის მისი ნახევარი მდინარემ წალეკა.

სასახლე დაუდგამთ არა მდინარის გასწვრივ, არამედ, მის პერპენდიკულარულად, რის გამოც მას მთელი ფრონტი გაშლილი ჰქონია სამხრეთით და ჩრდილოეთით. ჩრდილოეთის მხარეს, საითაც იშლება იშვიათი ხედი კავკასიონის მთებისაკენ, სასახლეს ექნებოდა აივნები, ხოლო იქიდან, საიდანაც სტუმარი იყო მოსალოდნელი, ე. ი. ქალაქის ცენტრისაკენ მიმართული იყო მთავარი შესასვლელი (სურ. 16), მდინარეს სწორედ ამ შესასვლელიანად მოუგლეჯია სასახლის აღმოსავლეთის ნახევარზე მეტი. აქ ყოფილა მიდგმული უზარმაზარი კიბე (სიგანე სამ მეტრამდე და სიგრძე ორჯერ მეტი) წყალს შენობის ნაწილები კი წაუღია, მაგრამ კირის დუღაბით ჩამოსხმულ კიბის მონოლითს ვერ მორევია, მისთვის მხოლოდ ძირი გამოუთხრია, მდინარეში ჩაუგდია და დაუსილავს. ექსპედიციამ ეს ადგილი გათხარა და კიბე გაწმინდა. ასეთი განიერი კიბე, ცხადია, უნდა ჰქონოდა დიდ და ღირსშესანიშნავ ნაგებობას. შერჩენილი კედლები ზოგან მხოლოდ იატაკის დონემდე აღწევს. შიდა გეგმარება კედლების ფრაგმენტულობისა და მრავალგზის გადაკეთების გამო ცუდად იკითხება. ირკვევა, რომ სასახლის დასავლეთის მონაკვეთში ცალკეული ოთახები ყოფილა, ხოლო ჩრდილოეთით — საკმაოდ მოზრდილი დარბაზი. კიბის მოპირდაპირე მხარეს მდინარეში ეგდო მოზრდილი აუზი, რომელიც სადღაც მაღლა ყოფილა და წყალს ძირი გამოუცლია. გათხრისა და გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ იგი თავის დროზე იატაკიდან ოდნავ ამოწეული ყოფილა. აუზი წესიერი ფორმის რვაგვერდაა (სიგანე — 1,5 მ, სიღრმე —1,0 მ.), ნაგებია აგურით და შიდა ზედაპირი შელესილია მეტად სუფთად, მკვრივი წყალგაუმტარი ხსნარით (სურ. 17, ტაბ XII$_2$). ამ აუზს ერთ მხარეს ზედა დონეზე აქვს წყლის შესაყვანი მილი, ხოლო ფსკერის დონეზე — წყლის გასაყვანი მილი.

ამჟამად შეუძლებელია აუზის ადგილმდებარეობის განსაზღვრა. თუ იგი იდგა სასახლის პირველი სართულის იატაკის დონეზე, მაშინ გაუგებარია, როგორ იკვებებოდა იგი წყალსადენის წყლით? ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ სასახლის პირველი სართულის იატაკი მიწის დონეზე 3—4 მეტრით მაღლაა. ცხადია, ამ სიმაღლეზე წყალსადენით წყალს ვერ აიყვანდნენ (თავისთავად ძალიან ძნელია და რთულია წნევით, ე. წ. ჰავლიანი წყალსადენის გაყვანა კერამიკული მილებით. ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი წყალსადენის ნაშთი ირგვლივ არ ჩანს), რადგან აუზი გამავალი წყლით მაინც სახეზეა, ამიტომ მისი

ადგილსამყოფელის გადაწყვეტისას ჩვენ სხვა გამოსავალი უნდა გამოვძებნოთ. უნდა დავუშვათ, რომ ეს აუზი იდგა სასახლის შიგნით მიწის დონეზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ სასახლის ის ნაწილი, რომელიც ამჟამად მოროღვეულია, სხვანაირად იყო გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვუშვებთ, რომ აქ დაბლაც იყო



სურ. 17. პირველი სასახლე. აუზის გეგმა და განაკვეთი.

სართული. შესაძლოა, მას დამხმარე ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აუზი ისეთი კოხტა და ფაქიზად დამუშავებულია, რომ იგი უდავოდ ვრცელ და ნათელ დარბაზს ამშვენებდა.

როგორც აღვნიშნეთ სასახლის მხოლოდ იატაკია ზოგან შერჩენილი. აგურის იატაკი შედარებით კარგადაა დაცული სამხრეთის შონაკვეთში შემოსასვლელის წინ. ერთ-ერთი გადაკვეთის შემდეგ იატაკი აუწევიათ და მიწაზე მხოლოდ დუღაბი დაუსხამთ. ასეთი იატაკის ნაშთი აღმოჩნდა ჩრდილოეთით, ძველი დაზიანებული იატაკის ზემოთ ოცდაათიოდე სანტიმეტრზე. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ პირველი სართულის იატაკი კი აგურით იყო მოფენილი, მაგრამ მეორე სართულისა ფიცრით იქნებოდა მოგებული.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს სასახლე პარადულ ხასიათს ატარებდა. იგი სტუმრების თუ ელჩების მისაღები უფრო იყო, ვიდრე მხოლოდ საცხოვრებელი. მართლაც, ერთი დეტალიცაა აქ ყურადსაღები. ესაა შესასვლელთან გამოყოფილი მცირე სათავსო. ი. ჯავახიშვილი, როდესაც იხილავს სასახლის შინაგან განაწილებას, ერთგან წერს: „იმ დარბაზს, რომელშიც დიდი დარბაზობა იმართებოდა ხოლმე კარის შესავალი ჰქონია, რომელიც იმდენად ფართო ყოფილა, რომ იქ ათამდე მოხელის დასადგომად მაინც ადგილი უნდა ვიგულისხმოთ. ხელმწიფის კარის გარიგებაში ნათქვამია: დიდი დარბაზობის დროს „დიდი დროშა კარის შეშოსავალსა დგას. მერემეთ უხუცესი მჯარსა უთქს და მჯარსა საგდებელი აცვია და მერემენი უკან უდგანან. ზარდახნის უხუცესი და მსახურთუხუცესი მჯარსა დგანან“-ო. „კარის შესავალი“ ამგვარად უბრალო შესავალს კი არ წარმოადგენს, არამედ ნაწილია ნაგებობისა და „ვესტიბიულის“ მაგვარი უნდა ყოფილიყო“[2]. მართალია, აქ მოყვანილი საბუთი XII—XIII სს. მდგომარეობას აღვიწერს, მაგრამ იგი თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც გამოდგება გვიანი საუკუნეების მეფეთა სასახლისათვის.

იქვე ივ. ჯავახიშვილთან ვკითხულობთ: „სასახლე სხვადასხვა ოთახებისაგან შედგებოდა; მასში იყო: სადარბაზო ოთახი, საწოლი, საჭურჭლე, სალარო და სხვა“[3]. სამწუხაროდ, გრემის სასახლის შიდა განლაგებაზე კონკრეტულად მეტს ვერაფერს ვიტყვით შენობის ფრაგმენტულობის გამო. განხილული სასახლის არსებული კედლები ნაგებია ყორე და რიყის ქვით.

მეორე სასახლე მდინარიდან უფრო მოშორებით მდგარა, ამიტომ მდინარეს მისთვის ვერაფერი დაუკლია, მაგრამ სამაგიეროდ მტერს მაგრა უმუშავნია; აქ ოთხი სამშენებლო ფენა აშკარად განირჩევა (სურ. 18). თანაც, ოთხივე შემთხვევაში ძველ გეგმაზე კი არ არის გაგრძელებული ახალი მშენებლობა, არამედ იქვე ახლოს შენდება ახალი გეგმით. ყველა სხვა მიზეზთან ერთად აქ ერთი მთავარი მიზეზთაგანი ისიც იქნებოდა, რომ დანგრევის მასშტაბის გამო მშენებლობის გაგრძელება ძველ საძირკველზე ხელსაყრელიც კი არ იქნებოდა (გენგეგმაზე — 4).

---

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წ. 1, თბილისი, 1946, გვ. 122.

[3] იქვე, გვ. 125.

თითოეული ფენის გამოყოფაც მთლიანად ვერ ხერხდება. დიდი კონტრასტებით კი ოთხი ფენა აშკარად ირჩევა.



სურ. 18. მეორე სასახლე. გეგმა.

პირველი ფენის (სურ. 18a) საძირკვლები დარჩენილია ჩრდილოეთის მონაკვეთში. მისი კედლის სისქე ორ მეტრს აღემატება.

ზედა კედლები ასეთი სქელი შეიძლება არ იყო, მაგრამ მაინც მეტად კაპიტალური ნაგებობა ჩანს. ამ შენობის გეგმა მთლიანად არ იკითხება დაზიანების გამო.

იმავე პერიოდის უნდა იყოს ამ ნანგრევებში სამხრეთ განაპირას მდებარე შენობის ნაშთი (სურ. 13b). ძალიან კოხტად ნაწყობი მისი კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი.

ამ შენობის დანგრევის შემდეგ მისი სამხრეთის კედლის ნაწილობრივ გამოყენებით უფრო დიდი შენობა აუგიათ. ეს გრძელი შენობა ადრე აღწერილის მსგავსად დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მდებარეობს. კედლები შერჩენილია 2—3 მეტრის სიმაღლეზე, პირველი სართულის იატაკი კი უფრო მაღლა მდებარეობდა. ამჟამად ჩანს ორი მონაკვეთი, მაგრამ შეიძლება მას მესამე მონაკვეთიც ჰქონდა აღმოსავლეთით. სამწუხაროდ, იქ XIX ს. აგებული სახლი დგას და ძველი შენობის ბოლო მის ქვედა სართულშია ჩართული და ადრინდელი გეგმა დარღვეულია (სურ. 18c).

სასახლის ნანგრევებში კარგად ჩანს მშენებლობის ის თავისებურება, რომელიც გრემში იყო მიღებული. ესაა პირველი სართულის რამდენიმე მეტრით მაღლა აწევა. იატაკქვეშა სივრცეს კი ამოყორავდნენ მსხვილი ქვებით. მშენებლობის ასეთი წესი ძირითადად გამოწვეული იყო დაბალი ადგილით, სადაც მდინარის სიახლოვის გამო ნიადაგის წყლები საშიში იყო. ამასთანავე, ქვით მოსწორებულ ზედაპირზე ადვილი იყო აგურის მოფენა კირის დუღაბზე. ამ სასახლის გარდა აღწერილი ხერხი გამოყენებულია იქვე ახლო მდებარე შენობაში და ე. წ. „აკადემიაში“.

სასახლის კედლები სხვებთან განსხვავებულადაა ნაგები. კედლებისათვის ნახმარია ფლეთილი ქვა, მაგრამ დიდი კონტრასტია, სჭარბობს დიდი ზომის ქვები, მათ შორის ადგილი კი შევსებულია წვრილი ქვით. დიდი ზომის ქვების უწესრიგოდ დალაგება საინტერესო იერს აძლევს ნაგებობას.

ამ ნაგებობის ჩრდილოეთით და პირველი სასახლის დასავლეთით კიდევ რაღაც ნაგებობა ყოფილა (სურ. 18d). დაზიანებული სახით მოღწეულია მხოლოდ სვეტებიანი კედელი (აივნის ნაწილი) და აუზი ეზოში. ეს ნაგებობა მცირე ეზოთი და აუზით შეიძლება სასახლე „c“ ეკუთვნოდეს, მაგრამ ამაზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, რადგან მაჩვენებლები მეტად მკრთალია. აუზი კვადრატული გეგმითაა, სქელი კედლებით. კერამიკული წყალსადენი დასავლეთიდან შემოდიოდა. აქაც წყალი ცენტრში ამოდიოდა.

ამ ნაგებობებს კიდევ ერთი დარტყმა განუცდიათ; მწყობრიდან

გამოსულა აივნიანი სახლი და აუზიც. ამის შემდეგ კიდევ ერთი შენობა აუგიათ. ეს შენობა ადრე აგებულ სასახლეზე ბევრად ნაკლებია.

შენობა, ადრე აღწერილთაგან განსხვავებით, მთავარი ფასადით მიმართულია მდინარისაკენ. გეგმით იგი გრძელი სწორკუთხედია მთავარ ფასადზე პილასტრებით. შესაძლოა მას აივანი მოსდევდა. აქაც პირველი სართულის იატაკია დარჩენილი, კედლები კი — უკაროდ და უზღურბლოდ. დანარჩენი ნაგებობებისაგან განსხვავებით იატაკი მოფენილია სხვადასხვა ზომის დიდი აგურებით (სურ. 18e, XII$_1$). ცხადია, ჩვენ აქაც ვგულისხმობთ მეორე სართულის არსებობას.

მტრებს მცირე მასშტაბის ეს ნაგებობა უკანასკნელი დარტყმის დროს დაუნგრევიათ. ამის შემდეგ არც აქ და არც ამ მიდამოებში ცხოვრება ძველებურად არ განახლებულა. ამიტომ ცხადია, სასახლის აღდგენის ან ახლის აგების საჭიროებაც არ იქნებოდა.

ისე როგორც ქალაქზე, ამ სასახლეებზეც არავითარი ცნობა არა გვაქვს მათ დანგრევამდე. კერძოდ, რამდენიმე ბუნდოვან ცნობას გვაძლევს რუსი ელჩების ნაწერები. მაგრამ რადგანაც სხვა არაფერი გვაქვს, ამიტომ ეს ცნობებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

1637—1640 წლებში მეფე თეიმურაზ I-ის კარზე იყვნენ მოსკოვის მეფის ელჩები ვოლკონსკი და ხვატოვი. მათ ნაწერებში ერთგან ვკითხულობთ: «А з другую сторону, за монастырь направе царов двор, а на дворе три палаты да ворота каменные; все разорены. Да церковь зделана полаткою; без креста. А подле ее зделана полатка, сысподи четвероугольна, а вверх кругла, с окны, кабы колокольня. Да на цареве ж дворе, где он стоял, шелашей с пять до денник, где садился есть, огорожен перилами; покрыты все камышем. Да за рекою в саду полата. разорена ж, да пруд выкладен каменем, да ворота каменные. Пристав Рамазан сказывал, тут бывало при Алескандре царе двор потешной, а в пруду была рыба живая»[4].

როგორც ვხედავთ, 1616 წ. სპარსელთა მიერ დარბევის შემდეგ აქ ყველაფერი გაუკაცრიელებულა. აღწერის მიხედვით ჩანს,

---

[4] М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937, стр. 285. იგივე ბოკლედ არის გადმოცემული მ. ბროსესთან Переписка грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1670 г., 1861, стр. XXXIV—XXXV.

რომ მეფის ეზოს ქვის ჭიშკარი ჰქონია და შიგნით სამი პალატი მდგარა.

ამონაწერის მეორე ნახევარში ცოტა გაუგებრობაა. აქ ჯერ ლაპარაკია იმ პატარა ეკლესიაზე და სამრეკლოზე, რომლებიც იქვე ახლოს იდგა და დაინგრა ახლახან 30-იანი წლების ბოლოს. შემდეგ წერია, რომ მეფის ეზოში დგასო „шелашей с пять да денник, где садился есть, огорожен перилами; покрыты вес камышем". „Шалаш" ჭოხს ან კარავს ნიშნავს, ხოლო „денник" მოძველებული სიტყვაა და რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით — закрытое стойло в конюшне для помешения одной лошади. თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად გაუგებარია ის რაც денник-ს მოჰყვება — где садился есть огорожен перилами. როგორც ჩანს იმ დროს სიტყვა „денник-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლოა ამიტომაც მ. ბროსე. როდესაც გადმოსცემს ამ ელჩების ნაწერების შინაარსს იგი სიტყვა денник-ის მაგიერ ხმარობს „трапеза"-ს. იგი ამ შემთხვევაში არ გამოდის სიტყვა денник-იდან, არამედ შინაარსიდან, სადაც ნათქვამია „.... денник, где садился есть." ამის გამო ბროსესთან ამ წინადადებამ შემდეგი სახე მიიღო: „На дворе царском, около пяти хижин и трапеза, обнесенная перилами". ჩვენი აზრით, აქ სიტყვა трапеза-ს ხმარება денник-ის მაგიერ არ არის სწორი, რადგან трапеза — სატრაპეზო ახლავს მონასტერს და არა სასახლეს. ცხადია, ამ სიტყვის ხმარება შეიძლება საერთოდ, როგორც სასადილოსი.

იქვე ამონაწერის ბოლოს კიდევ არის ერთი საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მდინარის გალმა (არ ჩანს თუ, რომელი მდინარის — ინწობას, თუ ბოლიას) პალატი მდგარა, რომელიც მაშინ დანგრეული ყოფილა და მის გვერდით კი — да пруд выкладен камнем. იქვე ავტორი დასძენს, რომ ვინმე რამაზანის ნათქვამით აქ იყო — при Александре царе двор потешной, а в пруду была рыба живая. ირკვევა, რომ იქ ყოფილა ქვით ამოშენებული აუზი, სადაც ცოცხალი თევზი ჰყოლიათ, ბაღი აუზით და ალბათ სხვა ნაგებობები ითვლებოდა მეფე ალექსანდრეს გასართობ ადგილად. ეტყობა, მეფე მეფურად ცხოვრობდა: მას სასახლეც ჰქონდა, შადრევნიანი ნაგებობები, დიდ მონაკვეთზე დაკუბებული წყალი ცოცხალი თევზით და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ.

ნანგრევებად ქცეული იგივე ქალაქი, მაგრამ ისეთი ქალაქი.

რომელიც ჯერ კიდევ მიტოვებული არ არის და ტრადიციით დედაქალაქად ითვლება, ნახეს ორიოდე წლის შემდეგ ისევ მოსკოვის ელჩებმა. მათი ნაწერი გრემის გარშემო საკმაოდ ვრცელია, მაგრამ კონკრეტულად ბევრი არაფრის მომცემია.

ელჩების მიშეცკისა და კლუჩაროვის ნაწერებში ერთგან ვკითხულობთ: «От того монастыря» (საუბარი მთავარანგელოზზე—პ. ზ.) под горою... течет ручей... а за ручьем двор бывал царя Александра. А на дворе 3 полаты да ворота каменные все разорены. Да к тому двору пригорожен двор Теймураза царя, огорожен кирпичем ниско...

Да на Теймуразове же дворе зделан чердак каменной ниской, и поделаны окна большие, а в окнах вставливали окончины слюдные большие; а делал окончины в чердаке государев оконичной мастер. Да блиско того чердака зделана полата невелика, около ее огорожено перилами. А в палате в окнах вставливаны окончины большие, слюдние ж, дело государева оконичного мастера. Да от той полаты не по блиску стоят 2 полаты, покрыты камышом. А окол царева двора все пусто, поросло лесом. А в лесу жилых и пустых армянских и грузинских дворишков з 20; пашни и огородов ничего нет. И Теймураз царь в Крыму (ე. ი. გრემში—პ. ზ.) не живет, приезжает в Крым наездом дни на 2 или на 3, потому что баитца кумыцких людей, чтоб на него кумицкие люди безвесно не пришли»[5].

ამ ელჩების აღწერაც პირველ ნაწილში ემთხვევა წინა ელჩების აღწერას. იქ წერია, რომ მონასტრის გვერდით მდინარე გადის (იგულისხმება ბოლია), ხოლო მდინარეს გაღმა მეფე ალექსანდრეს ეზოა, სადაც ქვის ჭიშკრის იქით სამი პალატი დგას. იქვე დასძენენ ავტორები, რომ ყველაფერი ეს დანგრეულიაო. ამას რაც მოსდევს ის პირველი ავტორებისაგან არ ვიცოდით. ეს ეხება ცნობას იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ალექსანდრეს ეზოს თეიმურაზის ეზო ემიჯნებოდა, რომელსაც აგურის დაბალი გალავანი ჰქონია.

ცოტა ქვემოთ იქვე ვკითხულობთ, რომ „на Теймуразове же дворе зделан чердак каменной ниской, и поделаны окна большие". აქ ნახმარი სიტყვა „чердак„-ში ალბათ „სხვენი" კი არ იგულისხმება, არამედ ქართული „ჩარდახი", სასახლის მნიშვნელობით.[6]

---

5 М. Полиевктов. Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, Тбилиси, 1928, стр. 156—157.

6 М. Полиевктов, დასახ. ნაშრომი. გვ. 482.

ამ ჩარდახს დიდი ფანჯრები ჰქონია, რომლებშიაც „вставливали окончины слюдные, большие". „слюда"-ში თუ „ქარსი" იგულისხმება ცოტა უცნაურია, რადგან ქარსის დიდი ფურცლები ძნელი წარმოსადგენია. მოსალოდნელია აქ იგულისხმებოდეს ჩვეულებრივი სარკმლის მინა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა დამოუკიდებლად ყველაფრისაგან იმ ფაქტის ცოდნა, რომ ნაგებობებს უკეთდებოდა დიდი სარკმლები და შიგ გამჭვირვალე მინა, თუ ქარსი იყო ჩასმული.

თავისთავად კი არც ის არის ინტერესს მოკლებული, რომ ელჩების ცნობით ეს საქმე რუსი მოხელეების მიერ სრულდებოდა («делал окончины в чердак государев оконичной мастер». ასეთივე ცნობა მოყვანილია სხვა პალატთან დაკავშირებითაც).

სამწუხაროდ, ნანგრევებში ამჟამად შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ სად იდგა არა მარტო—"чердек"-ი, არამედ— რომელია ალექსანდრეს და თეიმურაზის ეზოები.

გარდა ამისა „чердак"-ის ახლოს მდგარა მცირე ზომის პალატი, რომელიც შემოფარგლული ყოფილა მოაჯირით. ქვემოთ კიდევ სხვა ორი პალატია ნახსენები, რომლებიც გადახურული ყოფილა ლელით თუ ჩალით („камышом"). ეს კი თავისთავად სიღარიბეზე მიგვითითებს. ცხადია, ამ მასალით პალატებს გადახურავდნენ მხოლოდ ოციოდე წლის წინათ მტრის მიერ ნაგებობათა დანგრევის. თუ დაზიანების შემდეგ. მანამ კი მეფეებს იმდენი შეძლება ექნებოდათ, რომ სასახლეები კრამიტით გადაეხურათ.

ამასთან დაკავშირებით ისიც შეიძლება აქვე აღვნიშნოთ, რომ ელჩები ყველგან ლაპარაკობენ სასახლეებზე, როგორც არსებულზე. ცხადია. შაჰ-აბასის ჯარმა ქალაქი ალბათ დაანგრია, მაგრამ შეკეთების შემდეგ იქ ცხოვრება უთუოდ შეიძლებოდა. მეფე იქ რომ არ ცხოვრობდა ამას ელჩები სხვა მიზეზით ხსნიან. იქვე ვკითხულობთ: «Теймураз царь в Крыму(გრემში) не живет, приезжает в Крым наездом дни на 2 или 3, потому что бантца кумыцких людей, чтоб на него кумицкие люди безвесно не пришли». ცხადია, აქ მარტო მთის ერთ ხალხზე არ იყო საქმე; მეფის იქ არ ცხოვრებას და საერთოდ გრემის პრიორიტეტის დაკარგვას სხვა უფრო ღრმა მიზეზიც ჰქონდა.

ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის საბოლოოდ მიტოვებას თან მოჰყვებოდა თანდათანობითი ბუნებრივი ნგრევა, რასაც ემატებოდა ადამიანის მიერ მზა საშენი მასალის დატაცებაც.

მეფე-დიდებულთა უბნის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა, რომელიც მდებარეობს ჩრდილო მონაკვეთში, მოსახლეობაში ცნობილია, როგორც „აკადემია“. ისტორიულ წყაროებში ამის დამადასტურებელი ცნობა არ შემოგვრჩენია, მაგრამ ჩვენ მას ეს სახელი მაინც დავუტოვეთ, რადგანაც ტრადიციით ასე მოსდევს[7].

ნაგებობა მდებარეობდა ქალაქის თითქმის ჩრდილო განაპირას. იგი მეფეთა სასახლეებიდან მოშორებითაა, მაგრამ არც ისე (გენგეგმაზე — 5).

გათხრების დაწყებამდე ამ მინდორზე მხოლოდ შემაღლება ჩანდა, ხოლო გაწმენდამ გამოავლინა დიდი ზომის (20,5×18,5 მ) სწორკუთხა ნაგებობის საძირკველი პირველი სართულის იატაკის დონეზე (სურ. 19, ტაბ. XIII).

დარჩენილი კედლების მიხედვით ეს ნაგებობა საკმაოდ რთული შემადგენლობისა ჩანს მთავარს წარმოადგენს სიგრძეზე განლაგებული ორი დიდი დარბაზი. მათივე პარალელურად მდებარეობს ცოტათი ვიწრო მონაკვეთი, რომელიც თავისთავად სიგრძეზე ორ არათანაბარ სათავსოდაა დაყოფილი.

ნაგებობის დასავლეთის მონაკვეთი ზემოაღწერილთაგან ერთი მთლიანი კედლითაა გამოყოფილი. ამ ნაწილში სხვადასხვა ზომის ექვსი სათავსო ყოფილა. ამათგან სხვებზე დიდია აღმოსავლეთით მდებარე. მას ზომით მოსდევს ჩრდილო ბოლოს მდებარე კვადრატული სათავსო. ხოლო მათ შორის მდებარე ოთხი სათავსო ზომებით და მიმართულებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ესენი სამეურნეო დანიშნულებას ასრულებდნენ (ყველაზე მცირე სათავსოს ფართი ორ კვადრატულ მეტრს ძლივს აღწევს).

ნაგებობის კედლები იმ დონემდეა შერჩენილი, რომ არსად არ ჩანს შესასვლელის კვალიც კი. დასავლეთით, დაახლოებით შუაზე.

---

7 ალ. მამულაშვილს, რომელიც კახეთის ძეგლებს კარგად იცნობდა და გრემშიაც აწარმოებდა გათხრებს 1939 წ., როგორც ეტყობა, გაგონილი ჰქონდა აქ „აკადემიის“ არსებობაზე. იგი ერთგან წერს: „გრემი საშუალო საუკუნეებში (?) და შემდეგ ხანებშიაც XVII საუკუნემდე აყვავებული ქვეყნის დედაქალაქი იყო და მანამდეც, გადმოცემით აქ იყო საქართველოში მესამე უმაღლესი სასწავლებელი“ (დას. შრ., გვ. 174). როგორც ეტყობა, გრემის გარდა ორ სხვა პუნქტად ალბათ ავტორი გულისხმობს გელათსა და იყალთოს. ცხადია, აქ აშკარად გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან მაშინ, როდესაც გელათსა და იყალთოში აკადემიები იყო, ქალაქი გრემი არც არსებობდა.



განაკვეთი 1-1



განაკვეთი 2-2



სურ. 19. „აკადემია“. გეგმა.

საფეხურების ნაშთია დარჩენილი. ეტყობა აქ იყო კიბე, რომლითაც პირველად მოხვდებოდით ამ მხარეს მდებარე შუა დარბაზში.

შენობის კედლები ნაგებია რიყის ქვით და აგურით (22×22×4; 23×23×5 სმ.) დარბაზებში აქა-იქ შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ აქ პირველი სართულის იატაკი, გრემის სხვა შენობების მსგავსად, აგურით ყოფილა მოფენილი. ეს თავისთავად ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ პირველი სართული მთლიანად დამხმარე ნაგებობის ხასიათს ატარებდა, ხოლო ზედა სართული სამეცადინოდ (თუ მართლა სასწავლო დანიშნულებისა იყო), ან საცხოვრებლად იქნებოდა განკუთვნილი.

სასახლის ნანგრევებში შორენკეცები ბლომად იყო ნაპოვნი და აქაც საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ ნაგებობის ერთი ან რამდენიმე სათავსო მოპირკეთებული იყო ამ შორენკეცებით. აქ აღმოჩენილი შორენკეცები მხოლოდ ორი ფერისა იყო — ღია ცისფერი და მუქი ლურჯი.

ამ შენობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მშენებლობის ის თავისებურება, რომელზეც ადრეც ვწერდით, კერძოდ, შენობა რადგანაც ვაკეზე იდგა, მდინარესთან ახლოს და წყლის დონეს ცოტათი სცილდებოდა, ამიტომ პირველი სართულის იატაკი მიწის დონიდან 1,5—2 მეტრით აწეულია. ხოლო იატაკამდე არსებული სივრცე ამოყორილია რიყის ქვით. ზედაპირი მოსწორებულია ხრეშით და ქვიშით და შემდეგ ზედ დაგებულია აგურის იატაკი.

ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საშუალება აღწერილი შენობის გეგმა განვიხილოთ სხვა ნაქალაქარების თუ ნასახლარების გეგმებთან ერთად, რადგან ანალოგიური ნაგებობა არ მოიპოვება. სხვა მხრივ კი იგი წმინდა გრემულია, განსაკუთრებით მშენებლობის ტექნიკით.

შადრევნიანი პავილიონი

შადრევნიანი ნაგებობა მდინარე ინწობას ნაპირას იდგა (გენგეგმაზე — 6). თანდათანობით მდინარე მარჯვენა ნაპირს მოსწოლია და ბევრი რამ დაუნგრევია, მათ შორის ეს ნაგებობაც დაუზიანებია.

ნაგებობის გეგმა მოგრძო ოთხკუთხედია. ზომით საკმაოდ დიდი ყოფილა (გარე ზომები: 11,8×12,7 მ). იგი ოთხივე მხრიდან ღია პავილიონს წარმოადგენდა, ხოლო შუაში შადრევანია (სურ. 20, ტაბ. XIII$_2$).

ნაგებობის გადახურვის საკითხი კარგად არ დგინდება, მაგრამ ეტყობა საკმაოდ რთული კონფიგურაციის მქონე გუმბათები ექნებოდა. ამჟამად ნაწილობრივ ჩანს გუმბათების საყრდენები. ნაგებო-



განაკვეთი 1-1



სურ. 20. შადრევნიანი პავილიონი. გეგმა და განაკვეთი.

ბის გრძელ მხარეებზე ორ-ორი სვეტის ძირია დარჩენილი, შუა ხაზზე კი — ოთხისა. ამ უკანასკნელის მიხედვით გვერდებზეც ოთხ-

ოთხი სვეტი უნდა ყოფილიყო. ამ სვეტებს შორის გრძივ ხაზზე თანაბარი ინტერვალი არ არის დაცული. ეს გამოწვეული იყო შუაზე მდებარე შადრევნით. სწორედ მას ესაჭიროებოდა დიდი არე. ამის მიხედვით განაპირა მონაკვეთები მოკლეები და თანატოლებია, შუა ხაზი კი — განიერი. თუ ასეთ გადაწყვეტას აღვადგენთ არ აქის გამორიცხული, რომ გადახურვა მთლიანად გუმბათოვანი კი არ ყოფილიყო, არამედ შერეული: ცენტრალურ ნაწილს გუმბათოვანი გადახურვა ჰქონია. გვერდით ორ-ორ გრძელ მონაკვეთს კი — კამაროვანი.

როგორც აღვნიშნეთ, შადრევანი მოწყობილია ცენტრში. იგი იატაკის დონის ქვემოთაა. შუაში, ქვედა დონეზე 130 სმ დიამეტრის მჭონე წრეა, რომელიც იატაკიდან 55 სმ დაბლაა. მის ზემოთ იატაკამდე ექვსი თანაბარი შეღრმავებაა. ამ შეღრმავებებს რთული და ლამაზი კონფიგურაცია აქვთ (სურ. 21, ტაბ. XIV).

შადრევანში წყალი შემოდიოდა აღმოსავლეთიდან. კედლის გარეთ საწნეო აუზი ყოფილა მოწყობილი (სურ. 21. ტაბ. XV_1). ეს აუზი მცირე ზომისაა. წყალსადენი მდებარეობდა ჩრდილოეთით, რომელიც საწნეო აუზთან უხვევდა შენობის ცენტრისაკენ და მიდიოდა იატაკის დონეზე. წყალსადენი აუზთან შეხებისას ძირს ეშვება, შემდეგ ისევ ჰორიზონტულად მიდის და აუზის ცენტრში ამოდის. აქ, ცხადია, წყალი მაღლა აასხამდა, არა მარტო საწნეო აუზის სიმაღლის გამო, არამედ წყალსადენის მაღლა მდებარე სათავის გამოც. კერამიკული მილებისაგან შედგენილი წყალსადენი მოემარებოდა მდ. ბოლიას სათავის ზემოთ მდებარე მთის თხემიდან. აქ წყალსადენის სათავის ნაშთი ახლაცაა დარჩენილი. გზაზე აქა-იქ შეიძლება წყალსადენისათვის თვალის მიდევნება. კერამიკული მილები დუღაბშია ჩასმული.

წყალსადენის დონეთა შორის ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ შადრევანი საინტერესო სანახავი იქნებოდა. თუ მილი იყო მხოლოდ აუზის იატაკის დონეზე, მაშინ შიგ მდგარი წყალი მუდამ ყრუდ მოჩუხჩუხე იქნებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მილი აუზიდან ამოშვერილი იყო ნაგებობის იატაკის დონემდე მაინც, მაშინ ნამდვილი შადრევანი წარმოგვიდგება. მოკლედ, არც ერთი ვარიანტი არ იქნებოდა ცუდი სანახავი.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ნაგებობა გვერდებიდან ღია იყო საშესამი თაღით, მოკლე მხარეებზე კი ორ-ორით. ასეთ ღია ნაგებობას ერთ კუთხეში მაინც ჰქონია დახურული სათავსო. ასეთ კუთხეს

ჩრდილო-დასავლეთისა წარმოადგენდა. აქ გამოყოფილი მოგრძო ოთახის ფართობი ცხრა კვადრატულ მეტრს აღემატებოდა.

ჩვენთვის უცნობია ნაგებობის დანიშნულება. შეგვიძლია მხო-



სურ. 21. შადრევნის გეგმა და განაკვეთი.

ლოდ მიახლოებით ვთქვათ, რომ იგი მეფეთა საზაფხულო დასასვენებელს წარმოადგენდა. უკეთ რომ ვთქვათ, მეფეთა დროს სატარებელი ადგილი იქნებოდა. დროს გატარებას ხანდახან ქეიფიც მოჰყვებოდა. ქეიფს კი ესაჭიროებოდა სამზარეულოც. საფიქრებელია ასეთი დანიშნულება ჰქონდა ნაგებობის კუთხეში გამოყოფილ სათავსოს. ცხადია, იგი არ გამოდგებოდა მეფეთა დიდი წვეულებისათვის. ასეთს მთავარი სამზარეულო შეასრულებდა. აქ კი ფილიალივით იქნებოდა მოწყობილი.

ამგვარად, ეს ღია შადრევნიანი ნაგებობა, თავის დროზე, მეტად წარმტაცი უნდა ყოფილიყო: აქ მჯდომნი მართლაც მეფურად დაისვენებდნენ — მდინარის ნაპირას, შადრევნის სიახლოვეს.

პავილიონის ცოკოლი ნაგებია ფლეთილი ქვით, ხოლო ზემოთ—

აგურით. აგური აქაც კვადრატულია, ისეთივე როგორც სხვა შენობებშია ნახმარი (22×22×4; 23×23×4 სმ). იატაკიც იმავე ზომის აგურითაა მოფენილი. ცხადია, გუმბათები და კამარებიც აგურისა იქნებოდა.

პავილიონის იატაკი თავდაპირველადვე მიწის დონიდან მცირედ ყოფილა აწეული (დაახლოებით 40—60 სმ), ამიტომ ასასვლელად მხოლოდ რამდენიმე საფეხური დასჭირდებოდა. ორი საფეხური შერჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ოთახთან. შესაძლოა აქედანვე იყო შესასვლელი თვით პავილიონში. ე. ი. დახურული ნაწილის გავლით. შესაძლებელია კიბე სხვაგანაც ჰქონოდა უშუალოდ პავილიონში შესასვლელად.

ეს პავილიონი ერთადერთია არა მარტო გრემში, არამედ საერთოდ საქართველოში. ამიტომ არ მოგვეპოვება არა მარტო მისი უშუალო პარალელი, არამედ მიახლოებითი ანალოგიაც კი.

რვაგვერდა ნაგებობა

ნაქალაქარ გრემის მეფე-დიდებულთა უბანში სხვადასხვა სახის ნაგებობებია დარჩენილი. მათი ერთი ნაწილის თავდაპირველი სახის დადგენა მეტად ძნელდება. ამ რიგისაა რვაგვერდა ნაგებობა. რომლის ნაშთი მდებარეობს სასახლეების ჩრდილოეთით და შადრევნიანი პავილიონის დასავლეთით (გენგეგმაზე —7).

ნაგებობა ზუსტი ფორმებითაა ნაშენი (მისი გარე წახნაგები მერყეობს 420—430 სმ შორის, ხოლო შიდა — 200—210 სმ შორის). დარჩენილია საძირკველი და აქა-იქ თითქოს იატაკიც შეიმჩნევა (სურ. 22, ტაბ. XV_2, XVI_1). უკეთ ირკვევა შიდა რვაგვერდა სათავსო, რომლის მაქსიმალური სიგანეა 5,5 მ. შიდა კედლებს აგურის ერთი ფენა შემოუყვება. განსხვავებულია მხოლოდ აღმოსავლეთის მონაკვეთი, სადაც დამატებითი ერთი ფენით საფეხური იქმნება. არ არის გამორიცხული, რომ შენობაში შესასვლელი ამ მონაკვეთში მდებარეობდა. სწორედ ეს მხარეა მიმართული ცენტრისაკენ, კერძოდ კი შადრევნიანი პავილიონისაკენ.

ნაგებობის შიდა და გარე წახნაგებს შორის ფართო არე იქმნება (250 სმ სიგანისა). ცხადია, აქ ასეთი სქელი კედლის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ადგილზე გადარჩენილი ნანგრევები რაიმე რეალური გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა. სამწუხაროდ, ანალოგიებიც არ არის, რომ დაგვეხმაროს შიდა სივრცის, თუ ნაგებობის გადაწყვეტის წარმოდგენაში. ერთი რამ ცხადია, ეს ნაგე-

ბობა კოშკი ნამდვილად არ არის, რადგან ასეთი გეგმის კოშკი სხვაგან არსად მოგვეპოვება. თანაც, კოშკისათვის ეს ადგილი საკმაოდ გაუმართლებელია. კოშკი მოსალოდნელია ყოფილიყო ქალაქის გა-



სურ. 22. რვაგვერდა ნაგებობა. გეგმა, განაკვეთი და გეგმის რეკონსტრუქცია.

ლავნის გასწვრივ, ან განაპირას მაინც. ცხადია, აქ ვერტიკალური კომპოზიციის მქონე საცხოვრებელთან გვაქვს საქმე. ასეთი კომპოზიციის მიახლოებითი ანალოგია მოიპოვება ალავერდის ტაძრის ეზოში.

ალავერდის მონასტრის ჩრდილო მონაკვეთში მდგარი ერთერთი შენობა ორნაწილიანია. მთავარი ნაწილი რვაგვერდაა და ყოველი მხრიდან თაღოვან ღიადს წარმოადგენს. მხოლოდ მისი ერთერთი თაღი შესასვლელს წარმოადგენს დახურულ სათავსოში. გ. ჩუბინაშვილის აზრით ეს ნაგებობა სასახლეა: „Дворец, который естественно относится к первой четверти XVII века, сохранился в ограде Алавердского храма. Правда, он является, как я думаю, постройкой по заказу наместника шаха в кахетии, стоявшего около 1615 года в ограде Алаверди, но и выполнен он— естественнее всего полагать—местными силами и сама форма, очевидно, не была чужда стране".[8]

ალავერდის ეს მრავალგვერდა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი სა-

[8] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 573.

სახლეს უწოდებს, ისეთ იმპოზანტურია, რომ მართლაც სასახლეა, მაგრამ საზაფხულო, მისაღები და არა საცხოვრებელი.

საზაფხულო რომ არის ამას თვით ნაგებობა გვკარნახობს. იგი ორიარუსიანია და გარედან ორსართულიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქვედა იარუსის კედლები სქელია, ხოლო მეორე იარუსისა თითქმის მისი ნახევარია და შიგაა შეწეული. ქვედა იარუსი, შვიდი თაღითაა ღია, მეორე — რვა თაღით, გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეს ღიადები დაიფარებოდა ხალიჩებით. ეს აზრი მისაღებია, მაგრამ ფარდებჩამოშვებულსაც კი სასახლედ ზამთარში ვერ გამოიყენებდნენ. რაც შეეხება გვერდზე მიდგმულ ოთახს, ოც კვადრატულ მეტრამდე ფართობით, ბნელი, უფანჯრებო, დროებით მოსაცდელად თუ გამოდგებოდა. ამ ოთახს ბუხარიცა აქვს, რომელიც დამაფიქრებელია მისი ფუნქციის გადაწყვეტისას. ზაფხულის თვეებში ბუხარი მხოლოდ საჭმლის მოსამზადებლად თუ გამოიყენებოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ შაჰის წარმომადგენელს ყველაფერი ერთ ოთახში ჰქონოდა. ბუხარი სეზონის გარდამავალ თვეებში თავის როლს შეასრულებდა, ზამთრის თვეებში კი არა გვგონია იგი იმ პატარა ოთახში ყოფილიყო გამომწყვდეული.

გრემის ნაგებობის დანიშნულების გასაგებად, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა გამოდგეს ალავერდის, თუ ეს ასეა, აქაც ორიარუსიანი შენობა უნდა წარმოვიდგინოთ. მაგრამ გრემს არა აქვს გვერდით მიშენებული დახურული ოთახი. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ შიგვე ყოფილიყო ყველაფერი. გრემში გარე კედლების სისქე ერთი მეტრით აღემატება ალავერდისას. აქ შეიძლება წარმოვიდგინოთ არა ღიადები, არამედ ღრმა ნიშები.

ალავერდში გარე კედლების სისქე 1,5 მ. ასეთი სისქის კედლებში მთლიანად ღია თაღების მოწყობა გამართლებულია და იგი თვალსაც არ ეჩოთირება. თანაც, ეს კედლები საჭირო იყო ზედა იარუსის უფრო ვიწრო მასის საყრდენად. ასეთი საფეხურებიანი იარუსით სასიამოვნო პროპორციის ნაგებობაა შექმნილი. საერთო მოხაზულობით მსგავსი კომპოზიცია გრემშიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ კონსტრუქციულად და ფორმებითაც გაუმართლებლად გვეჩვენება.

ჩვენ ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე აქვე ვიძლევით გეგმის რეკონსტრუქციის პროექტს (სურ. 22, მარჯვენა). სათანადო მონაცემების უქონლობის გამო ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. ამ ვარიანტით კარი აღმოსავლეთით მოვათავსეთ, სადაც საფეხურის ნაშთი უნდა იყოს, მის პირდაპირ ნიშაა, სადაც შეიძლებოდა მჯდა-

რიყო მიღებისას რომელიმე მბრძანებელი. მის გვერდით ძოვა-თავსეთ თითო პატარა დასასვენებელი ოთახი (2,0 მ×1,5 მ), ხოლო ორ-ორი ნიშა გვერდებზე ღიად დავტოვეთ. ასეთი ღრმა ნიშების გამოყენება მრავალი დანიშნულებით შეიძლებოდა.

აქ ნაჩვენები ვარიანტით მეორე იარუსის ღია თაღებით წარმოდგენა, შესაძლოა მართებული არ იყოს, ამიტომ უფრო შესაფერისად გვეჩვენება გუმბათური გადახურვა, ქვედა კედლებ'ში ძალიან სარკმლებით.

მეტის თქმა გრემის განხილულ შენობაზე, რომლის ძხოლოდ საძირკველი გვაქვს შემორჩენილი, შესწავლის ამ დონეზე, საკმაოდ რთულია.

ხისსვეტებიანი სახლი

ნაქალაქარის ჩრდილო განაპირას ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი იქნა გათხრილი. გაირკვა, რომ აქ ორ სამშენებლო ფენასთან გვაქვს საქმე. თავდაპირველად აქ მდგარა სახლი დიდი ეზოთი, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ მასზედვე აუგიათ რვაგვერდა კოშკი. ჩვენამდე არც ამ უკანასკნელს მოუღწევია მთლიანად (გენგეგმაზე — 8).

სახლი, რომელიც აქ თავდაპირველად მდგარა, ორიგიხალური გადაწყვეტისაა. სამწუხაროდ ზოგი რამ ბოლომდე არ ირკვევა.

ნაგებობის გეგმა გრძელი სწორკუთხედია (16,70×11,0 მ) და სამი ნაწილისაგან შედგება (სურ. 23, ტაბ. XVI$_2$). ძირითად მონაკვეთში ერთი დიდი დარბაზი და შედარებით ძცირე სათავსოა. ხოლო სამხრეთით მასზე ვიწრო (ორი მეტრის სიგანის) სათავსოა მიდგმული. შესაძლოა ეს აივანი იყო. ამ ნაგებობის ძირითადი ნაწილი მიწის ზემოთ 50—70 სანტიმეტრის სიმაღლეზე ფლეთილი ქვით და აგურით (22×22×4; 23×23×4 სმ) ნაგები კაპიტალური კედელია. კედლები ამოუყვანიათ ერთ დონეზე და მშენებლობის პროცესშივე ჩაუყოლებიათ ხის ოთხკუთხა სვეტები (მათი გახივი კვეთი მერყეობს 20—25 სმ შორის). ეს სვეტები მოპირდაპირე ძხარეებზე ერთნაირადაა განლაგებული. როგორც ეტყობა, ამ სვეტებზე კოჭები იქნებოდა განლაგებული გადახურვის მოსაწყობად. თუ რა მასალით იყო შენობა გადახურული ამაზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ნანგრევებ'ში კრამიტის ნამტვრევები ბლომად იყო. იატაკისათვის კი საფუძველი

ყორე ქვით ყოფილა შემზადებული, ხოლო ზედაპირი კირის მკვრივი ხსნარით იყო მოსწორებული.

როგორც ვხედავთ, ამ ნაგებობის მხოლოდ გეგმარებაა გარკვე-



სურ. 23. ხისსვეტებიანი სახლი და რვაგვერდა კოშკი. გეგმა.

ული. კედლებზე თუ გვერდით მხარეებზე კი მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას.

ერთი ვარიანტით შეიძლება დავუშვათ, რომ აქ იყო სვეტებიანი ღია ნაგებობა, რომელიც ზემოდან იყო გადახურული. ამ შემთხვევაში პავილიონის ტიპის ნაგებობა წარმოგვიდგება. მხოლოდ ასეთი ვარიანტის დროს გაუგებარი რჩება აღმოსავლეთით მდებარე გრძელი მონაკვეთის დანიშნულება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არც შეიძლება მისი თანადროული იყოს. ამას იმიტომ აღვნი-

შნავთ, რომ მისი ჩრდილო კედელი კი ებმის ძირითად კორპუსისას, მაგრამ სამხრეთისა აცდენილია და გარედან ედგმის. ამავე დროს, თუ ძირითადი ნაწილი ნაგებია ფლეთილი ქვით და აგურით, გარე ნაწილი — რიყის ქვით. ამასთანავე, ძირითად ნაწილში მიკვლეული იატაკი აქ არ მეორდება.



სურ. 24. ხისსვეტებიანი სახლის ეზო და წყალსადენის დეტალი.

მეორე ვარიანტით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ხის სვეტები მხოლოდ ჩონჩხი, კარკასი იყო და მათ შორის არე ამოვსებული იყო ფიცრებით. დუღაბზე ნაგები სხვა მასალა გამორიცხულია, რადგან დუღაბის ნაწილი ან მისი ანაბეჭდი სადმე მაინც შერჩებოდა.

განხილული შენობა ნაწილია საკმაოდ რთული კომპლექსისა. მას აღმოსავლეთით (მდინარესაკენ) ემიჯნება ვრცელი ეზო (ფართო-

ბი 180 კვადრატულ მეტრს აღემატება), რომელიც რიყის ქვის კედლით ყოფილა შემოსაზღვრული (სურ. 24, 25). ეზოს მდინარის გასწვრივ ორმაგი კედელი მიყვება. რიყის ქვის ეს კედლები არ არის ზუსტი ხაზებით ამოყვანილი, მათ შორის მანძილიც მერყეობს 50—60 სმ შორის. ეს პარალელური კედლებით ვიწროდ შემოფარგლული ტერიტორია სამ მონაკვეთადაა გაყოფილი. ცენტრალური მონაკვეთი დიდია და ეზოს კედლების სიგანისაა, ხოლო განაპირა მონაკვეთები მცირეა. ჩრდილო მონაკვეთში მიწის ქვეშ არაფერი არ აღმოჩენილა, ხოლო სამხრეთისაში წყალსადენის რთული სისტემაა მოთავსებული. აქ, მართალია, ფენები კარგად არ იმიჯნება ცუდი დაცულობის გამო, მაგრამ როგორც ეტყობა წყალსადენები ადრე-ვე იყო და შემდეგ მათ ზემოდან დააშენეს გალავანი და მასთან დაკავშირებული სხვა კედლები (სურ. 24). თავისთავად წყალსადენიც ორი პერიოდისაა. ქვედა კერამიკული მილებით შედგენილი წყალსადენი ქალაქისაკენ სამხრეთით მიედინება, ხოლო მეორე მასზე გადადის და აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიედინება.

პირველი წყალსადენი უფრო რთულია. სამწუხაროდ, შერჩენილი ფრაგმენტით არ დგინდება წყალსადენის სისტემა. აქ მხოლოდ ჩანს, რომ კეთდება კუთხოვანი მუხლი. ვერტიკალურად აღმართულია მხოლოდ ერთი მუხლი, ხოლო შემდეგ ჰორიზონტულად მიმავალი წყალსადენი ჩვეულებრივი კერამიკული მილებისაგან შედგება (მილის სიგრძე 46 სმ, ხოლო განიერი მხარის შიდა დიამეტრი 16 სმ). ვერტიკალურად მდგარი მილის ზედაპირის ოდნავ დაბლა იატაკია მოგებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურით. წყალსადენის მილების საფუძველი რიყის ქვითაა მოგებული, ხოლო ზემოთ დუღაბია. როგორც ვხედავთ, წყალსადენი კაპიტალურადაა ნაგები.

ასევე კაპიტალურადაა ნაგები მეორე წყალსადენი. აქაც საფუძველი რიყის ქვაა. ზემოთ კი შექმნილია კირის დუღაბის მასა, რომლის საერთო სიგანე ერთ მეტრს უდრის, ხოლო სიმაღლე 25 სმ.

ეზოს აღმოსავლეთის მონაკვეთში აუზი ყოფილა მოწყობილი (სურ. 24, 25). აუზი მცირე ზომისაა (შიდა ზომები 1,1×0,8 მ). მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია. აუზის ირგვლივ ოთხკუთხად კედლებია შემოვლებული. მათი სიმაღლე არ დგინდება. არსებული კედლების სიმაღლე კი 40—50 სმ არ აღემატება. შესაძლოა ეს კედლები არც თავდაპირველად ყოფილიყო მაღალი. ამ შემოფარგვლის დანიშნულების ზუსტი განსაზღვრა ძნელია, მაგ-

რამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აუზსა და მის ორ მხარეს მდებარე მონაკვეთებს იყენებდნენ სამეურნეო დანიშნულებისათვის (არც ისაა გამორიცხული, რომ თავისუფალ დროს აუზის ირგვლივ ჩამოსხდებოდნენ სასაუბროდ, თუ გასართობად).



სურ. 25. ხისსვეტებიანი სახლი ეზოთი. გეგმა.

აუზში კერამიკული მილებით წყალი შემოდიოდა აღმოსავლეთიდან. წყალსადენისათვის სპეციალური კედელია აგებული, რათა წყალი აუზის ზედა კედელში ჩასულიყო, ხოლო გამოსავალი მოპირდაპირე მხარეს იატაკის დონეზეა, აქ ჩაწყობილი მილებიც კედელში გადის.

აუზის გარე კედელთან ჩრდილოეთით რიყის ქვით სქელ დუღაბზე დაგებული იატაკია. მისი ზედაპირი ამჟამად დაზიანებულია, ამიტომ არ ირკვევა ზემოდან რაიმე იდგა თუ არა.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, აღწერილი ხისსვეტებიანი სახლი თავისი კომპლექსით მტერს დაუნგრევია. შემდეგში მისი აღდგენა არ უცდიათ, ხოლო მის ნანგრევებზე დაუდგამთ კოშკი.

კოშკი გეგმით რვაგვერდაა (გვერდების სიგრძე მერყეობს 3,0 მ და 3,25 მ შორის) და ზომით საშუალო (მაქსიმალური სიგანე არ აღემატება 7,5 მ). კედლები მთლიანად ნაგებია რიყის ქვით. შერჩენილი კედლების სიმაღლე არ აღემატება ერთ მეტრს, ამიტომ ცხადია კოშკის სართულიანობაზე, თუ გადაწყვეტის სხვა საკითხებზე ვერაფერს ვიტყვით.

ჩვენ მეორე რვაგვერდა კოშკის განხილვის დროს აღვნიშნეთ და აქაც უნდა მივუთითოთ, რომ ასეთი ფორმის კოშკები არ არის დამახასიათებელი იმ დროის საქართველოსათვის, იგი როგორც ეტყობა ლოკალურია.

ნაგებობები შადრევნიანი პავილიონის ჩრდილოეთით

ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე რამდენიმე სამშენებლო ფენის ნაშთი ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ ძნელია მათი გამიჯვნა (გენგეგმაზე — 9). აქ მთავარი ხელის შემშლელია თითოეული ფენის ფრაგმენტულობა. ამ ნანგრევებში, რამდენადაც ამჟამად ამის გარკვევა ხერხდება, ოთხი ფენა მაინცაა (სურ. 26).

პირველი ფენა წარმოდგენილია მარცხენა მხარეს მდებარე დიდი ზომის ნაგებობის საძირკვლით. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებულია (შიდა ზომები: 11,5×12,70 მ). ფლეთილი ქვის კედლები 20—30 სანტიმეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. სამხრეთის მხარეს გრძელი საფეხური კეთდება. ნაგებობის შიდა დანაწევრება არ ჩანს. შესაძლოა აქ ერთი ვრცელი სათავსო იყო 150 კვ. მეტრის ფართობით. ასეთ შემთხვევაში გადახურვის კონსტრუქციის საყრდენად შიგნით ხის ბოძები უნდა ყოფილიყო.

ამ შენობის კედლები მშენებლობის თავისებურებით ახლოს დგას ხისსვეტებიან სახლთან. ნაგებობის ქვემოთ, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, დუღაბში ჩასმული კერამიკული წყალსადენი მიემართება.

ნაგებობის დანგრევის შემდეგ მის ზემოთ უკვე სხვა დანიშნულებისა და გეგმის მქონე ნაგებობა აუგიათ. აქაც მხოლოდ საძირკვლის ნაწილია დარჩენილი. მისი გეგმა გრძელი სწორკუთხედია (7,6×4,0 მ). რამდენიმე ადგილას აგურის იატაკია შემორჩენილი, კარის ზღურბლი არ ჩანს. შენობისათვის შემდგომში სამხრეთ-დასავლეთით რაღაც სათავსო მიუდგამთ. მისგან ნაწილობრივ დარჩენილია მხოლოდ აგურის იატაკი. შესაძლოა ამ ნაგებობასთან ერთდროულად იყოს აგებული მის გასწვრივ, მარჯვნივ მდგარი შენობა.



სურ. 26. ნაგებობები შადრევნიანი პავილიონის ჩრდილოეთით. გეგმა.

აქაც საოცრად არეულია ფენები, რაც ჩვენ მშენებლობის ისტორიის დადგენაში გვიშლის ხელს, როგორც ეტყობა გრემელებს მოსვენებული ცხოვრება არ ჰქონიათ: ისინი თუ აშენებდნენ, მტრები ანგრევდნენ.

აღნიშნული მონაკვეთის თანდათანობით გათხრისას შემდეგი სურათი წარმოგვიდგა. ჯერ გამოჩნდა წყალსადენი, შემდეგ — შენობა აგურის იატაკით, მის ქვემოთ კი გაუქმებული ქვის აუზი.

თუ დავიწყებთ ქვედა პირველი ფენიდან, აქ მხოლოდ აუზია დარჩენილი (სურ. 26. ტაბ. XVII, XVIII$_1$). მას კვადრატული გეგმა აქვს და საკმაოდ მოზრდილია (1,8×1,8 სმ). მისი კედლები მთლიანად კარგად თლილი ქვითაა ამოყვანილი და ასეთივე იატაკი აქვს. სიღრმე ამჟამად 80 სანტიმეტრია. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ზედა ფენა აკლია, სადაც უნდა ყოფილიყო მოთავსებული წყლის შემოსასვლელი მილი (ალბათ შემდეგი ფენის იატაკის გეგმას უშლიდა და მოხსნეს). წყლის გასასვლელი წვრილი მილი კი მოთავსებულია აღმოსავლეთის კედელში იატაკის დონეზე.

გრემის ტერიტორიაზე, უკეთ მის დიდებულთა კვარტალში, ექსპედიციის მიერ გამოვლენილი იყო ხუთი აუზი. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ზომა და ფორმა აქვს. კედლების წყობის მასალა და ტექნიკაც განსხვავებულია, მაგრამ განსახილავი აუზის დარი არც ერთი არ არის. ამ აუზის კედლები იშვიათი სიზუსტითაა ამოყვანილი. ცხადია, თვით ის შენობა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა დიდებული სანახავი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც ვერ გადარჩენია მტრის ხელს, ხოლო შემდგომ მშენებელთ სხვა გეგმები ჰქონიათ, აუზი მიწით ამოუვსიათ და ახალი ცხოვრება დაუწყიათ.

ახალი შენობის ორი სათავსოს საძირკვლის ნაშთია დარჩენილი. ერთ-ერთი მათგანის გეგმა იკითხება, ხოლო მეორიდან მხოლოდ გვერდითი კედლების უმნიშვნელო ნაწილია.

ამ შენობის პირველი სათავსოს გეგმა თითქმის კვადრატულია (7,2×7,6 მ). საძირკველი ორიოდე ათეული სანტიმეტრის სიმაღლეზეა, ამიტომ აქაც არ ირკვევა არც შესასვლელი და არც სხვა რამ (სურ. 26. ტაბ. XVII$_2$), მისი იატაკი ჩვეულებრივი ზომის აგურითაა მოფენილი, სადაც ყურადღებას იქცევს დალაგების ფორმა. ქვედა ფენის ძველი აუზის თავზე იატაკი ათიოდე სანტიმეტრით ქვემოთაა დაწეული, აქეთკენ მიემართება ორი აგურის სიგანის ღარი. ეს ღარი ჩრდილოეთით კედლის ძირშივე იწყება, უერთდება ჩაღრმავებას და შემდეგ არ გრძელდება. როგორც ეტყობა, ამაში სითხე მოედინებოდა, მაგრამ კონკრეტულად თუ რისთვის იყო გან-

კუთვნილი არ ირკვევა. თავისთავად სათავსო კი სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო და არა საცხოვრებელი.

ამ შენობის სამხრეთ-დასავლეთის კუთხიდან კედელი გრძელდება დასავლეთით და უერთდება ზემოაღწერილ სწორკუთხა შენობას. იმავე ხაზზე ამ უკანასკნელი შენობიდან ისევ კედელი გამოდის და გრძელდება დასავლეთით. შენობების შემაერთებელი ეს კედლები, როგორც ეტყობა, გალავნის ნაწილია. თუ ეს ასეა, მაშინ აღნიშნული შენობები ერთი კომპლექსის ნაწილებია. არ არის გამორიცხული, რომ ამ კომპლექსში სხვა შენობებიც ყოფილიყო.

ზემოაღნიშნული ქვისაუზიანი შენობის დანგრევის შემდეგ მისი აღდგენა არ უცდიათ, მხოლოდ ზემოდან წყალსადენი გადაუტარებიათ.

წყალსადენი მოემართება დასავლეთიდან (ალბათ იგი ერთერთი ტოტია ბოლიას სათავეებიდან მომავალი წყალსადენისა), გადადის აუზიანი შენობის თავზე და მის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდებარე აუზში ჩადის. ეს აუზი პატარა სწორკუთხედს წარმოადგენს. ფაქტიურად იგი აუზი კი არ არის, არამედ წყალსაწრეტია, თანგირის როლს ასრულებდა. აქედან წყალსადენი გრძელდება და სამიოდე მეტრზე მცირე ზომის წრიული ფორმის დახურულ აუზში ჩადის. წყალსადენი აქ სამხრეთისაკენ უხვევს, მიემართება მდინარის პარალელურად შადრევნიანი პავილიონისაკენ და მიჰყვება მის აღმოსავლეთის კედელს გარედან. ამჟამად ეს ხაზი მდინარის მიერ ნაპირისათვის ძირის გამოთხრის გამო ჩაწეულია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წყალსადენის დონე თავდაპირველად მაღლა იქნებოდა და იგი კვებავდა შადრევნიან პავილიონს.

აქ აღწერილ ნანგრევებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი დეტალი. სახელდობრ, პირველად აღწერილი კვადრატული დიდი სახლის ნანგრევებზე, უფრო სწორად მის აღმოსავლეთის კედელზე (ნაწილობრივ) დევს დუღაბით ამოყვანილი აბაზანისმაგვარი რაღაც საგანი. მას მკვეთრი ფორმები არა აქვს. საერთო შიდა სიგრძე 1,8 მ, ხოლო საშუალო სიგანე 0,8 მ, სიღრმე არ აღემატება 20 სანტიმეტრს. ეს „აბაზანა“ ისე დევს, რომ არაფერთან არ არის დაკავშირებული. ასევე ერთი შეხედვით უადგილო ადგილას დევს ისეთივე „აბაზანები“ „თარსა-გალავნის“ ეზოში (ექსპედიციის მიერ იყო მიკვლეული სამხრეთ-აღმოსავლეთით) ქარვასლის ნანგრევებზე, აქვე სასახლეთა კომპლექსის მიდამოებში (პატარა ნატეხის სახით) და მთავარანგელოზის სამრეკლოს მესამე სართულზე. ყველა ესენი ფორმით ერთნაირია, მაგრამ ზომებში მცირე განსხვავებაა. როგორც

„აბაზანის“ ქვედა ნაწილიდან ჩანს, ისინი მიწაში იყვნენ ჩამჯდარნი, უკეთ — მიწაში კეთდებოდა ორმო და შემდეგ ხრეშითა და დუღაბით ეძლეოდა საჭირო ფორმა. ამათგან ის, რომელიც სამრეკლოში აღმოჩნდა რესტავრაციის დროს დავატოვებინეთ, რადგან იგი იქვე ჩადგმულ თონესთან იყო დაკავშირებული. ეს „აბაზანები“, როგორც ეტყობა, რაღაცის მოსაზელად იყო განკუთვნილი (ჯერჯერობით სხვა ახსნა ვერ გვიპოვნია. მომავალში კახეთის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვა გათხრები, ალბათ, სიცხადეს შეიტანს ამ საკითხის გადაწყვეტაში).

საცხოვრებელი სახლი

ამ უბანში გათხრილ საცხოვრებელი სახლებიდან ეს შენობა ერთადერთია, სადაც გეგმის მოხაზულობა მაინც იკითხება მთლიანად (გენგეგმაზე — 10).

შენობა მდებარეობს რვაგვერდა კოშკსა და წმ. მარიამის ეკლესიას შორის. მას თავის დროზე საკუთარი ეზოც ექნებოდა, მაგრამ ამჟამად არ ირკვევა.



სურ. 27. საცხოვრებელი სახლი. გეგმა.

შენობა გეგმით გრძელი სწორკუთხედია (40,6×7,0 მ). მის შიგნით სხვადასხვა ზომის ოთხი ოთახია (სურ. 27, XVIII$_2$). ერთი

მათგანი სხვებს შესამჩნევად აღემატება. შენობის რიყის ქვის კედლები ოცდაათიოდე სანტიმეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი და ამიტომ სხვა დეტალები კი არა, კარის ზღურბლიც კი ჯერსად ირკვევა.

შენობაში შესასვლელი უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან, სადაც კარიბჭისმაგვარი სათავსოს საძირკველია დარჩენილი. თუ ეს ასეა, მაშინ აქედან კარი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მარცხნიდან მეორე ოთახში. ამ ოთახიდან კი შიდა კარებით მოხდებოდა დანარჩენ ოთახებთან დაკავშირება.

აღწერილ სახლზე, დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით სხვა არაფრის თქმა არ შეიძლება.

მარანი

მარანი მდებარეობს ამ კვარტალის აღმოსავლეთით, განაპირას (გენგეგმაზე — 11). ეს ძეგლი ჩვენ მიერ შესწავლილი ობიექტებიდან ყველაზე მეტადაა დაზიანებული. ფაქტიურად დარჩენილია საწნახელის ნანგრევები (სურ. 28).

მარანი, ცხადია, დახურული ნაგებობა უნდა ყოფილიყო. აქ დარჩენილია მხოლოდ საწნახელი. მარნის ერთ ბოლოში ჩვეულებრივ საწნახელი ეწყობა და იქიდან შემდეგ ღვინო მილებით ქვევრებში ნაწილდება. აქ მარანი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო. შეიმჩნევა მხოლოდ კედლების ნაკვალევი.



სურ. 28. საწნახელი. გეგმა და განაკვეთი.

საწნახელი ორნაწილიანია, ერთი გრძელია და მეორე მოკლე. ორივეში ხდებოდა ყურძნის გამოწურვა. ღვინო შიგნით იატაკზე არსებული ღარებით გროვდებოდა ხვრელებთან. ამ ხვრელებიდან კი უშუალოდ მარანში გადიოდა სითხე.

მსგავსი ტიპის ქვის საწნახელები, როგორც ეტყობა, გავრცე-

ლებული იყო გვიან საუკუნეებში, რადგანაც ანალოგიები მოიპოვება არა მარტო კახეთში, არამედ ქვემო ქართლშიც.

საწნახელი ქვითაა ნაგები. შიგნით კარგად ყოფილა მკვრივი ხსნარით შელესილი.

აბანო

ქალაქის სამი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. ფეოდალურ სამყაროში სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო; სიუზერენი „მდაბიოსთან“ არ იცხოვრებდა და არც იბანავებდა. თანაც, სავაჭრო კვარტალში მდგარ აბანოსთან შედარებით ეს აბანო უფრო დიდი და კომფორტულია. მისი კედლებიც მეტად მტკიცედ ყოფილა ნაგები. მას ჩვეულებრივ ვერაფერი დაანგრევდა, თუ არა შაჰ-აბასის ურდოები. დანგრევის შემდეგ მისი აღდგენა არავის უცდია. მხოლოდ ჩამონგრეული გუმბათებიდან და კამარებიდან აგური ნაწილობრივ დაუტაცნიათ.

აბანო მდებარეობს ამ კვარტალის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირას, დღევანდელი სასოფლო გზის ნაპირას (გენგეგმაზე — 12). ამ მხარეს სადაზვერვო თხრილებმა სხვა ნაგებობები ვერ გამოავლინა[9].

აბანო ორ დიდ მონაკვეთად იყო გაყოფილი (სურ. 29). ერთი უშუალოდ საბანაო და მასთან დაკავშირებული სათავსოები, ხოლო მეორე — გასახდელ-მოსაცდელი და სხვა დამხმარე სათავსოები. ამას გარდა, პირველი ნაწილი ფაქტიურად ორსართულიანია, რადგანაც ქვემოთ მოთავსებული იყო კალორიფერი. აქვე უნდა აღვნი-

---

9 სოფ. გრემის რამდენიმე მცხოვრებმა გვითხრა, რომ აქ მდებარე ვენახში ახლაც ჩანს გვირაბში ჩასასვლელი, საიდანაც პირდაპირ გადიოდნენ „მთავარანგელოზის“ გალავანშიო. ასეთი გრძელი გვირაბის არსებობა, ცხადია, გამორიცხული იყო, მაგრამ ჩვენ გავყევით და მითითებულ ადგილას ორმოს გაწმენდისთანავე გაირკვა, რომ წყალსაცავს წავაწყდით. ასეთი წყალსაცავი კი, ანალოგიების მიხედვით, მხოლოდ აბანოს შეიძლებოდა ჰქონოდა. ჩვენ გულდაჯერებით შევუდექით გათხრებს. აბანოს გაწმენდას და ფიქსაციას თითქმის ორი კამპანია მოვანდომეთ.

ამ აბანოს არსებობა ალ. მამულაშვილისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. იგი ერთგან წერს: „გრემის ნაქალაქარში ორი აბანო ვიცით, ერთი — ზემოაღწერილი (ე. ი .სავაჭრო უბნის—პ. ზ.) და მეორე — კარის აბანო“ (დას. შრომა, გვ. 182). აქ მითითებული არ არის, თუ სად ნახა მან ეს „კარის აბანო“, მაგრამ ალბათ ეს აბანო იგულისხმება.

შნოთ ისიც, რომ ზემოაღნიშნული აბანოს ორი მთავარი ნაწილის კედლები ერთმანეთთან გადაბმული არ არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მათ არათანადროულობას; ცხადია, ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებდა. გადაკეთებები ნაგებობას განუცდია, მაგრამ მეტად უმნიშვნელო.



სურ. 29. დიდებულთა უბანი. აბანოს გეგმა.

აბანოში მთავარი შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდანაა (აქეთ მხარეს იყო ქალაქი და, კერძოდ, სასახლეთა უბანი). ამასთანავე, იყო დამხმარე გასასვლელი, რომელიც მოპირდაპირე მხარეს, უკეთ სააბანო კორპუსის მიჯნაზე იყო. მაგრამ ბოლო დროს ამ გასასვლელს, როგორც დამხმარეს, სათადარიგოს, თავისი დანიშნულება დაუკარგავს და იქვე ორი ახალი კედლის აგებით მცირე სათავსო შეუქმნიათ (ძირითად ნაგებობასთან განსხვავებით ახალი კედლები თიხაზეა ნაგები). აბანოში მთავარი კარიდან კვადრატულ ოთახში გავდივართ, რომელსაც ვესტიბიულის როლიც ეჭნებოდა დაკისრებული.

ვესტიბიულიდან კარით ხვდებით ჯვარ-გუმბათოვან სივრცეში (სურ. 29, 30). აქ იყო განლაგებული გასახდელ-მოსაცდელი. მაგრამ

ეს არ იყო გადაწყვეტილი მარტივად, მხოლოდ ფუნქციის შესასრულებლად; აქ ჩანს დამკვეთის დიდი მოთხოვნები, მაღალი გემოვნება და გაქანების მასშტაბიც.



სურ. 30 დიდებულთა უბანი. აბანოს განაკვეთები.

ამ ნაგებობის ცენტრი თითქმის კვადრატულია. მისი კუთხეები ჩამოჭრილია, რის გამოც გეგმა შეიძლება წავიკითხოთ, როგორც რვაკუთხედი, სადაც გრძელი გვერდებიდან მოპირდაპირეები თანატოლებია, ხოლო კუთხეები — ერთნაირი. ამ რვაგვერდაზე აღმართული იქნებოდა გუმბათი. გუმბათქვეშა სივრცეს ოთხი მკლავი უერთდება. აქედან სამი თანატოლია, ხოლო მეოთხე — ღრმა და განიერი. მათი იატაკების დონეები ცენტრთან შედარებით აწეულია 60—70 სანტიმეტრით. როდესაც აბანო მუშაობდა, მაშინ ამ ნიშებში ფარდაგები იქნებოდა დაგებული და სიცხიდან გამოსულნი აქ წამოწვებოდნენ, დაისვენებდნენ. გათბობას აქ სხვა რამეც უწყობდა ხელს. ესაა აუზები, რომლებიც ორგან იყო მოწყობილი. ერთი აუზი ცენტრშია, მეორე კი — ჩრდილოეთის მკლავში. პირველი მათგანი უფრო დეკორატიულადაა გადაწყვეტილი (სურ. 29, 30, ტაბ. XXI$_2$). იატაკზე აღმართულია ექვსი ნახევარწრისაგან შედგენილი თხელი კედელი. მის ცენტრში კერამიკულ მილს თავი აქვს ამოყოფილი.

აქამდე კი წყალსადენი აღმოსავლეთის კედელს მოყვება, ჩრდილო-აღმოსავლეთის მოკლე კედელში კუთხეს აკეთებს და ვერტიკალურად ძირს ჩადის, იქ კი იატაკში ისევ უხვევს და ამოდის აუზის ცენტრში. აუზის წყლით ავსების შემდეგ, ქვემოთ დატოვებული ხვრელიდან, დაცლა ადვილი იყო (საჭიროებამდე მას ხის ნაჭერზე დახვეული ჩვრით დახურავდნენ).

მეორე აუზი სხვა პრინციპზეა აგებული (სურ. 29, 30, ტაბ. XXII$_1$). იგი მოწყობილია ჩრდილოეთის მკლავის თითქმის ცენტრში და იატაკშია ჩამჯდარი. იგი ცოტათი პატარაა ზემოაღწერილზე და ფორმით რვაგვერდაა. აქაც წყალი კერამიკული მილებით აღმოსავლეთიდან შემოდის და სამხრეთით გადის. ეს აუზი სასმელი წყლის მისაღებადაც გამოდგებოდა.



სურ. 31. დიდებულთა უბანი. აბანოს განაკვეთები.

აღწერილი ოთხი უბნისა და ვესტიბიულის გარდა, კიდევ არის ერთი ოთახი დამატებითი სათავსოთი სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში. ეს სათავსოები დამხმარე იქნებოდა მომსახურე პერსონალისათვის.

ამ ნაწილიდან საბანაოში შესასვლელად ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მოგრძო დერეფანია დატოვებული (სურ. 29, ტაბ. XIX). დერეფანი აბანოს ცხელ ნაწილში შედის. ადრე აქვე იყო დამხმარე კარი, რომლისთვისაც გარედან ვიწრო სათავსო მიუდგამთ. კონკრეტულად თუ რა დანიშნულებისა იყო იგი არ ჩანს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი განკუთვნილი ყოფილიყო საპირფარეშოდ. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ეს მინაშენი საერთო კოლექტორ-

ზეა დადგმული (თანაც, თავდაპირველ ნაგებობაში ასეთის არსებობა არ არის დადასტურებული).

ნაგებობის საბანაო ნაწილის აღწერა საქვაბიდან და წყალსაცავებიდან უნდა დავიწყოთ. გრემის აბანო რადგანაც ცხელი წყლით საბანაოდ იყო განკუთვნილი, ამიტომ გეგმარების მთელი პრინციპი აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ე. ი. სათავსოები უნდა ყოფილიყო გამთბარი და საბანაოები მომარაგებული ცხელი წყლით (სურ. 29—31).

ჩვეულებრივ ასეთი ტიპის აბანოები ორსართულიანია. ქვედა სართულს, რომელსაც კალორიფერს, ანუ ჰიპოკაუსტს უწოდებენ, ცხელი ჰაერის ცირკულაციისათვის აკეთებდნენ და ფაქტიურად ცენტრალური გათბობის როლს ასრულებდა. საცეცხლეც იმავე სართულზე, იმავე დონეზეა მოწყობილი.

საცეცხლე ჩრდილოეთის კედლის ცენტრშია მოწყობილი, გარედან მოზრდილ კარში შეშას აწყობდნენ (არ არის გამორიცხული, რომ დასანთებად ნახშირი გამოეყენებიათ). შიგნით კვადრატული სათავსოს თავზე ტაშტი იდგა. ტაშტის თავზე იყო გრძელი კამაროვანი წყალსაცავი, სადაც ათზე მეტი კუბომეტრი წყალი თავისუფლად ეტეოდა (ტაბ. XXI_1). ცხელდებოდა ტაშტი და მასზე დამდგარი წყალი. შემდეგ კი ცივი და ცხელი წყლის მუდმივი მონაცვლეობით წყალი მთლიანად ცხელდებოდა. რის შემდეგაც კედლებში დატანებული კერამიკული მილებით ცხელი წყალი მიემართებოდა სათანადო ადგილებში, დანიშნულებისამებრ.

იმავე საცეცხლედან ცხელი ჰაერი მიემართებოდა აბანოს ქვედა სართულში. სვეტებს შორის ხდებოდა ცირკულაცია, თბებოდა და ხურდებოდა ჭერი, ის კი თავისთავად ათბობდა ზემოთ მდებარე საბანაო სათავსოებს. ქვემოთ დაგროვილი კვამლისათვის შენობას სამ ადგილას საკვამურები ჰქონდა დატანებული.

კალორიფერის სისტემა და იატაკის კონსტრუქცია შემდეგი სახითაა გადაწყვეტილი: ქვედა სართულის სიმაღლე 60—70 სმ აგურის სვეტები ისეა განლაგებული, რომ მათზე კუთხეებით დაეყრდნოს 8—10 სმ სისქისა და 40—45 სმ სიგანის აგური. დარჩენილი ადგილები შევსებულია ასევე სპეციალურად გამომწვარი აგურებით (სურ. 32). ამაზე დასხმულია 3—5 სმ სისქის კირის დუღაბი. ამ სქელ დუღაბზე კი საბოლოოდ დაფენილია იატაკად გამოსადეგი ჩვეულებრივი აგური (ზომები: 22×22×4 სმ). ასეთი ხერხით მიღებულია ერთიანი მონოლითი, რომლის სისქე მერყეობს 15—18 სმ

შორის. ამ იატაკს ისე აცხელებდნენ, რომ ზედ სიარულიც შესაძლებელი ყოფილიყო და სათავსოებისთვისაც სათანადო ტემპერატურა გადაეცა.

ზემოაღნიშნული ცხელი წყლის აუზის გარდა აბანოს ორი აუზი ჰქონდა ცივი წყლისათვის (სურ. 29, ტაბ. XII$_1$). ერთი დიდი, მეორე — პატარა. ორივე მდებარეობს გვერდიგვერდ ჩრდილო-აღ-



სურ. 32. დიდებულთა უბანი. აბანოს იატაკის კონსტრუქცია.

მოსავლეთის კუთხეში და ერთმანეთთან ფანჯრისმაგვარი მოზრდილი ხვრელითაა დაკავშირებული (აუზები ერთმანეთს ქვემოთ მდებარე მილით უკავშირდებოდნენ, ეს ხვრელი კი საჭირო იქნებოდა გაწმენდისა, თუ სხვა მიზნით შიგ შესაძრომად). ასეთივე ფანჯრისმაგვარი ხვრელი აქვს მეორე აუზს, რომელიც გამოდის ჩრდილო საბანაო ოთახში. ამ ხვრელის გამოყენება შეიძლებოდა სხვადასხვა მიზნით, მათ შორის წყლის ამოსაღებადაც.

ერთი აუზიც ჰქონია აბანოს. იგი მდებარეობდა დასავლეთით ცენტრში (სურ. 29, 30, ტაბ. XX$_2$). განსხვავებით იმ ორი აუზისაგან აქ ცივი წყალიც შემოდიოდა და თბილიც, აქ ალბათ განელებული წყალი ექნებოდათ, რომელსაც იღებდნენ ისევ ფანჯრისმაგვარი ღიადიდან. ამ აუზში ცხელი წყლის მილი აბაზანის გამოვლით შემოდის, ხოლო ცივი წყლის მილი — გარედან. ეს მილი ჩრდილოეთიდან მოემართებოდა, მაგრამ ძირითადი ხაზი დაზიანების გამო ვერ აღმოვაჩინეთ. ის მცირე მონაკვეთი, რომელიც აბანოს კედლის სიახლოვესაა და მას ებჯინება, დუღაბით ამოყვანილი ქვის ღარია, რომელიც ზემოდან დახურული იქნებოდა.

ამის გარდა, ორი კერამიკული მილი შემოდიოდა ჩრდილო კედლის აღმოსავლეთით (ბოლოში). აქაც გარე ხაზი დაკარგულია. ორი მილიდან ერთი პირდაპირ ცივ აუზში შედიოდა, მეორე კი კედელშივე სპეციალურად დამზადებული მუხლით უხვევდა დასავლეთით, ისევ კედელშივე კიდევ უხვევდა სამხრეთისაკენ და მეორე მუხლის გამოყენებით ცხელი წყლის აუზში ჩადიოდა.

აბანოში შემავალი სამივე ხაზი, ცხადია, ერთი წყალსადენის შტოებია, მაგრამ წყალსადენი საიდან მოდიოდა ეს გაურკვეველი დარჩა. არ არის გამორიცხული, რომ ამ წყალსადენსაც საწყისი მდ. ბოლიას სათავესთან ჰქონოდა.

ნაგებობის თვით საბანაო სათავსოები მრავალფეროვანია და ამავე დროს მეტად კომპაქტური. ცენტრი ტოლმკლავა ჯვარს აქვს დაკავებული. სწორკუთხა მკლავები მთავრდება სამგვერდა ფორმით. თითოეულ მკლავს ერთმანეთისაგან განსხვავებული კონკრეტული გადაწყვეტა აქვს. ჩრდილოეთის მკლავი ცხელ წყალსაცავს ეჭიჯნება. აქ ზემოთ პატარა ფანჯარასავითაა, რომელიც შესაძლოა საკონტროლოდ იყო განკუთვნილი. იქვე ქვემოთ კი ერთი მილი შემოდის, მაგრამ კედლის სისქეში არ ირკვევა მისი საწყისი, ამიტომ გადაწყვეტით ვერ ვიტყვით იქიდან ცხელი წყალი გამოდიოდა თუ ცივი. დასავლეთის მკლავის მარჯვენა მოკლე გვერდზე ერთმანეთზე ორი მილია მოთავსებული (კედლებში დატანებული მილების დიამეტრი საშუალოდ 6—8 სმ). ცხადია, ერთი ცივი წყლისთვის იყო განკუთვნილი, მეორე კი — ცხელისთვის. მილების ქვეშ იატაკზე დამაგრებულია ქვაბის ფორმის კერამიკული ჭურჭელი (სურ. 29, 30, ტაბ. XX$_2$). ჭურჭელი სქელ დუღაბშია მკვრივად ჩასმული და საკმაოდ მოზრდილია (დიამეტრი დაახლოებით 40 სანტიმეტრამდეა და სიმაღლე 30 სმ). კერამიკული მილები უშუალოდ ქვაბის თავზე გამოდის. წყალი ამ ჭურჭელში გროვდებოდა და იქიდან დაისხამდნენ განელებულს.

ჯვრის აღმოსავლეთის მკლავი მილებისაგან თავისუფალია. იგი მხოლოდ კარით უკავშირდება კვადრატულ სათავსოს, სადაც ჩრდილოეთის კედლის ცენტრში ზემოაღწერილის მსგავსი კერამიკული ჭურჭელია მიდგმული. ზემოდან აქაც ცივი და ცხელი წყალი ჩამოდიოდა. მოპირდაპირე კედელზე, მაღლა, მცირე ზომის თაღოვანი ნიშაა მოთავსებული.

ჯვრის სამხრეთის მკლავი მილების გარეშეა. აქ შესაძლოა ხის ტახტი იდგა და რაიმე ჭურჭლით მოტანილი წყლით იბანდნენ. ასე-

თივე ტახტები სხვაგანაც იქნებოდა გამოყენებული. იქვე სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდებარე კვადრატული სათავსოს აღმოსავლეთის კედელში მხოლოდ ერთი მილია. არ არის გამორიცხული, რომ აქ მხოლოდ ცივი წყალი ყოფილიყო.

მოპირდაპირე სამხრეთ-დასავლეთის კუთხის სათავსოს გარე კედელზე ისევ კერამიკული ქვაბია მიდგმული, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით აქ მილებით წყალი არ შემოდიოდა. ამის საჭიროება არც იყო, რადგან იქვე გვერდით დიდი აუზი იყო, სადაც განელებული წყალი მუდმივად იდგა. იქვე სპეციალურად დატანებული ფანჯრიდან ჭურჭლით წყალს აიღებდნენ და ისე იბანდნენ.

საბანაოდ განკუთვნილი ტოლმკლავა ნაგებობის იატაკი, როგორც ყველგან, აქაც აგურითაა მოგებული. საჭირო იყო დაღვრილი წყლის იოლად გაყვანა. ეს საკითხი მარტივადაა გადაწყვეტილი. იატაკი დაქანებული იყო შესასვლელისაკენ, აქ კი იწყებოდა ღარი, რომელიც კედელს ჯერ ღიად მიჰყვებოდა, შემდეგ კი ორი კარის არეში იატაკქვეშ გადიოდა და ბოლოს მიემართებოდა დასავლეთისაკენ, სადაც მოწყობილი იქნებოდა კოლექტორი, ან ჩვეულებრივი საკანალიზაციო მილი მდინარემდე.

ორივე სააბაზანო, პრინციპში, ერთნაირადაა გადაწყვეტილი — აბაზანა და წინა ვრცელი სათავსო. მიუხედავად ამისა, კონკრეტული გადაწყვეტით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — აღმოსავლეთისა მარტივია, ხოლო მოპირდაპირე — რთული.

აღმოსავლეთის აბაზანის წინა სათავსოს იატაკი ჩანგრეულია, მაგრამ ეტყობა, რომ იქ მხოლოდ ჩრდილოეთის კედელზე მცირე შვერილი იყო მოდგმული, გვერდზე მილით (სურ. 29, ტაბ. XIX$_1$). ეს შვერილი ჩამოსაჯდომად იქნებოდა განკუთვნილი. მოზრდილი სწორკუთხა აბაზანა თხელი, დაბალი კედლითაა გამოყოფილი. ჩრდილოეთის კედელში ორი მილი შემოდის.

მეორე აბაზანა მეტი კომფორტითაა აგებული (სურ. 29, 30, ტაბ. XX$_1$). მის სამ მხარეს ჩამოსაჯდომად ღრმა ნიშნებია განლაგებული. აუზს ქვემოთაც საფეხური შემოუყვება. აბაზანის კედლები, ისე როგორც მეორე აბაზანისა და წყალსაცავების კედლები მკვრივი, წყალგამძლე ხსნარითაა შელესილი. აბაზანის კედლები ზოგან ისე კარგადაა შენახული, რომ ახალი შელესილი გეგონებათ. აბაზანის წინა სათავსოს კედელზეც ჩამოსაჯდომია მიშენებული, გვერდზე კი — ისევ მილი.

აბანოს გასახდელ-მოსაცდელის მონაკვეთის მსგავსად, ნაგებობის საბანაო ნაწილიც გუმბათებითა და კამარებით იყო და-

გვირგვინებული. საშენ მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული (ზომით: 22—23×4—5 სმ). მაგრამ აქა-იქ ყორე ქვაცაა ნახმარი. კირის დულაბი ისეთი მკვრივია, რომ შენობა საუკუნეებს გაუძლებდა შაჰ-აბასის ურდოებს რომ არ დაენგრიათ. ზოგან გუმბათებისა და კამარების ნანგრევი ახლაც გდია და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორც წესი, გვიანი საუკუნეების საქართველოში აბანოებს ფანჯრები გვერდის კედლებში არასოდეს არ ჰქონია. სინათლის წყაროს ყოველთვის წარმოადგენდა კამარებისა და გუმბათის ცენტრში დატოვებული ხვრელობები. ასეთივე განათება იქნებოდა გრემშიაც (აქ იგულისხმება ორივე აბანო).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ აბანოს მცირე გადაკეთებები განუცდია, კერძოდ დასავლეთით მდებარე კარის გაუქმება და იქვე პატარა სათავსოს შემოფარგვლა, ეს უკანასკნელი უფრო დიდი მასშტაბის მინაშენია. იგი მდებარეობს აღმოსავლეთით, ნაგებობის ორ ნაწილს შორის. აქ დამატებითი კედლების აგებით 20 კვადრატული მეტრი ფართობის სათავსო მიუღიათ. დარჩენილია 40—45 სმ სიმაღლის კედლები. მათში შესასვლელი ან სხვა დეტალი არ ჩანს. შუაზე ერთგან დარჩენილია იატაკის ფრაგმენტი, სადაც კერამიკული ძილია დატანებული. შესაძლოა ამ მილით, ჯერ კიდევ ახალი კედლების აშენებამდე, გარედან მიემართებოდა ცივი წყალი მოსაცდელის ჩრდილოეთის მკლავის იატაკში მდებარე აუზისაკენ. ახლად შემოფარგლულ სათავსოს დამხმარე დანიშნულება ექნებოდა.

დაზიანების გამო გრემის აბანოს კიდევ ერთი გაურკვეველი ადგილი აქვს. ესაა ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე. აქ, როგორც ეტყობა, ჩრდილო კედელი დასავლეთით გრძელდებოდა, იქვე იყო ღრმა ნიშა.

როგორც ვნახეთ, განხილული აბანო გეგმარების კომპაქტურობით, ინტერიერის სივრცობრივი, თუ კონკრეტული გადაწყვეტით მაღალი გემოვნების ნაწარმოებია. მისი ავტორი მეტად გამოცდილი და განათლებული არქიტექტორი უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, თბილისში მდგარი ე. წ. როსტომის აბანოს მსგავსად[10], აქაც ყოფილიყო „სგრაფიტოს“ წესით მოხატული კედლები. ან ისე, როგორც ეს იყო გამოყენებული თელავში ე. წ. ერეკლეს აბანოს გასახდელი ოთახის კედლებზე. უფრო მარტივად, შავი ხაზე-

---

[10] რ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, როსტომ მეფის სასახლის აბანო, „ძეგლის მეგობარი“, თბილისი, 1964, № 2, გვ. 11—14.

ბითაა დამუშავებული ქვემო ჭალისა და მძოვრეთის აბანოს ზოგიერთი სათავსოს კედლები.

ხუროთმოძღვარს, როგორც საერთოდ აბანოებში, ისე აქაც, ფასადების გაფორმების გადაწყვეტა თითქმის არ უხდებოდა, რადგან აბანოები ჩვეულებრივ მიწაში იყო ჩამჯდარი. ამას განაპირობებდა ორი რამ: ერთი—რაც შეიძლება სითბოს მეტხანს და უკეთ შენახვა, ხოლო მეორე — აბანოს წყალსადენის წყლით მომარაგება (წყალსადენი მიწაში იყო ჩამჯდარი და მისი შესასვლელი აბანოში იმავე დონეზე უნდა ყოფილიყო). ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ შესასვლელებია დეკორატიულად ოდნავ აქცენტირებული. არ არის გამორიცხული, რომ გრემშიც აბანოს შესასვლელი მორთული ყოფილიყო, მაგრამ ამ ადგილას კედლები ნახევარ მეტრამდე ძლივსაა შერჩენილი და ამიტომ ვერაფერს ვამბობთ.

დღემდე ცნობილი აბანოებიდან გრემის განხილული აბანო ყველაზე უკეთაა დაგეგმარებული. გამოცემული და მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილი აბანოებიდან ეს ითქმის, როგორც თბილისში აგებული როსტომ მეფის აბანოზე[11], ისე თელავში მდგარ ე. წ. ერეკლეს აბანოზე[12], აგრეთვე დიდი თავადის ამილახორის აბანოზე ქვემო ჭალაში[13]. აქვე შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი აბანო, რომელიც შედიოდა ალავერდის კომპლექსში[14].

გრემის აბანო არ არის დათარიღებული. მის გათხრებისას არ აღმოჩენილა ისეთი ნივთი ან მონეტა, რომელიც ზუსტ თარიღს მოგვცემდა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მივცეთ მას ზოგადი თარიღი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქ გრემის აყვავებასთან, ხოლო დანგრევა, რომ შაჰ-აბასის სახელთან არის დაკავშირებული ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

---

11 რ. გვერდწითელი, დასახ. ნაშრომი.

12 ალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV — B, თბილისი, 1947, გვ. 167—174.

13 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 394, სურ. 56—57 (ავტორს როგორც ამ გამოცემაში, ისე სხვა გამოცემებშიაც „ზემოჭალა" უწერია ქვემო ჭალას ნაცვლად).

14 Г. Н. Чубинашвили, დასახელებული ნაშრომი, გვ. 528—529.

თავი IV

სავაჭრო უბანი

ქალაქის სავაჭრო უბანი მდებარეობს მთავარანგელოზის ან-სამბლის სამხრეთ-დასავლეთით (სურ. 1, ტაბ, III, IV). მას ერთი მხრიდან ქედი ესაზღვრება, სამხრეთით მდ. ინწობის ნაპირი, ხოლო ჩრდილოეთით — მაღალი მთა. დასავლეთის მხარე გაშლილია და ვაკე მინდვრები მდ. ალაზნის აუზს უერთდება.

ამჟამად, რამდენადაც ამის გარკვევა ხერხდება, სავაჭრო უბანს ოცდაათ ჰექტარამდე ფართობი ეკავა. ამ უბნის ცენტრალურ ნაწილში ბაზარი და ქარვასლა იყო. აბანო განაპირას იდგა, ხოლო დანარჩენ ფართობზე სახელოსნოები, საცხოვრებელი სახლები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები იქნებოდა განლაგებული.

ჯულბაქები და ქარვასლა

გრემში ქულბაქის არსებობა გათხრების დაწყებამდეც იყო ცნობილი, ხოლო ქარვასლისა კი არა. ადგილობრივ მოსახლეობამაც იცის ნაქალაქარზე ქულბაქების არსებობა, ქარვასლაზე კი არაფერი გაუგონიათ. ამასთანავე ქულბაქები ნახსენებია სამეცნიერო ლიტერატურაშიაც[1].

სულხან-საბას მიხედვით, ქულბაქს ორი განმარტება აქვს. იგი წერს: „ქულბაქი სხუათა ენაა, ქართულად ბაზარი“. შემდეგ იქვე განმარტავს: „ქულბაქი დუქანი, ანუ ხულა“.

ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ქალაქის დამახასიათებელ ნიშნებს განსაზღვრავს ყოველმხრივ განიხილავს ქულბაქსაც. ჩვენ აქ მოვიყვანთ მის რამდენიმე განმარტებას. იგი წერს: „სახლის აგება ქალაქისათვის არაფერს ნიშანდობლივს არ წარმოადგენს. ქალაქის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქ-

---

1 Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

ში საქულბაქე ადგილები უნდა ყოფილიყო. ქულბაქი სპარსული სიტყვაა. ქულბეჰ — სპარსულად სავაჭრო ადგილს, დუქანს ნიშნავს. ამ დროს, ე. ი. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში ქულბაქი იხმარება. ამგვარად, ქალაქის ასაშენებლად ანუ ატენის ქალაქად გადასაქცევად ქულბაქები ააგეს. მეფეს ასეთი ადგილები იმათთვის დაურიგებია, რომელთაც „შენება" შეეძლოთ". ე. ი. ყველასათვისაკი არა, არამედ იმათთვის, რომელთაც ქალაქისათვის შესაფერისი შენობების აგება შეეძლოთ"[2].

ზემომოყვანილი აზრი ეყრდნობა ატენის სიონის ცნობილ წარწერას, რომელიც შესრულებულია 1060—1068 წლებს შორის და წარმოადგენს ბაგრატ IV-ის ბრძანებას. ამ წარწერაში ერთგან ციხისთავი წერს: „მე ავაგე სახლი და ქოლბავი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა"-ო[3].

ქულბაქის შეწირვა ეკლესიისადმი, როგორც ეტყობა ჩვეულებრივი ყოფილა ძველ საქართველოში, რადგან ამის მაგალითი იქვე გრემშიც გვაქვს. ატენის წარწერა თუ XI საუკუნეშია შესრულებული, გრემში ქულბაქებთან ახლოს მდგომ „თარსა-გალავნის" ეკლესიის წარწერა XVI ს. ბოლოსაა შესრულებული. ამ წარწერის შემსრულებელი მათარსი წერს, რომ ააგო ეკლესია და შესწირა სხვადასხვა რამ. მათ შორის — „შევწირეთ... ორი ქულბაქი".

იქვე, ი. ჯავახიშვილის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ მანამ სპარსულიდან ტერმინი „ქულბაქი" შემოვიდოდა (ჩანს წყაროებში IX საუკუნიდან), ქართველები ხმარობდნენ „სავაჭრო სახლს". უფრო მოგვიანებით კი ქულბაქს სცვლის „დუქანი". თავისთავად საინტერესოა თუ როდის სცვლის „ქულბაქს" „დუქანი", მაგრამ ჯერჯერობით ამის დაზუსტება ვერ ხერხდება. ვიცით მხოლოდ, რომ დუქანი გვხვდება XVII—XVIII საუკუნეების ნაწერებში. სამწუხარო ის არის, რომ თვით დუქანიც უცხო სიტყვაა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ საბოლოოდ ოთხი ტერმინი გვქონდა: სავაჭრო, საფარდულე, ქულბაქი და დუქანი[4].

პატივცემულ მკვლევარს მიაჩნია, რომ დროთა ვითარებაში ერთი ტერმინი მეორეს უბრალოდ კი არ ცვლიდა, არამედ თითოეულ შემთხვევაში იგულისხმებოდა ხუროთმოძღვრული ფორმების

---

2 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბილისი, 1946, გვ. 35.

3 ი ქ ვ ე, გვ. 33—34.

4 ი ქ ვ ე, გვ. 54.

ცვლილებებიც. ეს, ასეა თუ არა ამის დასადგენად აუცილებელია ყველა ეპოქის ქულბაქების არქიტექტურული ფორმების ცოდნა, რისთვისაც მონაცემები არა გვაქვს, ამიტომ გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით.

გრემის ქულბაქებზე ისტორიულ წყაროებში არაფერი შემოგვრჩენია გარდა იმისა, რომ XVII ს. ორმოციან წლებში ჩამოსული რუსი ელჩების მიშეცკისა და კლუჩარევის ანგარიშში ერთგან წერია: „Да тут же бывали лавченка каменые, лавок с 5, все разбиты“[5]. ამ ცნობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქულბაქებიც შაჰ-აბასის მიერაა დანგრეული და მერე იგი არავის აღუდგენია.

გრემის თანამედროვე და მასთან ერთად დანგრეულ ქალაქ ზაგემს (ბაზარი), რომელიც პირველისგან 150 ვერსით ყოფილა დაცილებული[6], აგრეთვე ჰქონია დუქნები. ამაზე ვკითხულობთ რუსი ელჩების მოხსენებებში რამდენიმე ადგილას (ისინი კახეთში იყვნენ XVII ს. 30-იანი წლების ბოლოს) „Поставили послов на базаре в каменной городбе; тут обывал торговой двор, и лавки бывали каменые, а ныне пусто все“[7]. ამ მოკლე ტექსტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზაგემშიაც ქვის დუქნები ყოფილა, მაგრამ კონკრეტულად თუ როგორი გადაწყვეტისა იყო არ ირკვევა[8].

ქულბაქებთან დაკავშირებით გრემისათვის რეალური ანალოგიების მოყვანა ჯერჯერობით სათანადო მასალების შეუსწავლელობის გამო შეუძლებელია. ასევე ბევრი არაფრის მთქმელია, მაგალითად ის ფაქტი, რომ არსებობს დოკუმენტი 1398 წლისა, რომლიდანაც ირკვევა მეფე ალექსანდრეს სვეტიცხოვლისათვის განუახლებია ყმა-მამულები და ამ დიდი სიის თავშივე წერია „ტფილისს ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი, ქულბაქნი და ბაჟნი თვისითა შესავლითა“[9]. ასევე, 1559 წლის ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ არსებობდა სოფელი ნაქულბაქევი[10]. რაც თავისთავად იმის მა-

---

5 Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, изд. М. Полиевктова, Тифлис, 1928, стр. 156.

6 Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, изд. М. Полиевктова, стр. 422.

7 იქვე, გვ. 386.

8 ჯერჯერობით თვით ზაგემის ადგილმდებარეობაც საბოლოოდ არ არის დადგენილი, თორემ შეიძლებოდა წასვლა და ადგილზე ნახვა.

9 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 8712.

10 იქვე, Ad. — 1572.

უწყებელია, რომ ამ სოფელში ადრე ქულბაქები მდგარა და სხვა.

რაც შეეხება კერძოდ გრემში ქულბაქების შესწავლას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპედიცია პირველივე წელს შეუდგა მისი ტერიტორიის არქეოლოგიურად ათვისებას და ამ საქმეს სამი კამპანია მოანდომა.

გათხრებამდე მიწის ზემოთ ჩანდა მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარე, ისიც ნაწილობრივ. დანარჩენი ორი მხარე კი მთლიანად მიწით იყო დაფარული.

გათხრების შედეგად შეიძლება წარმოვიდგინოთ, გეგმის საერთო გადაწყვეტა. ამავე დროს, საბოლოოდ დადგენილ იქნა არსებული კედლების ორფენიანობა. მტერს დაუნგრევია ქულბაქები. ქალაქის მფლობელს კი იგი არ აღუდგენია (თუ ვერ აღუდგენია) და მისი ტერიტორია სხვა მიზნებისთვის გამოუყენებია. კერძოდ, დასავლეთის მონაკვეთის ერთი მესამედი გალავნით გამოუყვიათ და „თარსა გალავნის“ შემადგენლობაში შესულა.

ნაქულბაქევის ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო არქეოლოგიური ნივთი იქნა მოპოვებული. იქვე ეზოში იყო წყალსადენები (ტაბ. XXV$_1$), ხარო, რამდენიმე ქვევრის ნაშთი, თონე და სხვა.

ქულბაქები ფაქტიურად დახურულ ბაზარს წარმოადგენდა. მისი გეგმა მოგრძო სწორკუთხედია (სურ. 33, ტაბ. III, XXIII). გრძივი ღერძი აღმოსავლეთ-დასავლეთითაა. როგორც ეტყობა, ასეთი განლაგება ადგილთანაცაა შეფარდებული, რადგანაც ამ მიმართულებითაა ხეობა.

ქულბაქებს ჭიშკარი ჩრდილოეთით ცენტრში აქვს, ხოლო აღმოსავლეთით განიერი კარით ქარვასლას უკავშირდება (გენგეგმა-ზე — 13).

ქულბაქების გეგმა, როგორც აღვნიშნეთ, ჩასმულია მოგრძო სწორკუთხედში. ასეთივე ფორმის ეზოა მის შიგნით. ეზოს ირგვლივ განლაგებული სათავსოები ერთი სისტემითაა გადაწყვეტილი. შექმნილია ერთი უჯრედი, რომელიც მცირე ვარიაციით მეორდება ოთხივე მხარეს. ეს უჯრედი წარმოადგენს მოგრძო კამაროვან სათავსოს, ხოლო მის წინ იქმნება იმავე სიგანის და 1,5 მ სიღრმის აივანი (სურ. 33, ტაბ. XXIII, XXIV). პირველი მათგანი გამოყენებული იქნებოდა გასაყიდი ნივთების საწყობად და შესაძლოა, იქვე ეძინა მეპატრონეს, ხოლო მეორე — სავაჭროდ. ამ აივანზე გააწყობდნენ საქონელს და იქვე გაიმართებოდა ვაჭრობა. საღამოთი კი ყველაფერი უკანვე შელაგდებოდა. ქულბაქების ამ დახურულ სა-



სურ. 33. ქალაქები. აგმა.

თავსოებს საცხოვრებლადაც რომ გამოიყენებდნენ ამაზე ნაწილობრივ ისიც მიუთითებს, რომ ყველა სათავსოს ჰქონია საკუთარი ბუხარი (ბუხრები ჩანს ჩრდილოეთით უკეთ დაცულ რიგში).

ნანგრევებში ქულბაქების თავდაპირველი სახის მთლიანად აღდგენა ძნელდება, მაგრამ ირკვევა, რომ ზოგიერთი სათავსო ორსართულიანი ყოფილა. ასეთი სათავსოებიდან გამოირჩევა ჩრდილო რიგის დასავლეთით ორი უკანასკნელი. აქ საკმაოდ ღრმა სარდაფებია. სარდაფები ერთმანეთთან კარითაა შეერთებული. ორივე სათავსო კარგადაა შელესილი. შესაძლოა, სარდაფი ასრულებდა მაცივრის როლს.

იმავე ჩრდილოეთის რიგის ერთ-ერთ შუა სათავსოს უკანა ნაწილი დაბალი კედლით ყოფილა გამოყოფილი. მისი კედლები მაგარი ხსნარით სუფთადაა შელესილი. ეს აბაზანისმაგვარი გამოყოფა შესაძლოა განკუთვნილი ყოფილიყო ცოცხალი თევზის შესანახად, ან სხვა ამის მაგვარისა (ისეთისა, რომელსაც სითხე ესაჭიროებოდა).

ეზოს დასავლეთის მოკლე რიგიდან, სადაც სამი სათავსოა, გამოიყოფა შუა, რომლის ცენტრში პატარა, აუზივით ნაგებობა იდგა. იგი გეგმით ექვსგვერდაა. ამ სათავსოში, შესაძლოა, საჭმელს ამზადებდნენ. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ამოდენა ბაზარში სავაჭროდ შორიდან თუ ახლოდან მოსულს, ესაჭიროებოდა სასმელ-საჭმელი. ასეთი სავაჭრო ყველაზე კარგი იქნებოდა თუ მოეწყობოდა აქვე ბაზრის ტერიტორიაზე. შესაძლოა, ამ გამოთქმულ ვარაუდს ისიც ამაგრებდეს, რომ აღნიშნულ სამ სათავსოს უკანა ხარეს აერთიანებს ერთი გრძელი სათავსო. საფიქრებელია, იქ საწყობი და სამზარეულო იყო.

ქულბაქებს, ბაზარს აუცილებლად ესაჭიროებოდა დაცვა. ამავე დროს, შიგ შესვლა უფასოდ ხომ არ იქნებოდა. სწორედ, ჭიშკარს მცველთან ერთად მებაჟეც ესაჭიროებოდა. ასეთი სათავსო მდებარეობდა ჭიშკართან. ჩრდილოეთის შესასვლელთან ერთი სათავსო სპეციალურად ყოფილა გამოყოფილი. მას ფართობი და ორიენტაციაც სულ სხვა აქვს, ვიდრე დანარჩენ სათავსოებს. მისი კარი მიმართულია გასასვლელისაკენ. სწორედ აქ მჯდომი გააკონტროლებდა ბაზარში შემსვლელ-გამომსვლელს.

ამ ჭიშკრიდან თუ დავიწყებთ, ქულბაქების სათავსოები შემდეგი რიგით წარმოგვიდგება. ჭიშკრის მარჯვნივ, ე. ი. დასავლეთით ერთ რიგზე ხუთი სათავსოა. ამათგან მხოლოდ პირველი სამი გამოდის ეზოში. ორი დანარჩენი კი კარებით დაკავშირებულია დასავ-

ლეთის რიგზე მდებარე პირველ სათავსოსთან, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ეს სამივე სათავსო ერთი პირის გამგებლობაში უნდა ყოფილიყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამიდან ორს სარდაფებიც აქვს, რაც ზემოთ უკვე ვთქვით.

ჭულბაქების დასავლეთის ცენტრალური ნაწილიც კომპაქტურადაა დაგეგმარებული და შესაძლოა ერთიანი ყოფილიყო. სამწუხაროდ, კედლები თითქმის მოშლილია და ურთიერთკავშირი ზუსტად არ დგინდება. წინა პლანზე, სხვა მხარეების მსგავსად, სამი აივნიანი სათავსოა, მათ უკან კი მთელ სიგრძეზე ერთი სათავსოა. ეს უკანასკნელი კარით უერთდება მარჯვენა განაპირა სათავსოს. ასევე უნდა ყოფილიყო მარცხენა მხარესაც. შუა ოთახის განსაკუთრებული გადაწყვეტის გამო, ჩვენ იგი სასადილოდ მივიღეთ.

სამხრეთის რიგზე შედარებით სიმარტივეა. ათი სათავსო, თითქმის ერთნაირი ფართით, ჩამწკრივებულია ერთ ხაზზე. აქედან მხოლოდ ბოლო ოთახებია მცირედ განსხვავებული გადაწყვეტით. დასავლეთით ბოლო სათავსოებს წინა ოთახი აქვს შემოერთებული, ხოლო აღმოსავლეთით ბოლო სათავსოს ორ მომიჯნავე ოთახს შუა აქვს გამოსასვლელი.

აღმოსავლეთის რიგი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. ორი სათავსო აივნებით ცენტრისკენ იყურება, ორი კი ქარვასლის შემაერთებელ ხაზზე გამოდის. ჩრდილოეთის რიგიდან ჭიშკრის მარცხენა მხარეზე უკვე ვილაპარაკეთ. ასევეა გადაწყვეტილი მარჯვნივ მდებარე ხუთი სათავსო.

ჭულბაქები მთლიანად ერთდროულადაა ნაგები. მის კედლებს გადაკეთება არ ეტყობა. როგორც ირკვევა, დანგრევამდე იგი იდგა თავდაპირველი სახით. კედლები და კამარები ნაწყობია ფლეთილი ქვით. ადრე შელესილი იქნებოდა შიგნიდან და გარედანაც. ამჟამად ნალესობის კვალიც კი არსადაა შერჩენილი. კამარის ფორმა შეისრულია. ასეთივე მოხაზულობა ჰქონია კარებსაც. იატაკზე აგური უნდა ყოფილიყო მოფენილი. ჭულბაქების სახურავი ალბათ კამარების ფორმას იმეორებდა და სხვა. გადასახური მასალა არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. გადახურვის ასეთი ხერხი ჩვეულებრივია გვიან საუკუნეებში.

ქ ა რ ვ ა ს ლ ა მდებარეობს ჭულბაქების აღმოსავლეთით[11].

---

11 გრემში ქარვასლა სხვაგან არსად გვინახავს. როგორც აღვნიშნეთ, ნაქალაქარის ვრცელ ტერიტორიაზე ყველა ნაგებობათა ნაშთები გავწმინდეთ. ვფიქრობთ, არც გამოუვლენელი დაგვრჩენია რაიმე რადგან იქ, სადაც მიწის ზემოთ

ვათხრებამდე ქულბაქების ნაწილი მაინც თუ ჩანდა მიწის ზემოთ, ქარვასლიდან არაფერი იყო დარჩენილი. ქულბაქების გაწმენდის დროს მის აღმოსავლეთის ნაწილს ეტყობოდა განსაკუთრებული დაგეგმარება (გენგეგმაზე —14). ჩანდა, რომ იგი რაღაცასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი გვქონდა. გათხრების მეორე კამპანიის დროს აღმოჩნდა ორი კედლის ბოლო, რომლებიც იჭრებოდა ქულბაქების კედლებში. ეს კედლები ალაგ-ალაგ მოვსინჯეთ და რადგან ისეთივე კაპიტალურად ნაგები არ ჩანდა, როგორც ქულბაქები, ამიტომ ეზოდ მივიჩნიეთ. ხოლო მომდევნო კამპანიის დროს მის გასათხრელად მთლიანად მოვიცალეთ, რის შედეგადაც მეტად საინტერესო სურათი წარმოგვიდგა. აქ მდგარა 75 მ სიგრძის კაპიტალური ნაგებობა. მთლიანად გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ ამ მონაკვეთზე სამი სამშენებლო ფენა მაინც ყოფილა. თავდაპირველად აქ დიდი თონეებიანი (თონეების დიამეტრი ერთ მეტრს აღემატება) შენობები მდგარა, შემდეგ ქარვასლა აუგიათ. ქარვასლის დანგრევის შემდეგ აქა-იქ ხელახლა გაჩენილა არცთუ დიდი შენობები. ბოლოს ეს შენობებიც დანგრეულა და რამდენიმე ადგილას მხოლოდ მათი კვალიღა ჩანს (სურ. 34, ტაბ. XXV_2, XXV_1).

ქარვასლის გეგმა ზუსტად არ იკითხება, მაგრამ საძირკვლების ნაშთების მიხედვით დაგეგმარების სისტემის აღდგენა შეიძლება. გრძელი შენობის ორივე მხარეს განლაგებულია სათავსოები ერთიგად, შუაზე კი განიერი ტალანი ყოფილა. სათავსოები არ არის სტანდარტული, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაც არ ყოფილა (ფართობი მერყეობს 14 კვ. მეტრიდან 23 კვ. მეტრამდე). კედლები თითქმის ძირამდეა დარღვეული, ამიტომ კარებისა და ფანჯრების ადგილები არ ირკვევა. ჩვენ ქარვასლის გეგმის რეკონსტრუქციის პროექტზე (სურ. 36) კარები შუაზე მოვათავსეთ, ხოლო

არაფერი ჩანდა, ყველგან თხრილებით დავსერეთ, და არც ერთი კედლის ფრაგმენტიც კი არ დაგვიტოვებია გაუთხრელი. ქალაქს და ისიც დედაქალაქს არ შეიძლება თავისი ქარვასლა არ ჰქონოდა. ასეთის არსებობა კი ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო სავაჭრო უბანში (მეფეთა უბანშიც შეიძლება ყოფილიყო უფრო მცირე მასშტაბის სასტუმრო სახლი). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქულბაქებზე მიდგმული ნაგებობა ქარვასლა უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ამაგრებს თვით ნაგებობის გადაწყვეტაც; იქ ქულბაქები, დუქნები არ უნდა ყოფილიყო, შესაძლოა გვეფიქრა, რომ საწყობები იყო, მაგრამ ესეც ნაკლებად მისაღებია. შენობის საერთო გადაწყვეტა კი სასტუმრო ნაგებობას უფრო ჰგავს და ამიტომ ექსპედიციასაც ქარვასლად მიაჩნია.

მცირე ფანჯრები — მათ პირდაპირ (ადგილზე ფაქტიური მონაცემებისა და ანალოგიების უქონლობის გამო კარ-ფანჯრების განლაგებას დიდ პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ).



სურ. 34. ქარვასლა. ტეგმა.

ქარვასლაში შესასვლელი აღმოსავლეთიდან ცენტრში ყოფილა. მისი სიგანე 2,5 მეტრია. ასეთი სიგანე შეიძლება ტრანსპორტისთვის იყო გათვალისწინებული. მოპირდაპირე მხარეს, იქ სადაც ქარვასლა ქულბაქებს უერთდება სამი მეტრის სიგანის გასასვლელია დატოვებული. ტრანსპორტს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო გაევლო ქარვასლა და შესულიყო ქულბაქებში და პირიქით. წყალსადენი შედის სწორედ ორივე ჰიშკარში და გადის იატაკქვეშ (სურ. 34, 35). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განხილული ორი შენობიდან პირველად აგებულია ქარვასლა და შემდეგ ქულბაქები[12].

ქარვასლის დასავლეთის კედელი შეჭრილია ქულბაქების გარე კედელში (სურ. 33, 34). უკეთ რომ ვთქვათ, ქარვასლის კედლები არსებობდა და მათი ბოლოები ჩართეს ქულბაქებისათვის აგებულ ახალ კედლებში. თანაც ნიშანდობლივია ისიც, რომ ქულბაქების დამპროექტებელმა გაითვალისწინა უკვე არსებული შენობა და ისე დააგეგმარა ახალი. უპირველეს ყოვლისა, შესასვლელით გააერთია-

---

12 ქულბაქებისა და ქარვასლის აგების დროის განსაზღვრა უფრო კონკრეტულად შესაძლებელია იქ მოპოვებული მონეტების მიხედვით. ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ვერცხლისა და სპილენძის მონეტა იყო ნაპოვნი, მაგრამ მათი უმრავლესობა ცუდადაა დაცული და ამიტომ განსაზღვრა ძნელდება, სამისა კი მოხერხდა. ერთი ვერცხლის მონეტა (საინვ. № 12356), რომელიც ქულბაქების ტერიტორიაზე იყო ნაპოვნი, ეკუთვნის შაჰ-ისმაილს და თარიღდება 1502—1524 წლებით, ხოლო ორი სპილენძის მონეტა (№ 12362, 12363), რომლებიც ნაპოვნი იყო ქარვასლის ტერიტორიაზე, თარიღდება XV ს. მეორე ნახევრით (მონეტების განსაზღვრა ეკუთვნის პროფ. დ. კაპანაძეს).

ნა ეს ორი ნაგებობა და ამავე დროს ჭულბაქების სათავსოა სისტემა გასასვლელთან ისე შეცვალა, რომ კავშირი უფრო საქმიანი და მოხერხებული ყოფილიყო.



სურ. 35. ქარვასლა. წყალსადენის დეტალი.

თუ როგორ იყო გადახურული ეს შენობა არ ირკვევა. მხედველობაშია მისაღები ჭულბაქების გადახურვის სისტემა. აქაც ისრული კამარები იქნებოდა გამოყენებული, მაგრამ არა სათითაოდ, არამედ სიგრძეზე სამმწკრივად. არ არის გამორიცხული, რომ ტალანის გადამხური შუა კამარა გვერდითებზე მაღალი ყოფილიყო. ასევე საკარაუდოა ფანჯრების მოთავსება არა გარე კედლებში, როგორც ეს რეკონსტრუქციის პროექტზე გვაქვს, არამედ კამარებში. ასეთი გადაწყვეტა იქვე გრემშივე აგებულ ორ აბანოში გვაქვს და საერთოდ იმ პერიოდის აბანოებში მიღებულია.

უფრო კონკრეტულად ვერაფერს ვამბობთ, რადგან ამისათვის წყარო მხოლოდ და მხოლოდ გრემშივე გამოვლენილი შენობის კვალია. საქართველოს ტერიტორიაზე, უდავოდ ბლომად იქნებოდა ქარვასლები სატრანზიტო გზებზე, მაგრამ არ შეგვრჩენია. ამ ქარვასლების აღწერილობაც არა გვაქვს, რომ ამას მაინც დავყრდნობოდით.

ადრეული ხანისა და შუა პერიოდის ქარვასლებზე არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, ხოლო გვიანი პერიოდიდან ჯერჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ ორი ქარვასლის ნანგრევი.

ერთი ჭარვასლა მდებარეობს დღევანდელი ბოგდანოვკის რაიონში თაფარავნის ტბის ნაპირას, მეორე გომარეთის გავლით დმანისში მიმავალ გზაზე სოფ. სალამალეიქის (ძველი სახელი არ არის ცნობილი) მიდამოებში. ეს ძეგლები ჩვენ 1959 წელს ვნახეთ და ორივე ავზომეთ. ამავე დროს გავთხარეთ და გავწმინდეთ ფარავნის ჭარვასლა. არქეოლოგიური მონაცემები მხოლოდ გვიანი საუკუნეებისა იყო. ამავე პერიოდზე მიუთითებს მისი არქიტექტურული მონაცემებიც.



სურ. 36. ჭულბაჭები და ჭარვასლა. გეგმის რეკონსტრუქცია.

აღნიშნული ორი ჭარვასლა ერთი სისტემითაა აგებული და ერთსა და იმავე ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. თუმცა, ფარავნისა ფლეთილი ქვითაა ნაგები, ხოლო მეორე — თლილი ქვით და უკეთესი ოსტატობით, მაგრამ ამას შეიძლება ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს მათი დათარიღებისათვის[13].

გრემის ჭარვასლის მსგავსად ორივე ჭარვასლა სამნაწილიანია, მაგრამ განსხვავებაც დიდია. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრემთან შედარებით ეს ჭარვასლები მოკლეებია და შიდა გადაწყვეტაც სხვანაირია. გრემში თუ შიგნით შუაზე ტალანია და გვერდებზე სათავსოები, ამ ჭარვასლებში ოთხ-ოთხი წყვილი სვეტია თაღებით, ხოლო იყო თუ არა შიგნით სათავსოებად დაყოფა არ ვიცით, რადგან კვალი არ ჩანს. განიერი შესასვლელი კი ორივე შემთხვევაში გრემის მსგავსად ცენტრალურ ღერძზეა. განათების საკითხი სალამალეიქში არ ირკვევა, რადგან კედლები ორი მეტრის სიმაღლეზეა დარჩენილი, ხოლო ფარავნის ჭარვასლაში შემოსასვლელის გვერდებზეა თითო ფანჯარა, დანარჩენ კედლებში კი ნამდვილად არ არის. შესაძლოა კამარებში იყო, მაგრამ კამარები

13 ფარავნის ჭარვასლა გამოცემულია ი. ციციშვილის მიერ (იხ. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, გვ. 74, ტაბ. XXXIV), მხოლოდ მას, ჩვენგან განსხვავებით, თარიღად მოცემული აქვს XII ს.

აქაც ჩანგრეულია. როგორც აღვნიშნეთ, სხვა შესადარებელი მასალა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

ქარვასლა საბას განმარტებით „სხვათა ენაა, ქართულად ფუნდუკი ჰქჳან“. სამწუხარო ის არის, რომ არც ფუნდუკია ქართული. ივ. ჯავახიშვილს თავის ზემონახსენებ ნაშრომში ამ სიტყვის მნიშვნელობაც აქვს შესწავლილი. იგი ერთგან წერს, რომ ბერძნული სიტყვა „პანდიქიონი... ეწოდება პირველი საუკუნითგან მოყოლებული, თუ ამაზე უწინარეს არა, სასტუმროს. შემდეგში (IX საუკუნიდან—ჰ. ზ.) შემოდის ფუნდუკი“... ფუნდუკი ნიშნავდა ქარვასლის მსგავს შენობას, რომელშიც შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ მგზავრებს, და საქონელიც დაეყენებინათ. ქარავანი რომ მიდიოდა, ერთბაშად ბევრი მგზავრი იყრიდა თავს; ისინი აქლემებით, ცხენებით, ან ჯორებით მოგზაურობდნენ და იმდენი საქონლის დასაყენებლად უნდა ყოფილიყო ბინაც. ფუნდუკი სწორედ ასეთი ნაგებობა იყო“ ქვემოთ განაგრძობს მკვლევარი: „ფუნდუკს, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სასტუმროს, მაშინდელი მიმოსვლის, ურთიერთობისა და ეკონომიური აღებ-მიცემობის საქმესთან დაკავშირებით“[14].

იმავე ავტორის განმარტებით, სიტყვა ფუნდუკი XVI საუკუნემდე უნდა შემორჩენილიყო. ამ დროდან კი მას ცვლის ქარვასლა. „ქარვანსარაი“ სპასული სიტყვაა, რომლისგანაც წარმოდა ქარვასლა[15].

გრემში ქარვასლის მშენებლობაზე არაფერს იტყობინება ისტორია. გვაქვს ერთი ცნობა, რომელიც გვიან პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ თავისთავად მაინც საინტერესოა. როსტომ მეფის ცხოვრებისა და საქმიანობის მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე გვატყობინებს, რომ „მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ხიდს ზეით დებედაზე გუმბათით ხიდი ააგო,სოფელი და ქარვანსარაია ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდეს“[16]. ცხადია, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სატრანზიტო გზაზე მდგარი ქარვასლა განსხვავებული იქნებოდა საერთოდ ქალაქის ქარვასლისაგან და კერძოდ — სავაჭრო პუნქტთან მდებარე ქარვასლისაგან. ორივე ქარვასლას განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა.

---

14 ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

15 იქვე, გვ. 62.

16 ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1913, გვ. 323.

შესწავლის ამ ეტაპზე გრემის ქარვასლაზე და ქულბაქებზე მეტის თქმა შეუძლებელია.

აბანო

გრემის ნაქალაქარზე ჩვენი გათხრების დაწყებამდე ერთი აბანო იყო ცნობილი, ხოლო 1965 წ. მეორე აბანოც აღმოჩნდა. პირველი მათგანი ნაქალაქარის დასავლეთის მონაკვეთშია, მეორე კი— აღმოსავლეთისაში. პირველი ეკუთვნოდა ქალაქის სავაჭრო ნაწილს, ხოლო მეორე — სამეფოს.

გვიანფეოდალური ხანის კახეთში აბანოები ბევრი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ ამ სამი ათეული წლის წინათ ალ. მამულაშვილს მარტო თელავისა და ყვარლის რაიონებში ათამდე აბანო ჰქონდა აღრიცხული[17]. ცხადია, მომავალი კვლავა-ძიება კიდევ არა ერთს აღმოაჩენს.

იმავე მამულაშვილს გრემის ეს აბანო ნაწილობრივ გაუთხრია ჯერ კიდევ 1939 წ. მას შეუმჩნევია, რომ აბანო გრძელდება ჩრდილოეთით, გზის საფარს ქვეშ, მაგრამ მისი აღების საშუალება არ მისცემია. ამჟამად ექსპედიციამ მთლიანად გაწმინდა აბანო, რის შედეგადაც მეტად საინტერესო სურათი გადაიშალა.

აბანოს ძირითადი კორპუსი კვადრატს უახლოვდება (სურ. 37, 38). მასზე ვესტიბიულ-გასახდელი ჩრდილოეთითაა მიდგმული (გენგეგმაზე—15). ვესტიბიულს კარი ჩრდილოეთის ცენტრში ჰქონია. ზღურბლს ახლაც ეტყობა სიარულისაგან გაცვეთა. ზედა ფენის აგური თითქმის მთლიანად გაცვეთილია. როგორც ეტყობა, აბანოს მუშტარი ბევრი ჰყოლია. იგი მართლაც სახალხო, საერთო უნდა ყოფილიყო. მას გამოიყენებდნენ, არა მარტო ქალაქის სავაჭრო კვარტალის მცხოვრებნი, არამედ ქარავნებით ჩამოსული ვაჭრები, ელჩები, სავაჭროდ ჩამოსულნი კახელნი და კიდევ მრავალნი. გაცვეთილია არა მარტო კარის ზღურბლი, არამედ ვესტიბიულიდან უშუალოდ აბანოში შესასვლელი გზის იატაკიც. მოძრაობა აქ მეტად საგრძნობი ყოფილა. ეს გარემოებაც გრემის ხალხმრავლობაზე მიუთითებს.

ვესტიბიულ-გასახდელი ათგვერდაა. იგი გადახურული იქნებოდა ამავე მოხაზულობის გუმბათით. ეს ვრცელი სათავსო მეტად

---

17 ალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, 1947, გვ. 167.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი (სურ. 37, ტაბ. XXVIII). ქვედა რიგი გამოყოფილია დაახლოებით 50 სანტიმეტრის სიმაღლეზე. აქ თითოეულ წახნაგში ოთხ-ოთხი ნიშაა (გარდა ორი წახნაგისა, სადაც კარებია მოთავსებული). როგორც ირკვევა, ეს ყოფილა ჭო-



სურ. 37. სავაჭრო უბანი. აბანოს ზედა სართულის გეგმა.

შებისა და ფეხსაცმელების ჩასაწყობად. ამ რიგის ზემოთ ოთხკუთხა უბეებია. უბეების იატაკი და კედლები ერთიანად კარგად ყოფილა შელესილი. თავის დროზე აქ, ამ განიერ უბეებში ხალიჩები, თუ ფარდაგები იქნებოდა დაგებული. აბანოდან გამოსული კაცი ტანს გაიწმენდდა, ცოტა ხნით წამოწვებოდა, დაისვენებდა.

ვესტიბიულის ცენტრშია წრიული აუზი (სურ. 37). მისი თხელი კედლები ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. წყალი შემოდიოდა ცენტრში მდებარე მილით, ხოლო გასასვლელი გვერდის კედლის ძირას იქნებოდა (როგორც ეს ვნახეთ მეორე აბანოში).

თვით საბანაო ნაწილი ჩვეულებრივია გვიანი საუკუნეებისათვის. მართალია, თითოეულ აბანოს თავისებური გადაწყვეტა აქვს,

მაგრამ ტიპი ერთია, სისტემა ერთნაირია. ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ აბანო ორსართულიანია. ქვედა სართული (სურ. 38) გათბობისათვის არის განკუთვნილი, ზედა კი — საბანაოდ (სურ. 37).



სურ. 38. სავაჭრო უბანი. აბანოს ქვედა სართულის გეგმა.

აბანოს საქვაბე აღმოსავლეთითაა ცენტრში, ქვედა სართულის კალორიფერის ანუ ჰიპოკაუსტის დონეზე. საქვაბეს თავზე, აბანოს მთელ სიგანეზე მოწყობილია წყალსაცავი (სურ. 37, 38, 39, ტაბ. XXVII$_2$). წყალსაცავში საცეცხლეს თავზე მდგარ ქვაბში (იატაკზე დარჩენილი პროფილის მიხედვით აქ ტაშტი უნდა მდგარიყო) წყალი ცხელდებოდა[18]. ტემპერატურის სხვაობა ამოძრავებდა ცხელ და ცივ

18 საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ საცეცხლეს თავზე რა ფორმის სპილენძის ჭურჭელი იდგა, ამისათვის რადგან ადგილზე არაფერი შემოგვრჩენია, საჭირო იქნება ანალოგიების მოშველიება. ალ. მამულაშვილს ზემოხსენებულ წიგნში მოყვანილი აქვს თელავის „ძველი ამინოს“ საქვაბის აღწერა და ნახაზი (№ 5), საიდანაც ირკვევა, რომ სპილენძის ტაფას, როგორც იგი უწოდებს მას, შუაზე კონუსური შემაღლება აქვს. ცხადია, ასეთი ფორმა ზრდიდა გაცხელებული სპი-

წყალს და მთელს წყალსაცავში ცხელი წყალი იქნებოდა. აქედან ცხელი წყალი კედლებში დატანებული კერამიკული მილებით მიემართებოდა აბანოს შიგნით სხვადასხვა უჯრედებში.

აბანოს ჰქონდა მეორე წყალსაცავიც, მაგრამ ეს იყო არა ცხელისა, არამედ ცივისა (ტაბ. XXVII$_2$). იგი მოთავსებულია ცხელი წყალსაცავის პერპენდიკულარულად სამხრეთის კედლის გაყოლებაზე. ეს წყალსაცავი უფრო მცირეა, ვიდრე პირველი.

აღმოსავლეთიდან აბანოსკენ წყალსადენის სამი შტო მოემართება[19]. ერთი ჩრდილო განაპირა ხაზი მიემართება ცივი წყლის საცავში, შუა ხაზი შედის ცხელი წყლის საცავში, მესამე კი აბანოს სამხრეთის კედლის პარალელურად მიემართება ქვემოთ, ქალაქის დასავლეთის მონაკვეთში.

აბანოს თვით საბანაო ნაწილი მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენს. მის ცენტრალურ ნაწილს ტოლმკლავა ჯვარის ფორმა აქვს (სურ. 37. ტაბ. XXVII$_1$). აღმოსავლეთის მხარის კუთხეები ერთნაირადაა გადაწყვეტილი, ხოლო დასავლეთისა განსხვავებულია. აბანოს ზედა ნაწილი არ შემორჩენილა, მაგრამ ადგილობრივ მიკვლეული ფრაგმენტებით და ანალოგიებით დგინდება, რომ თითოეული მონაკვეთი კამარით ან გუმბათით იყო გადახურული. მათგან განაპირების გადახურვა თითქმის თანატოლი იქნებოდა, ცენტრალურს კი დიდი გუმბათი დაამთავრებდა. ორივე წყალსაცავის გადახურვა კამაროვანი ყოფილა.

აბანოს მთავარ საბანაო ნაწილს აღმოსავლეთის განაპირა სათავსოები წარმოადგენდა. ესენი გრძელი ოთხკუთხედებია. მათ აღმოსავლეთის ბოლოებში მდებარეობს აუზები, რომლებიც ერთი მეტრის სიმაღლის კედლებითაა გამოყოფილი. ამ აუზებში ცივი და ცხელი წყალი ცალ-ცალკე შედიოდა.

აბანოს დანარჩენი სამი მკლავი სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. ჩრდილოეთის მკლავის ჩრდილო კედლიდან სამი მილი შე-

---

ლენძის ზედაპირის ფართს, რაც თვისთავად ზრდიდა გათბობის კოეფიციენტსაც. მაგრამ იყო ნამდვილი ტაშტებიც, როგორც ეს გადმოგვცა ვ. ლეჭვინაძემ. მან რამდენიმე წლის წინათ ლაგოდეხში მივლინების დროს ნახა აბანოს საცეცხლედან გამოტანილი ასეთი ტაშტი.

19 ალ. მამულაშვილს ამ აბანოს გათხრისას სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან ხუთი მეტრის დაცილებით უნახავს კერამიკული თანგირი, რომლიდანაც გამოდიოდა წყალსადენის აღნიშნული შტოები (აღნიშნული შრომა, გვ. 181). თვით თანგირში ალბათ შემოვიდოდა უფრო დიდი კვეთის წყალსადენი (ჩვენი თანგირი ვერ ვიპოვნეთ, ალბათ ამ ხნის განმავლობაში იგი დაიმტვრა).

მოდის. ერთი მათგანი ცხელისა იქნება, მეორე — ცივისა, მესამე კი სათადარიგო აუზებიდან თუ მოდიოდა. მილები ერთ ვერტიკალ-



სურ. 39. სავაჭრო უბანი. აბანოს განაკვეთები.

ზეა განლაგებული, ერთმანეთთან ახლო-ახლო. მილების წინ იატაკზე კონუსური ფორმის კერამიკული ჭურჭელია ჩამაგრებული. მასზე დადგამდნენ ხის ჭურჭელს, რომლის ავსების შემდეგ წყალს ზედ გადაისხამდნენ, ან თან წაიღებდნენ და სხვაგან დაიბანდნენ.

დასავლეთის მკლავის ჩრდილო კედელშიც ასევე სამი მილია განლაგებული. აქ იატაკი არ არის შერჩენილი, ამიტომ არ ჩანს ისეთივე იყო თუ არა გადაწყვეტა, ე. ი. იდგა თუ არა კერამიკული ჭურჭელი.

სამხრეთის მკლავის კედლებში მილები არ ჩანს. როგორც ეტყობა, ამ მონაკვეთში წყალი ჭურჭლებით მოჰქონდათ. აბანოს სხვა მონაკვეთების მსგავსად, აქაც იდგმებოდა ხის ტახტები, დაბანვისას გამოსაყენებლად.

დასავლეთის კუთხის ოთახები სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. სამხრეთ-დასავლეთისა გამოყოფილია. აქ წყალი არ შემოდიოდა. ალბათ იგი საბანაოდ არც იქნებოდა განკუთვნილი და შეიძლება მომსახურე პერსონალის სათავსოს წარმოადგენდა. ჩრდილო-დასავლეთისა კი ვესტიბიულიდან მომავალს უნდა გამოევლო (როგორც აღვნიშნეთ, იატაკი აქაც ძალიან არის გაცვეთილი). ეს გზა ჩრდილო კედელს მიჰყვებოდა. სათავსოს დანარჩენი ნაწილი გრძელი სწორკუთხედია, რომლის დასავლეთის მონაკვეთი აბანოს ძირითადი კორპუსის გარეთ გადის. აქაც, მის სამხრეთის კედლის ბოლოსკენ, კერამიკული ქვაბისმაგვარი ჭურჭელი იყო იატაკში ჩამაგრებული. კედელი აღარაა შერჩენილი, მაგრამ უნდა დავუშვათ, რომ აქ წყალი მილებით მოდიოდა. ამ კერამიკული ჭურჭლის გამოყენება მრავალმხრივ შეიძლებოდა[20].

გრემის აბანოს ერთი ორიგინალური გადაწყვეტა აქვს, რომელიც სხვაგან არ შეგვიმჩნევია. კედლის სისქეში შვიდ ადგილას ნიშებია მოწყობილი (სურ. 37, ტაბ. XXVII). ამ ღრმა და განიერ ნიშებში წყლის მილები შედის და გამოდის. მათი დანიშნულების ზუსტი განსაზღვრა ძნელდება, რადგანაც ისინი სანახევროდაა შერჩენილი. არ არის გამორიცხული, რომ ისინი თანგირების როლს ასრულებდნენ, ე. ი. წყლის დანალექის ამოსაწმენდად თუ იყო განკუთვნილი. დასაშვებია ისიც, რომ ამ ნიშებიდანაც იღებდნენ წყალს. ზოგი ამ ნიშათაგანი შემდეგში ამოუქოლიათ.

აბანო ხომ ზამთარ-ზაფხულ გამთბარი უნდა ყოფილიყო. ეს მხედველობაში ჰქონდათ მიღებული ჩვენს წინაპრებს, ჯერ კიდევ

---

20 ალ. მამულაშვილი ამ აბანოსადმი მიძღვნილ სტატიაში ერთგან წერს: „ორ საბანაო განყოფილებაში არის პატარა ჯამფილები. ერთის დიამეტრი 32 სმ, სიღრმე 17 სმ, მეორე ჯამფილა ცოტა მეტია“ (დასახ. შრ., გვ. 180). იქვე მოცემული აქვს ამ ჯამფილების ფოტოები, მაგრამ ცუდი ანაბეჭდია (სურ. 10, 11) და ფორმები არ ირკვევა, როგორც ეტყობა აქ იმ კერამიკულ ჭურჭელზეა საუბარი, რომლებიც დაზიანებული სახით ჩვენც დაგვხვდა.

ანტიკურ სამყაროში. რომის ცივილიზაციის ერთ-ერთ მიღწევას წარმოადგენს სწორედ აბანოებისა და დიდი თერმების შექმნა. აქ ძირითად პრობლემას ცენტრალური გათბობის სისტემა წარმოადგენდა. ეს პრობლემა, შეიძლება აღინიშნოს, მაშინდელ პირობებში ბრწყინვალედ იყო გადაწყვეტილი.

ანტიკურ სამყაროში, ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ აბანოებში თბებოდა არა მარტო იატაკი, არამედ კედლებიც[21]. გვიანფეოდალური ხანის აბანოებში კი თბება მხოლოდ იატაკი. ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გრემშიც.

აბანოს ორსართულიანს იმიტომ აკეთებდნენ, რომ ქვედა სართული გათბობის სისტემისათვის უნდა დაეთმოთ. ფაქტიურად ეს სართული კი არ არის, არამედ იატაკქვეშა სივრცეა 60—80 სმ სიმაღლის, რომელსაც მეცნიერულ ლიტერატურაში კალორიფერს, ანუ ჰიპოკაუსტს უწოდებენ.

აბანოს საცეცხლე ნაწილის თავზე ქვაბი ან ტაშტი იდგა და წყალს ათბობდნენ, ხოლო ქვედა დონეზე ცხელი ჰაერი გვირაბით გადიოდა იატაკქვეშა სივრცეში — ჰიპოკაუსტში და იქ ტრიალებდა. აგურის იატაკი დაყრდნობილი იყო აგურისავე ოთხკუთხა სვეტებზე (სურ. 38, 39, ტაბ. XXVI_2, XXVII_1). დანარჩენი სივრცე, რადგანაც თავისუფალი იყო, ამიტომ იქ შეიძლებოდა ჰაერი დატრიალებულიყო. ჰაერი გააცხელებდა იატაკს, იატაკი კი — აბანოს სათავსოებს. საქვაბიდან შორს, თითქმის ყოველი სათავსოს ქვეშ, კედლის ბოლოში საკვამურები იყო დატანებული. ამ საკვამურებით გადიოდა გარეთ კვამლი, რომელსაც სითბო ცოტაღა მიჰყვებოდა. ჰიპოკაუსტის გასაცხელებლად ალბათ საკვამურები დროებით უნდა დაეხშოთ. ხოლო საჭირო დროის გასვლის შემდეგ ისევ გააღებდნენ.

აბანოს იატაკის კონსტრუქცია საინტერესოდაა გადაწყვეტილი. ქვემოთ აგურის ოთხკუთხა სვეტებზე კუთხეებით დაყრდნობილია დიდი ზომის აგურები (60×67×7 სმ). მასზე კირის ხსნარია დასხმული და ზემოდან ჩვეულებრივი აგურის ერთი რიგია დაფენილი. საბოლოოდ იატაკი სქელი დუღაბითაა გადალესილი. იატაკი მთლიანად ოდნავ დაქანებულია შემოსასვლელისაკენ (ჩრდილო-დასავლეთით). აქ კედელს ღარი მიჰყვება. შემდეგ ღარი მილს უერთდება და და-

---

21 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბილისი, 1955, გვ. 147—160; П. Закарая, В. Леквинадзе, Шухутская баня, Византийский временник, т. XXVIII, стр. 228.

სავლეთისაკენ მიემართება. აქედან აგურებით შემოწყობილი ღარი ჩრდილოეთისკენ მიდის. ამ მხარეს, როგორც ეტყობა, იგი ქალაქის საერთო კოლექტორს უერთდებოდა. აბანოდან გამოყენებული წყალი, ამ გზით გაჰყავდათ გარეთ (ალბათ მდინარეში ჩადიოდა).

აბანოს გაწმენდისას კერამიკული ნამტვრევები ბლომად იყო. ასევე ბლომადაა ნაპოვნი ფაიანსის ჭურჭლების ფრაგმენტები.

აბანოს დათარიღება ზუსტად ძნელია. მისი ანალოგიები XV—XVIII სს. მოიპოვება. მაგრამ მისი პირველი გამთხრელი ალ. მამულაშვილი აქ ნაპოვნი მონეტით მას XV ს. ათარიღებს[22]. სამწუხაროდ, იგი არ მიუთითებს, თუ რომელი მონეტა იყო ნაპოვნი. ყოველ შემთხვევაში, აბანო XV ს-ში თუ არა, XVI ს. დამდეგს მაინც იქნებოდა აგებული. მისი სტილისტიკური ნიშნები და ანალოგიები ამ თარიღს მხარს უჭერენ. დანგრეული კი შაჰ-აბასის მიერ უნდა იყოს 1616 წ.

სხვადასხვა ნაგებობები

ქალაქის სავაჭრო უბნის ტერიტორია, რომლის ფართობი ოცდაათ ჰექტარამდეა, იმ მცირე დროის განმავლობაში, რომელიც ჩვენ იქ დავყავით, მთლიანად ვერ გაითხრებოდა. ექსპედიციამ გათხარა ის ადგილები, რომლებიც რაიმეთი მიინიშნებოდნენ. ამათ გარდა, თხრილებით დასერა დიდი ფართობი და სადაც ღირსშესანიშნავი რამ იყო შეისწავლა. ამათგან დიდი ობიექტები ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ, ხოლო რამდენიმე მცირე ობიექტს აქ მოკლედ ვიხილავთ.

გვირაბი მდებარეობს სავაჭრო უბნის ცენტრალურ ნაწილში (გენგეგმაზე —16). მისი ჩრდილოეთის მხარე თავდაპირველი სახითაა მოღწეული, ხოლო სამხრეთისა დაზიანებულია, ამიტომ არ ირკვევა, თუ სადამდე გრძელდებოდა იგი. ამჟამად მის ირგვლივ არა ერთი შენობის კვალი ჩანს, მაგრამ არც ერთის გეგმა არ დგინდება დაზიანების გამო. გვირაბის ჩრდილოეთის მხარეს ეტყობა, რომ აქ მისი პირია, ე. ი. გვირაბი ამ მხრიდან მიწის ზემოთ ღიად იყო, ხოლო მეორე ბოლო რელიეფის შემაღლების გამო, მიწის სიღრმეში უნდა ყოფილიყო.

გვირაბი კოხტადაა ნაგები ფლეთილი ქვით, აგურის გამოყენებით (სურ. 40, ტაბ. XXIX$_1$). იატაკიც მოფენილია ბრტყელი ქვე-

---

22 ალ. მამულაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 175, 184.

ბით. გვირაბი შეისრული ფორმის ერთიანი კამარითაა გადახურული. ამ კამარის ფორმა და კედლის წყობის თავისებურება მას აკავშირებს გრემის სხვა ნაგებობებთან და ამიტომაც მათ თანადროულად ვთვლით. ეს რაც შეეხება თარიღს. მაგრამ მის დანიშნულებაზე ზუს-



სუე. 40. გვირაბი. გეგმა, განაკვეთი და ფასადი

ტად ვერაფერს ვიტყვით. გვირაბის სიმაღლე და სიგანე (სიგანე — 1,20 მ სიმაღლე — 90 სმ) ისეთია, რომ მხოლოდ ხოხვით შეიძლება შიგ მოძრაობა. შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ რაღაც შენობები იდგა და საჭირო იყო მათ ქვეშ სარწყავი არხის გაყვანა. მაგრამ ასეთ მოსაზრებას საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი — გვირაბის საწყის მხარეს მთებია და წყალს ვერ გადმოიყვანდნენ და მეორეც— გვირაბში წყლის დინების კვალი არ არის დარჩენილი, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი საიდუმლო გვირაბია. მაგრამ ის ნაგებობები აღარ შემორჩა, რომელთაც იგი აკავშირებდა.

ა უ ზ ი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებისას ხუთი აუზი აღმოჩნდა მეფე-დიდებულთა უბანში, ხოლო სავაჭრო უბანში — მხოლოდ ერთი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული ის ხუთთაგანი, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ნაგებობაშია ჩაქსოვილი, აქ კი ეს არ ჩანს. მართალია, ამ აუზის ირგვლივაც არის ნაგებობათა საძირკვლები გამოვლენილი, მაგრამ მათ მასთან კავშირი არა აქვთ. არ არის გამორიცხული, რომ სულაც სხვადასხვა დროისანი იყოს. თუმცა, სრულიად მარტო ეს აუზიც არ ყოფილა, მისი ჩრდილოეთის კედელი აღმოსავლეთით კლაკნილად მიემართება, მაგ-

რამ იგი კაპიტალური შენობისა არ უნდა იყოს (გენგეგმაზე — 17).

თვით აუზის გეგმა მოზრდილ სწორკუთხედს (4,20×3,50 მ) წარმოადგენს (სურ. 41, ტაბ. XXIX²). მისი კედლები ყორე ქვითაა ნაგები და ერთი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი (სიმაღლეს შეიძლება ბევრიც არ აკლდეს), იატაკი კი მოფენილი იყო ფილაქვით. წყალსადენი შემოდიოდა აღმოსავლეთიდან 60 სმ სიმაღლეზე. გასასვლელი კი მოპირდაპირე კედელშია ცოტათი გვერდზე.



სურ. 41. აუზი. გეგმა.

აუზი დიდია, იგი წყალსაცავს უფრო ჰგავს; რადგან იგი კომპლექსში არ არის ამიტომ მის დანიშნულებაზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. აუზის ორივე მხარეს საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებია (სურ. 41). ამ ნაგებობებზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათ იატაკი აგურისა ჰქონიათ, კედლები კი ყორექვისა. ერთგან ჩანს კერა, მეორეგან — თონე. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ეს საძირკვლებიც სხვადასხვა დროისაა: სახლი სახლზეა.

ხ ი დ ი მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით სამასიოდე მეტრზე (სურ. 42, ტაბ. XXX). ხიდი აუგიათ არხის გაყვანასთან დაკავშირებით. არხის კვალისთვის თვალის გადევნება შეიძლება

რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეზე. ზოგან არხის კედლები ქვითაა ამოყვანილი, ზოგან კი უბრალოდ მიწაშია ამოჭრილი. არხის სათავე არ ჩანს, მაგრამ ეტყობა, რომ იგი მდ. ინწობადან იწყებოდა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებოდა[23].



სურ. 42. ხიდი. გეგმა, განაკვეთი და ფასადი.

არხის მშენებლობა უნდა მომხდარიყო გრემის ქალაქობის დროს. მაშინ გზებიც კეთილმოწყობილი უნდა ყოფილიყო. ამ პრინციპიდან გამომდინარეობდა, ალბათ, არხის გამყვანი და ერთგან გზის გადასაყვანად ხიდი აუგია. თავისთავად არხი პატარაა და ხიდიც შესაფერისად მცირეა (არხის სიგანე — 1,5 მ, ხიდის სიმაღლე — 0,8 მ. ხოლო ხიდის სიგანე — 4,0 მ.), მაგრამ მისი სიგანე, რომელიც ოთხ მეტრს უდრის, სრულიად საკმარისი იქნებოდა მაშინდელი ტრანსპორტისათვის.

წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი. ქალაქი გრემი, რომლის ტერიტორია თითქმის 50 ჰექტარს მოიცავდა, მცხოვრებთა რაოდენობითაც დიდი იქ-

---

23 ალ. მამულაშვილს გამოცემული აქვს გრემის სარწყავი არხი (იხ. მუზეუმის მოამბე X I—B, გვ. 173), რომელიც ლოპოტადან გამოდიოდა, ამ არხის ნაშთი განიერი და ღრმა თხრილის სახით ახლაც კარგად ჩანს ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი იმაზე, არხი ნაქალაქარის დასავლეთ მხარესაც რწყავდა თუ არა. ამის კვალი არცა ჩანს და მეტად ძნელიც იქნებოდა. ამიტომ ამ მონაკვეთში ჩვენ ინწობიდან გამოყვანილ არხს ვგულისხმობთ.

ნებოდა. მოსახლეობას სასმელი წყლის გარდა სამეურნეოც დასჭირდებოდა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც გათხრებისას აღმოჩნდა ისიც ბევრის მანიშნებელია. კერძოდ, გამოირკვა, რომ გრემში იყო ორი აბანო და ექვსი აუზი. აუზების მეტი ნაწილი მუდმივ მოქმედებდა, რადგან სასახლეებთან იყო დაკავშირებული. ცხადია, ყველაფერ ამას წყალი მეტად დიდი რაოდენობით დასჭირდებოდა.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრების წარმოების დროს მრავალ ადგილას იყო აღმოჩენილი წყალსადენი კერამიკული მილებით. ამ წყალსადენების ერთი ნაწილი დუღაბშია ჩასმული, ხოლო დანარჩენი მარტივადაა მოწყობილი და მხოლოდ მიწაშია.

გრემის წყლით მომარაგების საკითხის შესახებ ადგილობრივ გაირკვა, რომ ქალაქი ორი მხრიდან მარაგდებოდა წყლით. ერთი წყალსადენი მოემართებოდა მდ. ინწობას მხრიდან, მეორე კი — ბოლიას მხრიდან.

მდ. ინწობას მომყოლი ხაზი ჩვენ აღარ დაგვხვედრია, რადგან მდინარე წყალდიდობის დროს მარჯვენა მხარეს აწვება და ნაპირები მთელ სიგრძეზე დიდი ხანია მოურღვევია. მაგრამ ადგილობრივ მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ აქა-იქ გაშიშვლებული წყალსადენი. დათვალიერებისას ორგან მხოლოდ მილების ნამსხვრევები ვნახეთ, სათავე კი სადღაც მაღლა ექნებოდა, იქ სადაც კარგი წყაროებია.

მდ. ბოლიას მხარეს ტრასისათვის ახლაც შეიძლება თვალის გადევნება. ნაქალაქარიდან დაახლოებით 6—8 კილომეტრზე მდებარეობს ე. წ. ქვიშათხევის წყალგამყოფის უღელტეხილი. დიდი დებიტის წყაროს წყალი მდებარეობს მთის იქითა მხარეს. აქედან წყალი წამოუყვანიათ კერამიკული მილებით, მაგრამ რადგანაც ტრასა რთული იყო, ამიტომ დუღაბში ჩაუსვამთ და ისე გადმოუტარებიათ ყელზე. აქედანაც რთული გზა ჰქონდა მდ. ბოლიას ხეობაში ჩასვლამდე. თუმცა არც მერე ჰქონდა მას ნაკლებად ძნელი გზა: იგი მიჰყვებოდა მდინარის მარჯვენა ფერდობს და თანგირების გამოყენებით ნელ-ნელა ეშვებოდა ქალაქისაკენ.

ჩვენ მიერ ქალაქის ტერიტორიაზე ნანახ წყალსადენებიდან მოკლედ აღვწერთ მხოლოდ რამდენიმეს.

1. ქარვასლისა და ქულბაქების ტერიტორიაზე დიდი კაპიტალური წყალსადენი გადიოდა. ცხადია, ეს წყალსადენი ეზოს დონის ქვემოთ იქნებოდა.

წყალსადენის ტრასას თვალს ვავლებთ მხოლოდ და მხოლოდ ქარვასლისა და ქულბაქების ტერიტორიაზე (სურ. 34, 35, ტაბ.

X.XV$_1$). სად იწყება, ან სად თავდება ეს უცნობია, რადგან ექსპედიციას არ ჰქონდა იმის საშუალება რომ ეთხარა წყალსადენი კილომეტრების მანძილზე. ამ მონაკვეთზე კი სისტემა ერთია.

წყალსადენი შემოდის ქარვასლის ჭიშკარში და მიემართება მეორე ბოლოს მდებარე ჭიშკრისაკენ. იქ გაივლის ამ ჭიშკარს, შედის ქულბაქების ეზოში, ოდნავ იხრება სამხრეთისაკენ და შედის გვიანი ვალავნის ქვეშ. ამის შემდეგ ქულბაქების დასავლეთის უჯრედებთან იკარგება, დარღვეულია. ამ ასი მეტრის მანძილზე სამი თანგირია გაკეთებული. თანგირი კვადრატული გეგმის მქონე ჩაღრმავებას წარმოადგენს. წყალი შემოდის სწორკუთხა ხვრელიდან და იმავე ზომის სწორკუთხა ხვრელში გადის. ამჟამად წყალსადენის მხოლოდ ღარია დარჩენილი. მისი კედლები სამი აგურის წყობითაა ამოყვანილი და თხუთმეტიოდე სანტიმეტრის სიმაღლისაა. ზემოდან თანგირი და წყალსადენიც ბრტყელი ქვებით ყოფილა გადახურული. გათხრებისას გადახურვა მთლიანად მხოლოდ ერთ თანგირზე იყო დარჩენილი, დანარჩენგან კი ორიოდე ადგილზე შეინიშნება. თვით წყალსადენის კედლები ყორე ქვითაა ამოყვანილი და მთლიანად მისი სიგანე ერთ მეტრს აღემატება, ხოლო სიმაღლე 70—80 სანტიმეტრია.

საინტერესო ის არის, რომ აქ ფაქტიურად პარალელურად მიმავალი ორი წყალსადენია: ერთი, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, ხოლო მეორე — ამ მასაში გამავალი კერამიკულმილებიანი. ეს კერამიკული მილებისაგან შედგენილი წყალსადენი მთლიანად დუღაბშია ჩამჯდარი და იმავე მიმართულებით მიდის, მხოლოდ მისი დონე უფრო დაბლაა, ვიდრე პირველისა. აქ აღწერილ გადაწყვეტას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მივცეთ. ორ წყალსადენში სხვადასხვა წყალი გადიოდა. ზედა, რომელიც ქვისა და აგურის ღარს წარმოადგენდა, ალბათ მეორეხარისხოვანი წყლისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო ქვედა კერამიკული წყალსადენში — სასმელი წყალი გადიოდა.

აღნიშნულის გარდა, უშუალოდ ქულბაქების ტერიტორიაზე, აღწერილ წყალსადენსა და ჩრდილოეთის სავაჭრო რიგს შორის კიდევ ორი კერამიკული წყალსადენი გადიოდა (ტაბ. XXV$_1$). ესენიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ.

2. დიდებულთა უბანშიც რამდენიმე წყალსადენია. ამათგან ორი მდებარეობს შადრევნიანი პავილიონის ჩრდილოეთით გამოვლენილ ნაგებობათა ფართობზე.

ერთი მათგანი სხვებზე ადრეულია და მდებარეობს დასავლეთის მონაკვეთზე, სადაც ორი დროის ნაგებობების ნაშთებია დარჩენილი.

კერამიკული მილების წყალსადენი მიემართება ამ ნაგებობათა ქვეშოთ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. წყალსადენი მარტივადაა მოწყობილი; კერამიკული მილები პირდაპირ მიწაშია ჩაწყობილი (სურ. 26).

მეორე წყალსადენი კი, რომელიც გაცილებით გვიან არის აგებული, მდებარეობს ჩრდილოეთით და პირველისაგან განსხვავებით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება (სურ. 26). ეს წყალსადენი უკვე კაპიტალურადაა ნაგები, რადგან კერამიკული მილები დუღაბშია ჩასმული. დუღაბს ქვემოდან დაფენილი აქვს რიყის ქვები.

წყალსადენი დარჩენილია ოციოდე მეტრის სიგრძეზე. ტრასაზე ჯერ ოთხკუთხა საწრეტია. შემდეგ კი — წრიული. ეს უკანასკნელი ამავე დროს წყალსადენის მუხლს წარმოადგენს. აქ ხაზი უხვევს, აკეთებს სწორ კუთხეს და სამხრეთისაკენ მიემართება. არ არის გამორიცხული, რომ ეს წყალსადენი ამარაგებდა შადრევნიან პავილიონს[24], ან მომდევნო მონაკვეთში მდებარე სასახლის აუზს.

ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო მესამე წყალსადენიც, მაგრამ იგი მოუსპია ზედა ფენებს. იქვე მდებარეობს თლილი ქვით ამოყვანილი მოზრდილი აუზი, რომელსაც აქვს წყლის გასასვლელი მილი იატაკის დონეზე, მაგრამ არ არის წყლის შემომყვანი მილი. ცხადია, იგი იქნებოდა აუზის ზედა დონეზე, რომელიც მომდევნო პერიოდის მშენებლებს დაუნგრევიათ.

3. მესამე ჯგუფი წყალსადენებისა მოთავსებულია ხისსვეტებიანი შენობის ეზოს გარეთ (სურ. 24). აქაც ორი დროის წყალსადენია და ერთმანეთთან სულ არ არის დაკავშირებული. უფრო მოგვიანებით ორივე წყალსადენზე სვეტებიანი სახლის ეზოს გალავანი გადაუტარებიათ.

პირველად აგებული წყალსადენი უფრო საინტერესოა. წყალი საიდან მოდიოდა, ან ზედა ნაწილი როგორ იყო მოწყობილი არ ჩანს, რადგან ყველაფერი ეს ახლანდელი მიწის დონეზე მაღლა ყოფილა. ამჟამად რაც ჩანს ეს შემდეგია: კერამიკული მილი ვერტიკალურადაა ჩასმული მიწაში და ზედა დონე აგურებითაა მოფენილი. ქვემოთ მუხლი კეთდება და შემდეგ ჰორიზონტულად მიემართება წყალსადენი სამხრეთის მიმართულებით. აქ კერამიკული მილები, სხვებთან შედარებით, დიდებია (სიგრძე 46 სმ, დიამეტრი 16 სმ).

[24] აქ გაურკვევლობას იწვევს ამ წყალსადენისა და პავილიონის გარე კედელთან შერჩენილი წყალსადენის დონეების სხვაობა. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს მდინარის მიერ ნაპირების ძირის გამოთხრის გამო ნიადაგის დაწევით.

მეორე წყალსადენი ისეთივეა, როგორც წინა პარაგრაფშია აღწერილი. კერამიკული წყალსადენი ჩასმულია დუღაბში და ეყრდნობა რიყის ქვის ფენილს. ეს წყალსადენი აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართება (ამჟამად მდინარის ნაპირი ძალიან ახლოსაა, თავის დროზე კი საკმაოდ მოშორებული იყო მისგან. თავისთავად წყალსადენის ასეთი მიმართულება იმაზე მეტყველებს, რომ იგი იკვებებოდა ინწობას სათავეებიდან მომავალი წყლით და არა ბოლიას მხრიდან მომდინარე წყლით. თვით წყალსადენის მილები დიდებია (შიდა დიამეტრი — 16 სმ, სიგრძე—46 სმ) და ბევრ წყალსაც გაატარებდა.

„თარსა გალავანი“

ქალაქის დასავლეთის მონაკვეთში მდებარეობდა „თარსა გალავანი“. იგი გალავნისა და მის შიგნით მდებარე მოზრდილი გუმბათოვანი ეკლესიისაგან შედგება. ეკლესიის დასავლეთის კედელზე კარის თავზე არსებული სამენოვანი (ქართული, სომხური და სპარსული) წარწერის მიხედვით (ტაბ. XXXI$_2$), სადაც ვინმე „მათარსაა“ ნახსენები, ეს ანსამბლი ახლაც მის სახელს ინარჩუნებს, „თარსა გალავანს“ ეძახიან.

ქვაზე ამოკვეთილი სამივე წარწერის ტექსტები კარგად აქვთ გამოცემული ა. შანიძეს და ვ. ფუთურიძეს, მოვიყვანთ აქ მხოლოდ ქართულ წარწერას მათი წაკითხვის მიხედვით:

„მე ფრიად ცოდვილმან მათარსი აღვაშენე კარის ეკლესია ესე ყოვლად წმიდისა, ბრძანებითა და შეწევნითა ძისა მისისა და ჟამსა შინა მეფობასა მისისა პატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდასამესა ჭკსა სპა და შევსწირეთ კნინი შესაწირავი ესე სამი კუამლი კაცი ერთი წისქვილი, ერთი ვენაჯი და ორი ქულბაქი, საჯსრაღ სულისა ჩემისა. რამანცა ადამის მონათესავემან ამა ეკლესიაზედა მჯდომს კაცზედა ნასად (?) ჯელი დადვას ან ეს არ გაუთაოს, ღმერთმან მას ნურა გაუთაოს რა. ამინ კირიალეისონ“[25].

წარწერათა გამომცემნი ტექსტებს ადარებენ ერთმანეთს, აზუსტებენ თარიღებს და სხვა დეტალებსაც და ბოლოს აკეთებენ ვრცელ დასკვნებს. ამ დასკვნებს ნაწილობრივ ჩვენ აქ მოვიყვანთ:

1. „შემწირველს სომხურში ეწოდება მიკირტიჩი, რომელიც

---

25 ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 6.

არის ძე ზაქარიასი და შვილიშვილი ქრისტონესი. არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება არც ქართულ'ში და არც სპარსულში. იქაც და აქაც დასახელებულია მხოლოდ მათარსი.

2. ეკლესიას ეწოდება სომხურში უბრალოდ „ღვთისმშობელი"; ქართულ'ში კი ნათქვამია „კარის ეკლესია", აშენებული „ყოვლად წმიდის" (ე. ი. ღვთისმშობლის) სახელზე... სამივე წარწერა ერთხმად აღნიშნავს, რომ ეკლესია აშენებულია მარიამის სახელზე, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კარის ეკლესიად არის გამოცხადებული ქართულ წარწერაში. უთუოდ იგი იყო კარის ეკლესია არა ალექსანდრე მეფისა, არამედ მისი მდივან-მწიგნობრის მათარსისა, რომელსაც ეკლესიაში თავის ცოლი დაუსაფლავებია.

3. აშენების მიზნად სომხურ წარწერაში აღმშენებლის ცოლის სულის მოხსენებაა დასახელებული, თუმცა შემდეგ ნათქვამია, რომ „რამაც კაცმა ეს ჩვენი სახსენებელი ან ვახმი მოშალოსო", მაშასადამე, ამით მათარსი თავის თავსაც გულისხმობს. ქართულში აშენებელი თავის „სულის საჯსარს" ახსენებს და არა ცოლისას, ცოლი საზოგადოდ სრულებით არ ჩანს ქართულში, სამაგიეროდ სპარსულში ცოლის სახელიც არის მოხსენიებული და აგრეთვე ისიც, რომ იგი ამ ეკლესიაში ასაფლავია.

4. შესაწირავი ყველგან ერთნაირად არის მოხსენიებული: 3 კვამლი კაცი, 1 წისქვილი, 1 ვენახი და 2 დუქანი. ოღონდ დუქნის აღსანიშნავად ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვა „ქულბაქი" არის ხმარებული, რაც ძველი ტრადიციის მაჩვენებელია. სომხურად და სპარსულადაც სათანადო ადგილას არაბული სიტყვაა ხმარებული („დუქანი").

5. განსაკუთრებით აღსანიშნავია თარიღის საკითხი. თითოეული წარწერა ისეა დათარიღებული, როგორც ეს მიღებული იყო სათანადო ერებს შორის...

სომხური წელთაღრიცხვის თანახმად ეკლესია აუშენებიათ... 1044 წელს, რაც დღევანდელი ანგარიშით 1595 წელს უდრის (551 + 1044 = 1595). ქართული ქრონიკონი ორი წლით ნაკლებს გვაძლევს: სპა ქრონიკონი უდრის 1593 წელს (1312 + 281 = 1593). რაც შეეხება სპარსულ წარწერას, აქ თარიღად დადებულია 1003 წელი, ეს 1003 წელი დაიწყო 1594., ახალი (გრიგორიანული) სტილით 16 სექტემბერს და დასრულდა 1595 წლის 5 სექტემბერს, ძველი (იულიანური) სტილით კი დაიწყო 1594 წლის 6 სექტემბერს და დასრულდა 1595 წლის 26 აგვისტოს. მაშასადამე, წარწერა ამოჭრილია 1595 წლის 6 სექტემბრამდე (ახალი სტილით). როგორც ვხე-



სვრ. 43. „თარსა გალავანი“ ეკლესიის გეგმები სამი იარუსის დონეზე.

დავთ, სპარსული წარწერის წელთაღრიცხვა და სომხურისა ერთსა და იმავე წელს გვაძლევს, ქართული კი ამათგან ორი წლით არის განსხვავებული. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ქართულსა და სპარსულ წარწერაში ინდიქტიონიც არის მოხსენიებული: ალექსანდრეს მეფობის 23-ე წელი. თუ ქართულ წარწერას დავუჯერებთ და თარიღად 1593 წელს მივიღებთ, აგრეთვე ვივარაუდებთ, რომ შეცდომა არ არის არც მეფობის წლის აღნიშვნაში, მაშინ გამოდის, რომ ალექსანდრეს გამეფების თარიღად თვლიდნენ 1570 წელს (1593—23=1570). მაგრამ სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე გამეფებულა 1574 წელს, მართლაც ვახუშტის ქრონიკის თანახმად ალექსანდრე გამეფებულა 1574 წელს»[26].

სამწუხაროდ, წარწერების გამომცემნი თარიღის დაზუსტებისაგან თავს იკავებენ. გ. ჩუბინაშვილი კი, რომელიც ამ ეკლესიას მოკლედ ეხება, ზემოაღნიშნული ავტორების ნაშრომიდან ეკლესიის თარიღად ღებულობს 1595 წელს[27]. ჩვენც, რადგანაც სხვა ახალი მასალა არ გაგვაჩნია, განსახილავი ეკლესიის თარიღად ვღებულობთ 1595 წელს.

ეკლესიის ირგვლივ ვრცელი გალავანი ყოფილა (სურ. 1). გალავნის შიგნითა ტერიტორია თხრილებით დავსერეთ, მაგრამ ნაგებობებსა და სამარხებს ვერ წავაწყდით (თავისთავად ამაში არაფერია ვასაკვირი, რადგან ეკლესიის აგებიდან ჭალაქმა ფაქტიურად მხოლოდ 20 წელი იარსება). მხოლოდ დასავლეთით ჭიშკართან ახლოს ორი დიდი ქვევრი აღმოჩნდა (საზედაშედ იქნებოდა განკუთვნილი).

„თარსა გალავანს“ იქვე დასავლეთით ჰქონია ჭიშკარი. იგი ტრანსპორტისათვის გამოდგებოდა (სიგანე 170 სმ). თაღოვანი გასასვლელის თავზე ორი სათოფეა. შესასვლელის გვერდებზე თითო შეისრული ნიშაა. მათ ზემოთ კი — პატარა ზომის თითო სწორკუთხა ნიშაა.

გალავანი ნაგებია რიყისა და ყორე ქვით. სიმაღლე სამ მეტრს არ აღემატება, სათოფეები იმ მცირე მონაკვეთზე, რომელიც დარჩენილია გალაკნისაგან არ ჩანს. ეგ, ცოტა არ იყოს, თავისთავად უცნაურია, რადგან სათოფეების გარეშე ფეოდალურ ხანაში დაცვა გაჭირდებოდა. უნდა დავუშვათ, რომ სათოფეები, ისე როგორც ამას ჭიშკრის თავზე ვხედავთ, სხვაგანაც იქნებოდა.

გალავნის შიგნით ეკლესიის ჩრდილოეთით, სხვა გალავნის ნაშ-

---

26 ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, დას. ნაშრომი, გვ. 8—10.

27 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 461.

თი გავთხარეთ იგი საკმაოდ გრძელია და დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე ძიემართება. ცხადია, ეს გალავანი ზემოაღწერილ გალავან-ზე უფრო ადრეა აგებული. შესაძლოა ის ნაწილი იყოს ქალაქის ამ



სურ. 44. „თარსა გალავანი“. ეკლესიის განაკვეთები აღმოსავლეთით და სამხრეთით.

კვარტალის გალავნისა. „თარსა გალავნის“ აშენებამდე ამ კვარტალის დაგეგმარება სხვანაირი იქნებოდა.

არსებულ გალავანს ჩრდილოეთით აკრავს კედლებით შემოფარგლული მცირე ეზო. მის შიგნით, მიწის ზემოთ ნაგებობა არ ჩანს. საცდელ თხრილებსაც არ გამოუვლენია ნაგებობათა ნაშთები.

მათარსას ეკლესია, ნაქალაქარზე მდებარე მრავალი ეკლესიიდან, მთავარანგელოზის შემდეგ, ყველაზე უკეთესია და დიდიცაა. მართლაც, ა. შანიძის მართებული შენიშვნისა არ იყოს, ეკლესია აგებულია მეფის მდივნის მიერ. ის კი შეძლებული უნდა ყოფილიყო, რის გამოც დიდ ეკლესიას ააგებდა.

ეკლესია სწორკუთხედში მოთავსებული გუმბათოვანი ნაგებობაა (სურ. 43, 44). მისი ინტერიერის გადაწყვეტა ორიგინალურია. საკურთხევლის ქვეშ კი საკმაოდ ვრცელი საგვარეულო აკლდამაა (იგი ადრევე გაუძარცვავთ. გაწმენდით მაინც გავწმინდეთ. მაგრამ არაფერი არ აღმოჩენილა). ამ აკლდამაში ჩასასვლელი ცენტრიდანაა. საკურთხევლის გვერდის ოთახების ქვეშაც გაძარცული სამარხებია. გაითხარა აგრეთვე ეკლესიის დასავლეთის კარის წინ აგურის კედლებიანი სამარხი. სამწუხაროდ, ისიც გაძარცული აღმოჩნდა.

ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ცენტრში აღმართული გუმბათი ჩანგრეულა, თუ მტერს დაუნგრევია.

საკურთხეველი ორსართულიანია (სურ. 44, ტაბ. XXXII). პირველი სართულის საკურთხევლის იატაკი თითქმის ერთ მეტრზეა აწეული. აფსიდის კონქი დაბალია. ზედა იარუსი მასზე თითქმის ორჯერ მაღალია და მასაც თავისი აფსიდი აქვს, რომელსაც კონქი ამთავრებს. მეორე იარუსზე ასვლა ხდება საკურთხევლის ქვედა იარუსის გვერდებზე მდებარე კიბეებით. აქაც საკურთხეველი სამნაწილიანია. ქვედა სართულის სადიაკვნესა და სამკვეთლოს მსგავსად, აქაც ამ გვერდითი სათავსოების მოხაზულობა სწორკუთხაა. ყველგან თითო ფანჯარაა აღმოსავლეთით.

ეკლესიის დასავლეთის მკლავი გვერდითი ნაწილებიდან მაღალი თაღებითაა გამოყოფილი. მათ თავზე მცირე სამალავებია მოწყობილი. იქ მოსახვედრად აღმოსავლეთით ოთხკუთხა ხვრელებია დატანებული. ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. მათი გადაწყვეტა ერთნაირია.

ეკლესია ნაგებია ძირითადად აგურით, მაგრამ გამოყენებულია რიყისა და ყორე ქვაც (აგურის ზომები: 22—24×5—6 სმ). გუმბათ-



სურ. 45. „თარსა გალავანი“. ეკლესიის აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები.

ქვეშა კუთხეებში სპეციალურად გამომწვარი ლეკალური აგურია გამოყენებული. ეკლესიის კედლები სქლად იყო შელესილი. ამჟა-

მად ნალესობის მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. მხატვრობის კვალი არ ჩანს.

ტაძრის ფასადები პროპორციულია (სურ. 45, ტაბ. XXXI). ოთხივე ფასადზე მორთულობის ერთი პრინციპია მიღებული. მოპირ-



სურ. 46. ეკლესიის ერთი ჯგუფი სავაჭრო უბნის აღმოსავლეთით. გეგმა და დასავლეთის ფასადი.

დაპირე ფასადები წყვილ-წყვილად ერთნაირი სამ-სამი თაღითაა დაშუ'შავებული. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვიწრო მხარეებზე გვერდითი თაღები ვიწრო და მაღალია, ცენტრალური თაღები კი ტოლებია. ფანჯრები მოურთავია, მხოლოდ ხვრელობები ჩანს. სამი-

ვე კარი ერთ პრინციპშია გადაწყვეტილი. კარის თავზე ისრული ფორმის თაღოვანი ტიმპანია. მთლიანად შესასვლელი ტიმპანით, აგურით ამოყვანილ სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. დასავლეთის ფასადის მორთულობად გამოყენებულია სამენოვანი წარწერა, განლაგებული ერთ გრძელ ქვაზე.

ეკლესიის კომპოზიციას როგორი ფორმის გუმბათი აგვირგვინებდა, არ ირკვევა. ალბათ იგი ისეთივე ფორმისა იქნებოდა, როგორსაც ვხვდებით XVI ს. მეორე ნახევარში და მომდევნო საუკუნის დასაწყისში.

საერთოდ, შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ ქალაქის ამ კვარტალში განლაგებული მრავალრიცხოვანი ეკლესიები თუ ხელოვნების ნიმუშად არ ჩაითვლება, იგივე არ ითქმის ამ ნაგებობაზე. მისი ხუროთმოძღვარი უდავოდ გემოვნებიანი ყოფილა.

ეკლესიის ფორმები თუ მხატვრული გადაწყვეტა ისევ XVI—XVII სს. კახეთში პოულობს ანალოგიებს, ამიტომ წარწერაში მოცემული თარიღი 1595 წ. ძალაში რჩება.

მცირე ზომის ეკლესიები

ქალაქის სავაჭრო უბანში ბევრი სომეხი სახლობდა. მათ თავიანთვის აუგიათ მცირე ზომის ეკლესიები. ზოგი მათგანი თანდათანობით ნაზარდია და ერთი ეკლესიიდან ეკლესიათა ჯგუფად გადაქცეულა, ზოგი კი მარტოდმარტო დარჩენილა.

ეს ეკლესიები მეტად უსახონი არიან და XVI—XVII საუკუნეებისათვის ღირსშესანიშნავს არაფერს შეიცავენ. ნიმუშად აღვწერთ მხოლოდ ორს. ერთი მათგანი თანდათან ნაზარდია, ხოლო მეორე—ერთდროული. ეს ორივე ეკლესია გამოირჩევა ამ უბანში მდგარი სხვა ეკლესიებისაგან.

ეკლესიათა ერთი ჯგუფი, რომელიც აქ უნდა აღვწეროთ, მდებარეობს სავაჭრო უბნის აღმოსავლეთით — განაპირას, „მთავარანგელოზის“ მთის ძირას. ამ ადგილას თავდაპირველად დაუდგამთ პატარა ზომის ცალნავიანი ეკლესია. შემდეგ მისთვის გვერდებზე თითო ეკლესიაც მიუშენებიათ და ზემოდან სამრეკლო დაუდგამთ (სურ. 46, ტაბ. XXX).

პირველ ეკლესიას, ე. ი. ცენტრალურს, შესასვლელი მხოლოდ დასავლეთიდან აქვს. ფანჯარა კი ოთხივე კედელში თითოა (გვერდის ფანჯრები აღარ მოქმედებს, მას შემდეგ რაც ამ მხარეებზე მინაშენები გაჩნდა). ისინი თითქმის თანატოლებია. ეკლესიის დარბაზი

ოდნავ მოისრო კამარითაა გადახურული. ასევე მოისრო ფორმა აქვს აფსიდის კონქს. თითო სწორკუთხა ნიშა მოთავსებულია გვერდის კედლებში. ამათგან სამხრეთისა უფრო დიდია. ეკლესია ნაგე-



სურ. 47. გუმბათოვანი ეკლესია სავაჭრო უბნის ჩრდილოეთით. გეგმა და განაკვეთი.

ბია ყორე ქვით. აგური აქა-იქაა გამოყენებული, ძირითადად კონქზე და კამარაზე.

ოსტატს დასავლეთის ფასადის მორთვაზე საკმაოდ უზრუნვია. როგორც ეს გვიანი პერიოდის არქიტექტურაშია მიღებული, ისრულიაღოვანი კარის ხვრელი ჩასმულია სწორკუთხა ნიშში. მის ზემოთ თაღია გამოყვანილი, რომელიც ისევ ნიშას ქმნის. კარის ორივე მხარეს, დაახლოებით ცენტრებში, თითო ბაჩკარია ნიშაში ჩასმული.

ამ ეკლესიაზე, მოგვიანებით, სამრეკლო დაუდგამთ. სამრეკლო პატარაა. მისი გეგმა კვადრატულია. იგი ოთხივე მხრიდან თითო თაღითაა გახსნილი. სამრეკლოს ფანჩატური მთლიანად აგურითაა ნაგები.

სამხრეთის მინაშენი დაქვემდებარებულია ცენტრალური ეკლესიის სახურავის ჭანობისათვის. ფაქტიურად ამ მინაშენის სახურავის ჭანობი, პირველის სახურავის ჭანობის გაგრძელებას წარმოადგენს. ეს მინაშენი ეკლესიის მთელ სიგრძეზეა, მაგრამ წვრილია. გადახურული ყოფილა კამარით, რომლის დასავლეთის ნახევარი ჩანგრეულია. ასევე მორღვეულია დასავლეთის კედლის ზედა ნაწი-

ლი. ამიტომ არ ირკვევა, თუ რა ფორმის გადახურვა ჰქონდა იმავე კედელში მდებარე კარს.

ფასადები ნაგებია ყორე ქვით, აქა-იქ აგურის გამოყენებით. ამ ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი მოურთავთ ხაჩკარებით. თითო მაღალი ხაჩკარი ჩასმულია აღმოსავლეთის ფანჯრის გვერდებზე. ამათგან მხოლოდ მარჯვენაა ადგილზე.

ჩრდილო მინაშენი უფრო პატარაა. მისი მოკლე გვერდები არ უსწორდება ძველი ეკლესიის შესაბამის კედლებს. იგი შიგნიდანაც სწორკუთხაა. მისი გადამხური კამარა ჩრდილოეთით კედელს ეყრდნობა, სამხრეთით — ორ თაღს. ეს თაღები საყრდენებზე გადადის. ეს მსუბუქი ფორმა თავის დანიშნულებას ასრულებდა, ამიტომ აქ, ძველი ეკლესიის გვერდით ახალი კედლის აგება გაუმართლებელი იქნებოდა. თვით კამარას მკვეთრად ისრული ფორმა აქვს. განათება თითო ფანჯრითაა აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. აღმოსავლეთის სწორკუთხა ფანჯრის ქვეშ ტრაპეზი მდგარა, რომელიც სანახევროდ დანგრეულია. ჩრდილო კედელში ერთი ნიშაა. ეკლესიის კედლები ნაგებია ყორე ქვით. აგური ცოტაა გამოყენებული.

შესაძლოა ამ ეკლესიებზე იყოს საუბარი 1640-იანი წლების დასაწყისში რუსი ელჩების მიშეცკისა და კლუჩარევის ნაწერში. გრემში ჩასვლის შემდეგ ისინი გაპარტახებულ ქალაქს აღწერენ ორიოდე სიტყვით, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „... под горою церковь каменная, армянская. Около се жилых армянских дворишка с 3 да пустых дворишков с 6...“[28]

გუმბათოვანი ეკლესია. დგას ნაქალაქარის ჩრდილოეთით, მთის ფერდობზე. იგი პატარაა და უხეშ ფორმებს შეიცავს. მისი გეგმა კვადრატულია (სურ. 47, ტაბ. XXXVII$_2$). მცირე ზომის გუმბათქვეშა მკვლავები ღრმა ნიშებს მოგაგონებთ, აღმოსავლეთით კი განიერი აფსიდაა. ამ მკლავებზე აფრების საშუალებით ცილინდრული გუმბათის ყელია დადგმული. გუმბათში ოთხი მაღალი ფანჯარაა შეისრული თაღებით. ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში ფანჯრებს შუა მცირე (40×40 სმ) სწორკუთხა ფანჯარაა, ისეთი, როგორიც ზემოაღწერილ ეკლესიაზე აღმართულ სამრეკლოშია. ეკლესიის ქვედა კორპუსის ოთხივე მხარეს თითო ფანჯარაა.

საკურთხევლის გვერდებზე მცირე ზომის სამკვეთლო და სადიაკვნეა. მათ კამაროვანი გადახურვა აქვთ. კამარა შეისრულია. სად-

---

[28] М. Полиевктов, Посольство князя Мышецкого и дьяка Клочарева в Кахетию в 1640—1643 гг., Тифлис, 1928, стр. 156.

გომები ნათდება აღმოსავლეთით თითო ფანჯრით. ამ სადგომების წესასვლელებიც შეისრული თაღებითაა გადახურული. ასეთივე ფორმა აქვთ გუმბათქვეშა თაღებსაც.

აქაც, სხვა სომხური ეკლესიების მსგავსად, საკურთხეველი გა-



სურ. 48. „საყარაულო“. ეკლესიის გეგმა, განაკვეთი აღმოსავლეთით, განაკვეთი სამხრეთით და დასავლეთის ფასადი.

მოყოფილი და აწეული ყოფილა. გვერდის სათავსოები კი დარბაზის იატაკიდან 60—70 სმ მაღლაა. ჩრდილო კედელში ნიშაა, რომელიც თითო ბრტყელი ქვითაა შემოსაზღვრული. ნიშის ნახევარი სიღრმე კედელშია შეჭრილი, ნახევარი კი შვერილია. კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა. ახლა ბევრგან ნალესობა ჩამოცვენილია.

ეკლესია ნაგებია აგურით და ქვით. გუმბათი კი მხოლოდ აგურითაა ნაგები (აგურის ზომები: 21×21×4; 22×22×4; 23×23×5 სმ).

ეკლესია გარედან ჯმუხია, მიწასთან შეზრდილი. ქვედა ნაწილი კუბური მასაა, ზემოთ კი სახურავის დონეზე გამოყოფილია ჯვრის მკლავები. გადახურვა კრამიტისა ყოფილა, ახლა მხოლოდ რამდენიმე ცალია შერჩენილი. ბრტყელი კედლები კლდიდან მოგლეჯილი ქვითაა შემოსილი. გუმბათი გარედანაც აგურია. იგი შიგნით თუ ცილინდრული იყო, გარედან რვაგვერდაა. გუმბათის პირამიდული სახურავი ისევ სიპი ქვითაა გადახურული, მაგრამ ქვები დაწყობილია ჰორიზონტულად და დაქანებული სიბრტყე იქმნება.

ეკლესიის ფასადები მოურთავია. დასავლეთის კედელში რამდენიმე ხაჩკარი ყოფილა ჩართული, გადარჩენილია მხოლოდ ერთი მათგანი, რომელიც მცირე ზომისაა და მდებარეობს კარის მარცხნივ.

ეკლესიას საკუთარი გალავანი ჰქონია. იგი მასზე დასავლეთითაა მიდგმული, მისი გეგმა გრძელ სწორკუთხედს წარმოადგენს. კედლებში სამეურნეო დანიშნულების ნიშებია ჩაყოლებული. გალავანი თითქმის სამი მეტრის სიმაღლისა ყოფილა. იგი ნაგებია ყორე ქვით. ამჟამად მორღვეულია ზედა ნაწილი და ზოგან კედლებიც მოშლილია.

განხილულ ეკლესიებს არც წარწერა აქვთ და არც ისეთი სტილისტიკური ნიშნები, რომლებიც ზუსტად დათარიღების საშუალებას მოგვცემდა. მიუხედავად ამისა, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მათი არქიტექტურული ფორმები ზოგადად XVI—XVII სს. ჩარჩოში ხვდებიან. ამავე დროს ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ 1616 წლის შემდეგ გრემში დიდი მასშტაბის მშენებლობა არ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე ეს ეკლესიები აღნიშნულ წლებამდე უნდა იყოს აგებული.

„საყარაულო“

„მთავარანგელოზის“ ანსამბლიდან ქედი მიდის მაღლა. ამ ქედის ქვედა ნაწილში დგას ეკლესია, ხოლო მის ზედა ბოლოს — „სამების“ ციხე-დარბაზი. ამ ეკლესიას „საყარაულოს“ ეძახიან და მას თავისი გამართლებაც აქვს, რადგანაც ეს ეკლესია საფრთხის გაზრდის გამო კოშკად გადაუკეთებიათ და საყარაულო პუნქტად უქცევიათ.

საყარაულოდ მას მართლაც კარგი ადგილი უკავია. აქედან კარ-

გად ჩანს ქალაქის სამივე ნაწილი, მთელი ხეობა აღმა და დაღმა რამდენიმე კილომეტრზე, ჩრდილოეთით — კავკასიონი და ქვემოთ, სამხრეთისაკენ — ვაკე ალაზნის პირი.

ეკლესია ერთნავიანია, საშუალო ზომის (სურ. 43, ტაბ. XXXVI). შესასვლელი დასავლეთიდან აქვს არქიტრაული გადახურვით. თითო მოზრდილი სარკმელია ყოველ მხარეს. სარკმლების გადამხური თაღები ნახევარწრიულია. კამარა და კონქი კოხტადაა ამოყვანილი. მხოლოდ კონქის თავზეა გამოყენებული აგური, სხვაგან ყველგან ფლეთილი ქვაა.

ფასადები მოურთავია. ჩანს მხოლოდ სარკმლების ხვრელობები. კარის ზემოთ დიდი ქვა დევს, რომელიც ოთხკუთხედშია ჩასმული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს იგი წარწერისათვის უნდოდათ, მაგრამ არ გაუკეთებიათ. კარის გვერდებზე კი თითო დიდი ქვაა ამოვარდნილი.

ეკლესიას ამთავრებდა ორ რიგად გაწყობილი აგურის კარნიზი.

ეკლესიის სადაზვერვოდ გადასაქცევად ორფერდიანი სახურავი ამოუშენებიათ კეხის დონეზე და შემდეგ ამოუყვანიათ კოშკის კედლები. რადგანაც კოშკისთვის უნდოდათ კვადრატული გეგმა მიეცათ, ამიტომ სამი კედელი ეკლესიის კედლების ვერტიკალს მიჰყვება, მეოთხე აღმოსავლეთისა უფრო ადრე იწყება (კონქის თაღს ემთხვევა). ამიტომ ეკლესიის აღმოსავლეთის ბოლო ნაწილობრივ თავდაპირველი სახითაა დარჩენილი.

კოშკის სართულიანობა არ ირკვევა, რადგანაც კედლები მორღვეულია. საბრძოლო ელემენტებიდან სალოდეები ჩანს სამხრეთით და ჩრდილოეთით. სალოდეები მთლიანად ქვისა ყოფილა, ფორმით ოთხკუთხედი. ესეც თავისთავად გამორიცხავს XVII ს. შუა ხანების მომდევნო პერიოდს.

ეკლესიას მცირე მასშტაბის (ქედის სიგანის ფარგლებში) გალავანი აკრავდა. ახლა ნაწილობრივ დარჩენილია ჩრდილო-დასავლეთის მხარე. კარი დასავლეთით ჰქონია.

როგორც ვხედავთ ეკლესიას განსაკუთრებული დამათარიღებელი მომენტები არ გააჩნია. საერთო მონაცემებით კი იგი დგება იმ ეკლესიათა რიგში, რომლებიც მრავლადაა ნაქალაქარზე, თუ მის მიდამოებში.

თავი V

ქალაქ გრემის გარემო

ქალაქი გრემი დიდ ტერიტორიაზე იყო გაშლილი, ხალხმრავალი და ეკონომიურად ძლიერიც ჩანს. ცხადია, იგი მარტო ვერ იქნებოდა. მას უპირველეს ყოვლისა ესაჭიროებოდა მასაზრდოებელი გარემო. ამავე დროს იგი მოქმედებდა იმავე გარემოზე.

ექსპედიციის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ამ გარემოს შესწავლაც წარმოადგენდა. წლების განმავლობაში ხდებოდა დაზვერვები ნაქალაქარის მიდამოებში და ყველა საინტერესო ობიექტი, ეს იქნებოდა ეკლესია, კოშკი, სასახლე თუ არხი ჩვენი შესწავლის ობიექტად იქცა.

ციხე-დარბაზი „სამება“

გრემის ნაქალაქარს მაღალი მთიდან დასცქერის საკმაოდ მოზრდილი კომპლექსის ნანგრევები (ტაბ XXXIII$_1$). მისთვის ისეთი ადგილია მოძებნილი, რომ იგი არა მარტო ინწობის ხეობაზე ბატონობს, არამედ ალაზნის აუზის დიდ ტერიტორიაზეც. ცხადია, ასეთი ადგილის შერჩევა შემთხვევითი არ იქნებოდა. იგი უდავოდ ეკუთვნოდა იმ პირს, რომელსაც უფლება და ძალა ჰქონდა ებატონა ამ მხარეზე. სამწუხაროდ, ისტორიას არ შემოუნახავს არა მარტო მისი ამგებისა და მეპატრონის ვინაობა, არამედ ობიექტის სახელიც არ არის ცნობილი. მართალია, ამჟამად მას „სამებას“ ეძახიან, მაგრამ ეს სახელწოდება გვიანი წარმოშობისა უნდა იყოს. „სამების“ სახელობისა ის პატარა ეკლესიაა, რომელიც კომპლექსშია ჩართული და თავის დროზე იგი მფლობელის კარის ეკლესიას წარმოადგენდა. მას შემდეგ რაც იქ ცხოვრება შეწყდა და დროთა ვითარებაში ხალხს დაავიწყდა სიმაგრის ნამდვილი სახელი, მასაც იქ მდგარი ეკლესიის სახელით მოიხსენიებდნენ.

„სამებაც“ ერთ-ერთი ის ობიექტია, რომელიც ადრეა აგებული,

შემდეგ დროთა ვითარებაში დანგრეული და განახლებული გრემის ქალაქობის დროს.

გრემში ქალაქის დაარსება უბრალო ფაქტი არ იყო, ეს იწვევდა საერთოდ ამ მხარის როგორც ეკონომიურ, ასევე კულტურულ აღმავლობას. ქალაქის ირგვლივ იქმნებოდა ახალი ცენტრები, ამავე დროს ხდებოდა ძველი ნასახლარების, ნაფუძრების, თუ ნაციხარების განახლება. როგორც ირკვევა, „სამებამაც“ მეორე სიცოცხლე დაიწყო სწორედ გრემის აღმავლობის პერიოდში.

ამჟამად ნანგრევებში ზოგი საკითხის გარკვევა შეუძლებელი ხდება ნაგებობის დაზიანების გამო, მაგრამ სამი ფენის გამიჯვნა ნამდვილად შესაძლებელია. ნანგრევების შიდა ტერიტორია ექსპედიციამ მთლიანად გაწმინდა და არქეოლოგიური მონაპოვარიც არ ეწინააღმდეგება ზემოგამოთქმულ აზრს. პირველი ფენის მასალები XI—XIII საუკუნეებზე მიგვითითებს, მეორე ფენისა კი XV—XVII საუკუნეებზე. ზოგი ფრაგმენტის მიხედვით არ არის გამორიცხული, რომ ამ ციხე-დარბაზს გრემის დანგრევის შემდეგაც განეგრძო ცხოვრება, მაგრამ ინტენსიური მაინც არ ჩანს.

„სამების“ ნაგებობის კომპაქტურობა და გეგმარების თავისებურება იმაზე მიგვითითებს, რომ საქმე გვაქვს არა ციხესთან, არამედ ციხე-დარბაზთან. ცხადია, ციხე-დარბაზი არასოდეს არ ყოფილა ერთი ნაგებობა. გარდა იმისა, რომ იგი თვით კომპლექსური უნდა იყოს, მის გარშემო უნდა ყოფილიყო დამხმარე ნაგებობები, ამჟამად ტყით დაბურულ მთაზე სხვა ნაგებობების ნაშთები მიწის ზემოთ არ ჩანს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ გათხრების შედეგად აღმოჩნდეს ზოგიერთი ნაგებობის ნაშთი მაინც.

თავდაპირველად აქ მდგარა რთული ფორმის გეგმის მქონე ნაგებობა (სურ. 49), სადაც ჩართული იყო ერთი საცხოვრებელი დარბაზი, კარის ეკლესია, წყალსაცავი და მცირე ზომის კოშკი. კედლებში დატანებული კიბეებით ირკვევა, რომ სართული თუ სართულები ზემოთ გრძელდებოდა. არსებული ფართობი, როდესაც საკმარისი არ იყო, ჩრდილოეთით მიუდგამთ კოშკური საცხოვრებელი და სამხრეთ-დასავლეთით — პატარა კოშკი. ნაგებობების დაზიანების შემდეგ აღმდგენელთ კარგად უმუშავიათ. მასალად, ადრეულისაგან განსხვავებით, უმეტესად აგურია ნახმარი.

ციხე-დარბაზის ზემოჩამოთვლილი ფენებიდან პირველი და მეორე ფენა ერთმანეთისაგან დროით მაინცდამაინც დიდად არ უნდა იყოს დაცილებული, ხოლო მესამე ფენა, ე. ი. აღდგენის პერიოდი,

საკმაოდ დაცილებულია. როგორც ეტყობა, მეპატრონემ ადრევე იგრძნო სივიწროვე და გააფართოვა იგი.

თავდაპირველი შესასვლელი იქვე უნდა ყოფილიყო, სადაც დღესაა (სურ. 49. ტაბ. XXXIII$_2$). იგი მოთავსებულია სამხრეთ-



სურ. 49. „სამება“. გეგმა.

დასავლეთით ორ კოშკს შორის და ხუთიოდე საფეხურისაგან შედგება. კიბიდან პატარა ეზოში მოხვდებით. ამ ეზოსთანაა დაკავშირებული საცხოვრებელი დარბაზი, ეკლესია, კოშკი და საფეხურებით — მეორე კოშკი და გალავანი.

ეკლესია მცირე ზომის ერთნავიანი, დარბაზული ნაგებობაა (სურ. 48—50, ტაბ. XXXV). ციხესთან ერთად ეკლესიაც დაზიანებულია და აღდგენილი კარნიზის დონიდან, დარბაზის გადამხურავი შეისრული კამარა და აფსიდის კონქი აღდგენილია აგურითა და ყორე ქვით. სარკმელი აფსიდში მხოლოდ ერთია. სწორკუთხა ტრაპეზი მას ქვემოთაა. თითო კვადრატული ღრმა ნიშა დარბაზის გვერდის კედლებშია. კარი დასავლეთით ცენტრშია. ფასადებს კარგად ეტყობა ორფენიანობა. ქვედა ძველი ფენა, ისე როგორც სიმაგრის კედლები, ნაგებია გრძელი სწორკუთხა ქვით, სადაც შედარებით დაცულია ჰორიზონტულობა. აგურით აღდგენილია აგრეთვე შესასვლელის გვერდები და თაღი. დანარჩენის აღსადგენად კი ძირითადად ფლეთილი ქვაა ნახმარი, მაგრამ წყობა ულაზათოა. ეს ახალი წყობა უშუალო ანალოგიას პოულობს იმ ეკლესიებთან, რომლებიც დგას ნაქალაქარის სავაჭრო კვარტალში.

ეზოს დასავლეთით მდებარეობს პატარა კოშკი (სურ. 49, ტაბ. XXXIII$_2$). იგი გარეთ ნახევარწრედაა შვერილი, შიგნით კი წრიულია (დიამეტრი=3,0 მ). კარი მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 2,5 მ სიმაღლეზე. დარჩენილია კოშკიდან მხოლოდ პირველი სართულის



სურ. 50. „სამება“. განაკვეთი ჩრდილოეთით.

ქვედა ნაწილი. კარის შიგნით საფეხური კეთდება, დანარჩენი ნაწილის კედლები კარგადაა შელესილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი წყალსაცავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

კოშკის ზედა სართულები საცხოვრებლად და თავდაცვისათვის იქნებოდა გამოყენებული. ამ ნაწილის დანგრევის გამო კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით.

ერთი მცირე ზომის კოშკი შესასვლელის მარჯვნივაა (სურ. 49. ტაბ. XXXIII$_2$). იქ ასასვლელი გალავნის გაყოლებაზეა, რომელიც იწყება ეკლესიის ახლოს და ტალანივით გადის გალავნის სქელ კედელში. ამ კოშკისგანაც პირველი სართულის ქვედა ნაწილია დარჩენილი. თავისთავად კოშკი კი პირველი მშენებლობის ჩანაფიქრი არ უნდა იყოს, რადგან იგი მერეა მიშენებული გალავანზე. მაგრამ პირველ და მეორე ფენას შორის დიდი ქრონოლოგიური განსხვავება არ ჩანს.

პატარა ეზოს, ზემო განხილული კოშკებისა და ეკლესიის გარდა, უშუალოდ ეკვრის დარბაზი, რომელსაც ტრაპეციული გეგმა

აქვს. დარბაზში შესასვლელი მდებარეობდა ეკლესიის გვერდით, განათება ხდებოდა სამი ფანჯრით, რომლებიც გარე (აღმოსავლეთის) კედელშია მოთავსებული. ფანჯრები სწორკუთხაა და გვერდები მცირედ ვიწროვდება (ტაბ. XXXV). იმავე კედლის თითქმის შუა ნაწილში მდებარეობს დიდი ბუხარი (მისი სიგანე და სიღრმეც ორ მეტრამდეა). ასეთი დიდი ბუხარი დამახასიათებელია მხოლოდ VIII—IX სს და X—XIII სს. ნაგებობებისათვის. ამათგან პირველ ჯგუფში შეიძლება დავასახელოთ ვაჩნაძიანის, ვანთას, ველისციხის სასახლეები[1], ხოლო მეორე ჯგუფიდან კვეტერისა და ბოჭორმის სასახლეები და იყალთოს აკადემია[2].

ამ ორი ჯგუფიდან პირველთან გრემის ნაგებობას მთლიანად და კერძოდ ბუხარსაც ნაკლები საერთო აქვს, მაგრამ მეორესთან კი ნამდვილად დიდ სიახლოვეს იჩენს. განსახილავი დარბაზი გვიან (გრემის ქალაქობის დროს) გადაუკეთებიათ. კერძოდ, მისთვის აგურის კამაროვანი გადახურვა გაუკეთებიათ. თავდაპირველი გადახურვის კვალი კი არ ჩანს. ვფიქრობთ, რომ მას მეორე სართულიც ექნებოდა, მაგრამ ამჟამად მისგან არაფერია დარჩენილი. ქვემოთ დამხმარე სადგომი იქნებოდა, ზემოთ კი — საცხოვრებელი.

დარბაზის დასავლეთის მონაკვეთი გამოყოფილია სეგმენტურად. მისი კედლები მკვრივი ხსნარით იყო შელესილი (სურ. 51, ტაბ. XXXIV). როგორც ეტყობა, ესეც წყალსაცავს წარმოადგენდა. ამ სიმაგრეზე წყლის მარაგი აუცილებელი იყო, რადგან ნაგებობა მთის წვერზე მდებარეობდა.

როგორც აღვნიშნეთ, ციხე-დარბაზის ფართობის გადიდების მიზნით, ჩრდილოეთით კოშკური ნაგებობა მიუდგამთ (სურ. 49, 50, ტაბ. XXIV$_2$). იგი ძველ კედელს გარედან ნახევარწრედ ედგმის, ხოლო შიგნით რვაგვერდაა. გვერდები და კუთხეები სხვადასხვა ზომისაა. გარეთ მიმართული ხუთი წახნაგიდან სამში თითო ფანჯარაა, ხოლო ორში — სწორკუთხა ნიშა. ეს სართული თავდაპირველად როგორ იყო გადახურული არ ირკვევა, მაგრამ აღდგენის დროს ზემოგანხილულ დარბაზის მსგავსად აგურის გუმბათით გადაუხურავთ.

ამ სართულის იატაკში საკმაო მჭიდროდ ჩადგმული ყოფილა დიდი ზომის ქვევრები. რადგან ციხე-დარბაზს ორი წყალსაცავი ჰქონია, ეს ქვევრები ღვინის შესანახად იქნებოდა განკუთვნილი

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 547—549, 553, 560.

[2] იქვე, გვ. 519—521, 521—523, 564—569.

(არის შემთხვევები, როდესაც კოშკებში ჩაფლულ ქვევრებს წყლის შესანახადაც იყენებდნენ). იატაკის დონეზე ჰუჰყიანი სითხის გასაყვანად საკანალიზაციო მილია დატანებული აღმოსავლეთის კედელში. მეორე ასეთივე მილი მოთავსებულია ზემოგანხილული დარბაზის



სურ. 51. „სამება“. განაკვეთი სამხრეთით და დასავლეთით.

კედელში იმავე მხარეს. ორივე მილი გარეთ მთავრდება სპეციალურად გამოთლილი ღაროვანი ქვით. იგი კედლიდან გამოშვერილია, რითაც წყალი სცილდებოდა უშუალოდ კედელს. კოშკის ზედა სართულები საცხოვრებლად და თავდაცვისათვის იქნებოდა განკუთვნილი.

კოშკის დასაკავშირებლად ძველ ნაწილთან ადრეული ნახევარწრიული ფორმის განიერი კედელი გადაუკეთებიათ. ამ განიერ კედელში შუაში ვიწრო ტალანია. დარბაზიდან ტალანში კარით შევდივართ აღმოსავლეთის კუთხიდან. ტალანი კი რთული განმანაწილებელია. დარბაზიდან შესასვლელის პირდაპირ კიბე იწყება, საიდანაც შეიძლებოდა მოხვედრა როგორც კოშკის, ისე დარბაზის მეორე სართულზე. ტალანის შუაზე კარია კოშკის პირველ სართულში შესასვლელად, ხოლო მის მეორე ბოლოში ერთ მხარეს ისევ კიბე მიემართება გალავანზე. იქიდან კი ალბათ ადიოდნენ პატარა კოშკის ზედა სართულზე და წყალსაცავის თავზე, ხოლო ტალანის მეორე კუთხე მოკავებული ჰქონდა საპირფარეშოს.

ასეთია ციხე-დარბაზის შიდა გადაწყვეტა. გარედან მას არა აქვს განსაკუთრებულად გაფორმებული ფასადები. მაგრამ ეტყობა, რომ მშენებელი კარგი გემოვნებისა ყოფილა, ძისი პროპორციები და

კედლის წყობა შესრულებულია სანიმუშოდ. მართალია, კედლები ფლეთილი ქვითაა ნაგები, მაგრამ ზოგან თლილიცაა გამოყენებული. ამ ძეგლზე მოცემული ყორექვის წყობა თავის ანალოგიებს პოულობს X—XIII სს. ისეთ ნაგებობებში, როგორიცაა: თელავის ძველი ციხე[3], კვეტერა[4], ბოჭორმა[5], იყალთო[6] და სხვა. ეს ანალოგიები კი თავისთავად მიგვითითებს ციხის წარმოშობის პირველ ეტაპზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ დათარიღებას მხარს უჭერს ციხის შიდა ტერიტორიის გათხრების დროს აღმოჩენილი მასალაც. იქაც გარკვევით ორი ფენა ჩანს. პირველი ფენა სწორედ ადრეულია, ხოლო მეორე ფენა XV—XVII სს. მიგვითითებს. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც გრემის ქალაქობის დროს აღადგინეს და გადააკეთეს ზემოგანხილული ობიექტი.

სოფ. გრემის კოშკი

გრემის ახლოს მისი ქალაქობის დროინდელი დიდი ციხესიმაგრეები არ ჩანს. ცხადია, ქალაქს ექნებოდა დამცველი ციხეები, მაგრამ, ალბათ, მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ხოლო რაც შეეხება კოშკებს მათი არსებობა აუცილებელი იყო ქვეყნის დაცვის საერთო ჯაჭვის შესაქმნელად. მათ ეკისრებოდათ აგრეთვე ამა თუ იმ პუნქტის დაცვა. ქალაქობის დროინდელი დაცვის სისტემის აღდგენა ამჟამად შეუძლებელია, რადგან ძეგლები არ შერჩენილა. ერთადერთი სიმაგრე, რომელიც ნაქალაქარის ზემოთ მდებარეობს, ესაა ე. წ. სამება. მაგრამ თავისთავად ისიც არ არის ქალაქის დროინდელი. იგი, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ ადრეული ნაგებობაა, მხოლოდ განახლებულია ქალაქობის დროს.

მდინარე ინწობას გაღმა მხარეს, სოფ. საბუეში მდგარი ორი პირამიდული კოშკი და ციხე-დარბაზი, ასევე სოფ. შილდისა და ნაფარეულის სიმაგრეებიც არ არიან ქალაქობის დროინდელნი[7].

საფიქრებელია, რომ გრემის დანგრევის შემდეგ, უშუალოდ მომდევნო პერიოდში ამ უბანში დაცვის სხვა სისტემა შეიქმნებოდა. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ სოფ. გრემის ტერიტორიაზე მდგარი კოშკი ამ ახალი სისტემის ერთ-ერთი რგოლი იყოს.

---

[3] Г. Н. Чубинашвили, დასახ. შრ. გვ. 516—519.

[4] იქვე, გვ. 519—521.

[5] იქვე, გვ. 521—523

[6] იქვე, გვ. 564—567.

[7] პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თბილისი, 1962, გვ. 54, 91, 128.

დღევანდელი სოფ. გრემის ჩრდილო-დასავლეთით, ვინმე ბარძიმაშვილის ვენახში მდგარი კოშკი პირამიდული ფორმისაა. მას ზედა ნაწილი მორღვეული აქვს და ამიტომ არ ირკვევა, თუ როგორ მთავრდებოდა. ამჟამად ოთხი სართული ჩანს ნაწილობრივ (სურ. 52, ტაბ. XXXVI$_2$).



სურ. 52. სოფ. გრემი. კოშკის გეგმები. განაკვეთი და ფასადი.

პირველი სართული სარდაფი იყო ყრუ კედლებით. მეორე სართულზე კოშკის ერთადერთი კარია აღმოსავლეთის მხარეს. შემოსასვლელს იცავს გვერდებზე დატანებული თითო სათოფე. მოპირდაპირე კედელზე ერთი და გვერდის კედლებზე ორ-ორი სათოფეა. მესამე სართულის ჩრდილო კედელზე სწორკუთხა ბუხარია, მის

მარჯვნივ ორი აგურის შეწვეტებით — გადახურული პატარა ნიშა, ხილო მის ზემოთ, გვერდზე ერთი სათოფეა. მოპირდაპირე კედელზე ერთი პატარა ოთხკუთხა ნიშაა და გვერდით კი — სათოფე. დასავლეთის კედელში მარცხნივ შეწყვილებული სათოფეა, ხოლო მარჯვნივ — ცალმაგი. აღმოსავლეთის კედელზე ისევ ცალმაგი ორი სათოფეა.

მეოთხე სართულის ზედა ნაწილი მორღვეულია. დარჩენილ კედლებში მთავარ ყურადღებას იქცევს დასავლეთის ცენტრში მდებარე მოზრდილი კარი, რომელიც გადიოდა შვერილ აივანზე. დანარჩენი კედლებიდან უნდა აღინიშნოს თითო სათოფეს არსებობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში.

კოშკის სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა და მთლიანად ჩანგრეულია. კედლები კი ნაგებია ყორე ქვით რიყის ქვის გამოყენებით. აგური (ზომით: 22×22×5; 23×23×5 სმ.) გამოყენებულია მხოლოდ კარებზე და ბუხარზე.

კოშკის ამგები და აგების დრო უცნობია. არ არის არავითარი ცნობა შერჩენილი მის აგებაზე და არც წარწერაა კედლებზე. ამიტომ, როგორც ეს კოშკების დიდი უმრავლესობის განხილვისას ხდება, აქაც შედარებას, სტილისტიკურ მონაცემებს უნდა მივმართოთ.

კოშკი ერთი დათვალიერებითაც გვიანი საუკუნეების ნაწარმოებად გამოიყურება, მაგრამ სახელდობრ, თუ რომელ საუკუნეს მიეკუთვნება, ესაა გასარკვევი. XVIII ს. მისი აგება გამორიცხულია. ასევე უნდა გამოითიშოს XVI საუკუნეც, რადგან ამას გვიკარნახებს სათოფეების სისტემა, ამგვარად, რჩება XVII საუკუნე, მხოლოდ აქაც შესაძლებელი ხდება ქრონოლოგიური ჩარჩოების შეზღუდვა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თვით კოშკის პირამიდული ფორმა ყველაზე მეტად აღნიშნულ საუკუნეზე მიუთითებს. რაც შეეხება სათოფეებს, ისინი მარტივი ფორმისაა და თანაც რაოდენობითაც ცოტაა; უმრავლეს შემთხვევაში თითოეულ მხარეს თითოა და მხოლოდ ერთგანაა შეწყვილებული სათოფე. ყველაფერი ეს, როგორც ადრევე აღგვინიშნავს XVII ს. პირველ ნახევარზე მიგვითითებს[8]. კერძოდ, ეს კოშკი უფრო ადრეა აგებული

---

8 П. П. Закарая, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли XVI—XVIII вв., Вестник Музея Грузии. XIX А. 1957, стр. 227—229.

ვიდრე ნორიოს, კარდანახის, ჩუმლაყის კოშკები[9] და უფრო ახლოს დგას ნოსტესა და ახალგორის კოშკებთან (ამ თარიღის უფრო დაკონკრეტება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კოშკი აგებულია XVII ს. დასაწყისში. ამ შემთხვევაში კოშკი გამოვიდოდა გრემის თანადროულად მის დანგრევამდე. სამწუხაროდ, ამის მტკიცება ძნელდება სათანადო მონაცემების უქონლობის გამო).

წმ. ნიკოლოზის ეკლესია სოფ. გრემში

სოფ. გრემი მდ. ინწობას მარჯვენა ნაპირზეა და უშუალოდ ემიჯნება ნაქალაქარს. ამ სოფლის ჩრდილო განაპირას, იქ სადაც ამჟამადაც სასაფლაოა, დგას მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია. მისი გარეგანი სახე გვიანი ხანის დალს ატარებს და არაფრით არ არის განსაკუთრებული იერის მქონე. ხოლო რაც შეეხება ინტერიერს, აქ ოსტატს მეტი დამოუკიდებლობა და შეიძლება ითქვას, ორიგინალობაც გამოუჩენია.

ეკლესიის გეგმა ჩაწერილია გარე მოგრძო სწორკუთხედში (სურ. 53). შიგნით სივრცობრივ ღერძს გუმბათი ქმნის. მაგრამ ვიწრო და მაღალი პროპორციები არ იძლევა სიხალვათეს. ადამიანი როგორღაც შებოჭილადაც კი გრძნობს თავს, რაც არ ითქმის გარე მასებზე. გარედან პროპორციები ნორმალურია ისე რომ, თვალში არაფერი გეცემათ.

ეკლესიის ინტერიერი ფაქტიურად სამი მონაკვეთისაგან შედგება. მთავარს, როგორც ყოველთვის, საკურთხეველი წარმოადგენს. მას მოსდევს შუაზე მდებარე გუმბათქვეშა სივრცე და ბოლოს დასავლეთის ვიწრო მონაკვეთი მთელ სიგანეზე.

საკურთხეველი სამნაწილიანია. შუა ნაწილი ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. გვერდებზე მდებარე სადიაკვნე და სამკვეთლო კარებით უერთდება ცენტრს. სამკვეთლოს მეორე შესასვლელი დარბაზიდანაც აქვს, სადიაკვნეს კი არა. ჩვეულებრივად კი პირიქით კეთდება. ამ შემთხვევაში ჩვენ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ სადიაკვნეს, როგორც წესი, შესასვლელი დარბაზიდან აქვს, ხოლო საკურთხეველთან მაკავშირებელი კარი არ არის აუცილებელი. მართალია, განსახილავი ეკლესიის არქიტექტორმა ეს წესი არ დაიცვა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი დაშავებულა, რადგან ეკლესია მცირე

---

[9] პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თბილისი, 1962, გვ. 142—152.

ზომისაა. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ დგას მრავალკუთხა ტრაპეზი. უფრო მარტივი ფორმის ტრაპეზი დგას სამკვეთლოში და იქვე თაროცაა, ხოლო სადიაკვნეში მხოლოდ თაროა, საკურთხევლის სამივე ნაწილი ნათდება თითო სარკმლით.



სურ. 53. სოფ. გრემი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. გეგმა, განაკვეთები და ფასადები.

ეკლესიის ცენტრში კვადრატულ საფუძველზე აღმართული ცილინდრული გუმბათის ყელი სწორკუთხა ვიწრო კარნიზითაა გამოყოფილი, გუმბათის ყელი მაღალია და ზედ თანაბარი ინტერვალით განლაგებულია რვა სარკმელი. თვით გუმბათი ნახევარწრიული სფეროა.

გუმბათქვეშა გვერდის მკლავები ვიწრო კამარებითაა გადახურული. დასავლეთის მკლავი კი უფრო გრძელი კამართიაა გადახურული. მკლავის გვერდებზე თაღოვანი მცირე ზომის უბეები იქმნება. ამ თაღებისა და კამარების მოხაზულობა ისრული ფორმისაა. ზემოაღნიშნულ სარკმლებს კიდევ ემატება გვერდითი და დასავლეთის მკლავში მოთავსებული თითო სარკმელი.

ეკლესიაში კარები მოწყობილია დასავლეთით და ჩრდილოეთით. როგორც ცნობილია, ქართულ ეკლესიებში გვერდებიდან ერთი კარი, თუ ეწყობა იგი, მეტწილად მოწყობილია სამხრეთით. ჩრდილოეთით კარი იშვიათ შემთხვევაში ეწყობა. ასეთი შემთხვევებიდან ძირითად განმსაზღვრელს წარმოადგენს ბუნებრივი პირობები. აქ იგულისხმება სამხრეთის მხარეს მთის ან ქარაფის სიახლოვე. განსახილავი ძეგლი ვაკეზე დგას და ეს ვარიანტი გამორიცხულია. მეორე შემთხვევას წარმოადგენს დამკვეთის საცხოვრებლის ან სოფლის მდებარეობა ჩრდილოეთით. როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელ ვარიანტთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეკლესიის ფასადები მარტივია (სურ. 53. ტაბ. XXXVII$_2$). სახურავი დაზიანებულია, კედლები შეთეთრებული, მაგრამ თავდაპირველი სახის წარმოდგენას ეს ხელს არ უშლის. გარეთა კომპოზიცია ჩვეულებრივია ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრებისათვის. ფასადები სადაა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ბრტყელ კედლებზე მხოლოდ კარისა და სარკმელების ხვრელობები მოჩანს. აღმოსავლეთის ფასადზეც ქვედა რიგში სამი სარკმელია, ზემოთ ცენტრში კი რელიეფურად ჯვარია გამოსახული. სხვებზე მეტად დასავლეთის ფასადია მორთული. აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ჯვარი, გამოსახული აღმოსავლეთის ფასადის მსგავსად, მას მოსდევს სარკმელი დამუშავების გარეშე და ქვემოთ — დეკორატიულად გადაწყვეტილი შესასვლელი. ისე როგორც ამას ვხედავთ გვიანი საუკუნეების ძეგლებზე, აქაც თაღოვანი შესასვლელი ზის მაღალ სწორკუთხედში. სწორკუთხედის ზედა ჰორიზონტს აგურის კბილანა წყობა გასდევს.

ეკლესიის ქვედა ტანი თუ მცირედაა მორთული, იგივე არ ითქმის გუმბათის ყელზე; მის მხატვრულ გადაწყვეტას მეტი ყურადღება აქვს მიქცეული. რვაწახნაგა გუმბათის ყელი უწყვეტი თაღედითაა დამუშავებული. თაღედი ლეკალური აგურითაა ამოყვანილი. ამ რელიეფური თაღედის შიგნით კონცენტრულად ისევ ნახევარწრიული თაღი გასდევს, რომელთა ძირში თაღები კუთხურად ტყდება და ვერტიკალები ქვედა სართყელამდე ეშვება. ცენტრებში მოთავ-

სებულია მაღალი და ვიწრო სარკმლები. ქვედა სართყელი ისევ ლეკალური აგურითაა ამოყვანილი, ქვის კარნიზზე მარტივი პროფილია გამოყვანილი. ასეთივე პროფილის ქვის კარნიზით მთავრდებოდა ეკლესიის ქვედა კორპუსიც. კარნიზი ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთითაა შერჩენილი, დანარჩენი კი აგურითაა აღდგენილი. გუმბათს პირამიდული დამთავრება ექნებოდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. გუმბათის ყელის მსგავსად ისიც ალბათ აგურის იქნებოდა.

ს. გრემის წმ. ნიკოლოზის ეკლესია დათარიღებული არ არის. ეკლესიის დამკვეთსა და არქიტექტორს ყველა ღონე უხმარიათ თავიანთი ღვაწლის უკვდავსაყოფად, მაგრამ მომავალი თაობის ხალხს არ მოსწონებია და მათი სახელი წაუშლია. ინტერიერის კედლებზე ოთხი წარწერიანი ქვა ყოფილა. თითო მათგანი მოთავსებულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების აღმოსავლეთის კედლებზე მაღლა. თითქმის იმავე ჰორიზონტზე დასავლეთის მკლავის ორივე მხარეს თითო წარწერიანი ქვა ყოფილა. ეს ქვები სპეციალურ ნიშებშია მოქცეული. ვიღაცას ამოუმტვრევია და ამოუკოდია წარწერები. ამ ქვებიდან არაფერია შერჩენილი დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედელზე. მოპირდაპირე ქვაზე კი მხოლოდ პირველ სტრიქონზე სამიოდე ასოა დარჩენილი. ჩრდილო მკლავის აღმოსავლეთის კედელზე ქვის ზედაპირი ღრმადაა ამომტვრეული და ღარჩენილია ექვსი სტრიქონიდან თითო-ორი ასო მარცხენა ნაპირის ვერტიკალზე. ხოლო რაც შეეხება სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთის ნიშაში მდებარე ქვას, იგი სხვებზე უკეთაა შერჩენილი, მაგრამ მისი მთლიანად აღდგენა მაინც არ ხერხდება.

ამ წარწერის დღევანდელი სახე ასეთია:

— — ⴕ — ⴕⴓ — ⴕⴕⵇ ⵃⵏ — — — — — ⵒⵏⴓ — ⵗⵃⴕ— ⵛⵏⴕ
— — ⵏⵚⵅⵏ—ⵜⵚⵏ ⵆⵇ — — — — — ⴕ ⵒ — —. ⵊⵗ ⵒ ⵏ
— ⵊ — — — — — — — — ⵃ ⵓ ⵜ-ⵏ ⵣ´ⵣⵇ
— — ⵃ — ⵏ—ⵅⵅⵃⵗ — — — — — — — ⵖⵇ ⵆ— — ⵃ— — ⵇ
— — ⴕⵛⴕ — ⴅⵛⵏⵏⵇ ⵏ — — — — ⵟⵜⵏⵇ ⵛ— — —
— — — — ⵜⵗ ⴕⵗⵏⵇ ⵏ — — — — ⵃⵏⵇ ⵇⵒ ⵛⵇ
— — — — ⵛⵅⵟⵜⵖⵇ ⵆⵇ — — — ⵗⵖⵇ ⵆⵇ — —
— — ⵜⵖⵇ ⵇⵅ—ⵜ ⵠⵇⴕⵚ — — — ⵇⵄⴕⵗⵇ ⵆⵇ ⵃⵆ

რადგან ეს წარწერები თარიღს არ შეიცავენ, ამიტომ მხოლოდ შედარებით ანალიზს უნდა დავეყრდნოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძეგლი განსაკუთრებულ მომენტებს არ შეიცავს, რომ მათზე და-

ყრდნობით შესაძლებელი იყოს ზუსტი თარიღის დადგენა. ზოგად ხაზებში ამ ძეგლის ერთი შეხედვაც კი საკმარისია, რომ იგი მოვაქციოთ XVI—XVIII სს. ძეგლების რიგში. მაგრამ რადგან ეს თარიღი ძალიან დიდი ამპლიტუდის შემცველია, ამიტომ უნდა ვეცადოთ მის შეკვეცას.

განსახილავი ეკლესიის გეგმის, კომპოზიციისა და მორთულობის ანალოგიას ჩვენ ყველაზე მეტად ვხედავთ კოჯორთან ახლოს მდებარე „ორმოცთა“ ეკლესიაში[10]. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ეს ეკლესიაც დაუთარიღებელია. ეს ეკლესია მთლიანად აგურითაა ნაგები და ზომით მცირეა გრემის ნაგებობის მსგავსად.

მეორე ნაგებობა, რომელიც, განსაკუთრებით ფასადების გადაწყვეტით, ძალიან მოგვაგონებს გრემს, ესაა ნაქალაქარ ალის ტერიტორიაზე მდგარი ეკლესია[11]. ეს ეკლესია მოცულობით დიდია აღნიშნულზე, მაგრამ ჰგავს იმით, რომ აქაც ქვედა ტანი ფლეთილი ქვითაა ნაგები, თითქმის არავითარ მორთულობას არ შეიცავს. ხოლო რვაგვერდა გუმბათის ყელი მთლიანად აგურისაა. მართალია, აქ წახნაგების რაოდენობა მეტია, მაგრამ დეკორატიული გადაწყვეტა ისეთივეა, როგორიც ვნახეთ გრემში. სამწუხაროდ, არც ეს ნაგებობაა ზუსტად დათარიღებული.

მესამე ტაძარი, რომელთანაც ანალოგიას პოულობს განსახილავი ობიექტი, ესაა ანანურის ანსამბლში შემავალი „ღვთაება“[12]. რადგან აქ გეგმისა და ინტერიერის გადაწყვეტა განსხვავებულია, ამიტომ შევადარებთ მხოლოდ გარე მასებს. ანანურის ტაძრის ქვედა ტანი ყოველგვარი მორთულობის გარეშე ყორე ქვითაა ნაგები (აგური აქა-იქ ურევია), გუმბათის ყელი კი მთლიანად აგურია. მართალია, გრემისა და ანანურის გუმბათების წახნაგების რაოდენობაში დიდი განსხვავებაა (გრემში თუ რვაა, აქ თოთხმეტია), მაგრამ მორთულობის თაღოვანი პრინციპი ერთნაირია.

ანალოგიებად მოყვანილი ძეგლებიდან მხოლოდ ანანურის ტა-

---

10 ეკლესია პირველად ვნახეთ აწ განსვენებულ რენე შმერლინგთან ერთად 1943 წელს. იგი მდებარეობს „ჭოროღლის“ ციხის ქვემოთ, ტაფობში სოფ. ღობანისკენ მიმავალ გზაზე. ეკლესიის ძრგვლივ ჩანს ნასოფლარის კვალი. Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, Окрестности Тбилиси, 1960, стр. 22, 93, таб. 30.

11 ალის ეკლესიები ჩვენ მიერ ფიქსირებული იყო 1952 წელს.

12 პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1955, გვ. 34—42, ტაბ. 6, 7.

ძარია დათარიღებული. მისი თარიღი მოქცეულია XVI ს. შუა წლებსა და 1660 წლებს შორის[13]. ამ ფარგლებში სოფ. გრემის ეკლესიის მოქცევასაც ხელს არაფერი უშლის. მხოლოდ მხედველობაშია მისაღები 1614—1616 წლებში კახეთსა და კერძოდ გრემში მომხდარი ტრაგედია. სავარაუდოა, რომ შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ, როგორც ქალაქ გრემში ჩაკვდა ცხოვრება, ისე მის მიდამოებშიც ცხოვრება კარგა ხანს ჩაჭრებოდა. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ შესაძლოა სოფ. გრემის წმ. ნიკოლოზის აგების დროდ მივიღოთ ქალაქ გრემის აყვავების ხანა, ხოლო XVII ს. ათიანი წლები ჩავთვალოთ ზედა მიჯნად.

განსახილავი ობიექტის აღწერისას ანალოგიისათვის არ გამოგვიყენებია უშუალოდ კახეთის XVI საუკუნის ეკლესიები. მაგალითად, ერთ დიდ ჯგუფს წარმოადგენს ისეთი დიდი ძეგლები, როგორიცაა — შუამთა (XVI ს. 40-იანი წლები[14]), გრემი (1565 წ.[15]), შიხიანის „აღდგომა“ (XVI ს. 70-იანი წლები[16]), ჭიკაანი (XVI ს. უკანასკნელი მეოთხედი[17]) და სხვა. ამ ძეგლებისაგან განსახილავი ობიექტი განსხვავდება ფასადების მორთულობით. თითოეული მათგანის ფასადები და გუმბათი მორთულია პრინციპულად განსხვავებული მეთოდით. ამავე დროს ყველა მათგანს აერთიანებს ერთიანი სტილისტიკური მიდგომა. მორთულობის მხრივ ერთადერთი ელემენტი, რომელიც აკავშირებს მათთან სოფელ გრემის ეკლესიას ესაა რელიეფური ჯვრები, მოთავსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე.

იმ დროის კახეთში არის სხვა გუმბათოვანი ძეგლებიც, რომლებიც ეპოქის საერთო დაღს ატარებენ, მაგრამ ზემომოყვანილი ჯგუფიდან განსხვავდებიან. ასეთებია, მაგალითად, ალვანის „სამება“[18] და მატანის „წმ. ნიკოლოზი“[19].

მიუხედავად იმისა, რომ განსახილავი ობიექტი ამ მცირე ჯგუფისაგანაც განსხვავდება, მასში მაინც კარგადაა გამოხატული თავისი ეპოქის სტილისტიკური ნიშნები.

---

13 პ. ზაქარაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 42.

14 Г. Н. Чубинашвили, დას. ნაშრომი. გვ. 446, ტაბ. 354—355.

15 იქვე, გვ. 450, ტაბ. 361, 362.

16 იქვე, გვ. 453, ტაბ. 370—371.

17 იქვე, გვ. 455, ტაბ. 376—377.

18 იქვე, გვ. 455—457, ტაბ. 380.

19 იქვე, გვ. 458—459, ტაბ. 381—382.

მდ. ინწობას მარჯვენა ნაპირზე, შიხიანის პირდაპირ ნასოფლარი, თუ ნასოფლარებია. ამჟამად მიწის ზემოთ დარჩენილია ორი ეკლესია, რომლებიც ერთმანეთისაგან შორი-შორ დგანან, მაგრამ არც ისე, რომ ერთი სოფლისა არ ყოფილიყვნენ. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ცალ-ცალკე სოფლებიც ყოფილიყო. პირველი ეკლესია, რომელიც ნაქალაქარიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრითაა დაცილებული ცალნავიანია, ხოლო უფრო მოშორებით მდგარი — გუმბათოვანი. ეს მხარე ისე, როგორც მოპირდაპირე ნაპირი მდინარისა, ვაკეა, გაშლილი. აქ ოდესღაც სოფლის არსებობაზე მიგვითითებს ნაგებობათა მცირეოდენი კვალი და ნასახლარების ორმოები.

ცალნავიანი ეკლესია მცირე ზომისაა. ეკლესიის დარბაზი სწორკუთხაა (სურ. 54). მას აღმოსავლეთით აფსიდი უერთდება. კარი ჩრდილოეთითა და დასავლეთით აქვს. ტრადიცია დარღვეულია, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ სოფელი ჩრდილოეთით მდებარეობდა, თორემ გაშლილ ადგილზე მდგარი ეკლესიის ამგებს არაფერი უშლიდა ხელს, რომ კარი სამხრეთით გაეკეთებინა. სარკმელი თითოა, გარდა ჩრდილოეთისა. დარბაზის კამარა და კონქი ოდნავ მოისროა.

ეკლესიის ფასადები ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. გვერდით ფასადებზე პილასტრებით შექმნილია სამ-სამი სწორკუთხა არე (სურ. 54, ტაბ. XXXVIII$_1$). აღმოსავლეთით ისევ პილასტრებით ორი სწორკუთხედი იქმნება. დასავლეთითაც ორი სწორკუთხედია, მაგრამ უფრო პატარები, რადგანაც კარის არე მთლიანად პილასტრს წარმოადგენს.

არავითარი დეკორი, გარდა კომპოზიციური გადაწყვეტისა. პილასტრები აგურისაა. დანარჩენი კი ყორე და რიყის ქვაა. კარნიზი კბილანა წყობის ორი რიგითაა მიღებული (ტაბ. XXXVIII$_2$). სწორკუთხა ნიშებს კი თითო რიგი მიუყვება. სახურავი კრამიტისა უნდა ყოფილიყო. ინტერიერში აგური გამოყენებულია კამარაზე და კონქზე.

ეკლესიას წარწერა არა აქვს და თარიღი მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ითქვას, რადგან სტილისტიკური ნიშნებიც გამოკვეთილად არ გააჩნია. ნაგებობის საერთო მონაცემები მხოლოდ XVI—XVII საუკუნეებზე მიუთითებს.

„ნათლისმცემლის“ ანსამბლი მდებარეობს აღწერი-

ლი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. ანსამბლი თავდაპირველად რთული ყოფილა. აქ მდგარა მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია, შემდეგ კი აუგიათ გუმბათოვანი ტაძარი. არ არის გამორიცხული, რომ იქვე მდგარი ნიშა სხვებზე ადრე იყოს აგებული.



სურ. 54. ეკლესია გრემის სამხრეთ-დასავლეთით. გეგმა, განაკვეთი სამხრეთით, სამხრეთის ფასადი და დასავლეთის ფასადი.

გუმბათოვანი ტაძარი არ არის დიდი. იგი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან კი ტოლმკლავა ჯვარია აღმოსავლეთის აფსიდით. შესასვლელი მხოლოდ დასავლეთიდანაა. ფანჯარა კი თითოა ყოველ მხარეს (სურ. 55, 56, ტაბ. XXXVII).

ქვედა კვადრატზე აღმართული გუმბათი შიგნიდან ცილინდრულია. ოთხი მაღალი სარკმელი ჯვარედინადაა განლაგებული. მცირე ზომის ერთი ოთხკუთხა სარკმელიც ჩრდილო-დასავლეთითაა. ასეთი პატარა სარკმლის მოთავსება მაღალ სარკმლებს შორის მესამე შემთხვევაა გრემსა და მის ირგვლივ მდებარე ეკლესია-სამრეკლოებ-



სურ. 55. „ნათლისმცემელი“. ეკლესიების გეგმები და განაკვეთები.

ში[20]. მისი დანიშნულება გაუგებარია. იგი სინათლის წყაროდ რომ ნდომებოდათ, მაშინ დანარჩენების ტოლს გააკეთებდნენ, სხვა კი რისთვის უნდა ყოფილიყო? სათვალთვალოდაც კი მაინცდამაინც მარჯვედ ვერ გამოიყენებდნენ, რადგან ისე მაღლაა, რომ იქ ასვლა ადვილი საქმე არ იყო (თანაც, დაზვერვა მხოლოდ ერთ მხარეს ხომ არ იქნებოდა).

საკურთხეველი სამნაწილიანია. ცენტრში ჩვეულებრივი აფსიდია, გვერდებზე კი — თითო მცირე სათავსოა. სამხრეთისა სადიაკვნოდ იქნებოდა განკუთვნილი, ჩრდილოეთისა — სამკვეთლოდ. მათ შესასვლელები მხოლოდ აფსიდიდან აქვთ, განათება კი — აღმოსავლეთიდან. ფანჯრის ქვემოთ მიდგმულია ნახევარწრიული მცირე ტრაპეზები.

გარედან ტაძარი მარტივი ფორმებისაა (ტაბ. XXXVII$_2$). ქვედა მასა კუბურია. ჯვრის მკლავები გამოვლენილია მხოლოდ სახურავის დონეზე. რადგანაც დასავლეთის მკლავი გამოყოფილი არ არის და მოკლეა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გუმბათი უკანაა გადამჯდარი. წინ კი საკურთხეველია გაშვერილი.

ტაძრის დასავლეთის კარი აგურის ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. ასევე აგურის თაღებია ფანჯრების თავზე.

ეკლესიის კედლები ნაგებია მხოლოდ ფლეთილი ქვით. დეკორს წარმოადგენს კეხის ქვემოთ ოთხივე ფასადზე მოთავსებული თითო ჯვარი. იგი მეტად მარტივადაა გაკეთებული—მიღებულია ოთხი აგურის ურთიერთდაპირისპირებით. აგურები კედლის ზედაპირიდან თითქმის ათი სანტიმეტრითაა გამოშვერილი.

ტაძრის გუმბათი კარგადაა გადაწყვეტილი. რვაგვერდას თაღოვანი ლილვები შემოფარგლავს. ნაგებია აგურისა და ყორე ქვის ლამაზი შეხამებით. მისი კარნიზი მთლიანად აგურია, კბილანად ნაწყობი. გუმბათის პირამიდული სახურავი ნაგებია ჰორიზონტულად დალაგებული აგურით. გადახურვის ასეთი კონსტრუქცია ჩვეულებრივია გვიან საუკუნეებში. ქვედა კორპუსის ჯვრის მკვლავებს კი კრამიტი ეხურა. ეკლესიის დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე ნიშებიდან ამოგდებულია ქვები. არ არის გამორიცხული ნიშებში მდგარიყო წარწერიანი ქვები.

---

20 ასეთი ფანჯრიანი გუმბათი აქვს ერთ-ერთ იმ ეკლესიას, რომელიც დგას სავაჭრო უბნის ჩრდილო ფერდობზე. მეორე გუმბათის კომპოზიციისაა, მაგრამ იგი ფაქტიურად სამრეკლოს წარმოადგენს და მდებარეობს იმავე უბნის აღმოსავლეთ ნაწილში.



სურ. 56. „ნათლისმცემელი“. გემბათოვანი ეკლესიის ფასადები და კარნიზი.

უაფსიდო ეკლესია დგას იქვე ჩრდილო-აღმოსავლეთით ორიოდე ნაბიჯზე (სურ. 55). იგი მეტად პატარაა. კარი დასავლეთითაა. გარედან იგი ოთხკუთხა ნიშაში მჯდარა, როგორც ეს მიღებულია გვიანი საუკუნეების არქიტექტურაში.

ეკლესიას თითო ფანჯარა აქვს აღმოსავლეთით და სამხრეთით. ფანჯრები შიგნიდან და გარედან სწორკუთხაა. შიგნით საკურთხევლის კედლებზე ორი მაღალი და ერთი პატარა სწორკუთხა ნიშაა. მათი გადახურვა ცერად მიდგმული ორ-ორი ქვითაა. დარბაზის გადამხური კამარა შეისრული ყოფილა. ახლა იგი ჩანგრეულია და ნაწილობრივ ეკლესიის კედლებიც დაზიანებულია. ფასადები მარტივადაა ქვით ნაგები. აღმოსავლეთის კედელში ჩასმულია მოჭიქული ქვა, როგორც დეკორი.

ცნობილია, რომ უაფსიდო ეკლესიები ძირითადად გავრცელებული იყო ქართლის მთიანეთში ისიც მცირე ხნის განმავლობაში, კერძოდ VIII—X საუკუნეებში. როგორც გამონაკლისს მას ვხვდებით გვიანაც. ანალოგიური შემთხვევა გვხვდება ჭიზიყში, სოფ. ოზაანთან ახლოს და სხვაგანაც.

ნიშა დგას იქვე, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით ათიოდე ნაბიჯზე (სურ. 55 მარცხნივ ზემოთ). მისი გეგმა კვადრატულია; დასავლეთით მდებარე ნიშა ღრმაა, წრიული თაღით გადახურული. ნიშა ნაგებია ყორე ქვით აგურის გამოყენებით. თაღი კი მთლიანად აგურია (ტაბ. XLVI_2).

ანსამბლის არც ერთ ძეგლს არა აქვს წარწერა და არც ისტორიულ წყაროებში იხსენიება. ამას გარდა, მათი არქიტექტურული ფორმები ისეთ ხელმოსაკიდს არაფერს შეიცავს, რომ დათარიღება ადვილი იყოს.

გუმბათოვანი ეკლესია XVI—XVII საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სტილისტიკურ ნიშნებს ატარებს. ასე რომ, ზოგადად იგი ამ ეპოქის ნაწარმოებია. ასეთი ნიშნებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ფასადების გადაწყვეტა. განსაკუთრებით კი ყურადღებას იპყრობს აგურის კბილანა ფორმით ნაწყობი კარნიზი და გუმბათის დამუშავება ლეკალური აგურის თაღედით. ცხადია, პრინციპში გუმბათის ასეთი გადაწყვეტა უკვე XI საუკუნეშია ჩამოყალიბებული, მაგრამ იგი გზადაგზა სახეს იცვლის და გვიან საუკუნეებში საკუთარი გადაწყვეტაა ჩამოყალიბებული. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მეტად გამარტივებულია და მიახლოებითი ანალოგია შეიძლება ვნახოთ იქვე მახლობლად სოფ. გრემში მდგარ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

არც გეგმის გადაწყვეტაა ორიგინალური, ისიც ადრეულ საუკუნეებშია დამუშავებული. ამ შემთხვევაში გარეთა სწორკუთხედში ჩასმულია ტოლმკლავა ჯვარი აღმოსავლეთით ღრმა აფსიდით. ჩვეულებრივ ქართველი ოსტატი დასავლეთის მკლავს გვერდით მკლავებზე ღრმას აკეთებს, რითაც აწონასწორებს აფსიდის სიღრმესთან და გუმბათი გრძივ ღერძზე ცენტრში ან ცოტათი აღმოსავლეთით გამოდის. აქ სწორედ ეს თავისებურება დარღვეულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეკლესიის შექმნაში შესაძლოა სომეხი ოსტატი მონაწილეობდა. უფრო მცირე მასშტაბით, მაგრამ იგივე მასებშია გადაწყვეტილი გრემის სავაჭრო უბნის ჩრდილო ფერდობზე მდგარი ეკლესია.

ყველაფერი ზემოთქმული გვავარაუდებინებს, რომ „ნათლისმცემელი“ აგებულია გრემის აყვავების ხანაში.

აღდგომის ტაძარი ნასოფლარ შიხიანში

მდ. ალაზნის აუზში, მის მარცხენა მხარეს, მდ. ინწობას შესართავთან ახლოს, გაშლილ ადგილას, ვაკეზე დგას გუმბათოვანი ტაძარი. იგი თავისი დიდი ზომისა და თეთრი ფერის გამო ყოველი მხრიდან, საკმაოდ შორი მანძილიდან მოჩანს. თვით გრემიდანაც კარგად მოჩანს, ხოლო მთავარანგელოზის ეზოდან კი მას ერთგვარად ზემოდან დავყურებთ. აქედან მდინარე ინწობას მარცხენა მხარეს თუ ჩავუყვებით სოფ. ენისელის გავლით სამიოდე კილომეტრი იქნება ძეგლამდე (ტაბ. XXXIX, XL).

ტაძარი ამჟამად განმარტოებით დგას, მის გარშემო ჩანს ნასახლარის კვალი. ადრე ამ ადგილას ყოფილა სოფ. შიხიანი, ხოლო ბოლო დროს მას შერჩენია ეკლესიის სახელი „აღდგომა“. რადგან აქ ჭაობიანი და ციებიანი ადგილი ყოფილა, დარჩენილი მცირე მოსახლეობაც აყრილა და ენისელს შეერთებია.

ადრე ამ სოფელს შიხიანი რომ რქმევია, ეს გადმოცემით იციან სოფ. ენისელისა და სოფ. გრემის ზოგიერთმა მცხოვრებმა. ასეთის სისწორე კი დასტურდება ეკლესიის კედელზე არსებული წარწერით, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ.

ისტორიულ წყაროებში ჯერჯერობით არსად ჩანს ამ სოფელზე, თუ ეკლესიაზე სხვა ცნობები, მხოლოდ რამდენიმეჯერ იხსენიება იგი XVI ს. ბოლოს რუსი ელჩების ნაწერებში. მაგრამ კონკრეტულად ეკლესიაზე იქ არაფერია ნათქვამი. მაგალითად, ერთგან წერია, რომ მეფე ალექსანდრემ (1574—1604 წწ.) „Назавтрея Рожества Хри-

стова велел поставит в Крыме в своем селе у Воскресения Христова и корм нам велел дават".[21] როგორც აქედან ჩანს, ქ. გრემის ახლო მდებარე სოფელ აღდგომაში („Воскресения Христова") მეფე დროებით ათავსებს რუს ელჩებს. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ იმ დროს ამ სოფელს უკვე შერქმევია ,,შიხიანთან"[22] ერთად მეორე სახელი—„აღდგომა".

აღდგომის ანსამბლს მთლიანად არ მოუღწევია ჩვენამდე, მაგრამ ეტყობა, რომ საკმაოდ რთული ყოფილა. თავდაპირველად აქ მდგარა მცირე ზომის ეკლესია, რომლისთვისაც დასავლეთით საძვლე მიუშენებიათ. მათთვის ჩრდილოეთიდან გალავნით მცირე ეზო მოუკავებიათ. ეკლესიის სამხრეთით კი ორსართულიანი სამრეკლო აღუმართავთ.

მართალია, სოფლის ისტორიას და მის ადგილს კახეთის ცხოვრებაში ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი ყოფილა, რადგან ეს ნაგებობები სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივთა მოთხოვნილებას და მათთვის შეუფერებელი იყო. ეს იმდენად აშკარა ყოფილა, რომ ამ საქმის გადაწყვეტაში თვით მეფე ჩარეულა. ამის შედეგია იქვე ადრევე ნაკურთხ ადგილზე ახალი დიდი ტაძრის აღმართვა.

მეფე-დედოფლის ამ დიდ საქმიანობაზე მოგვითხრობს ეკლესიის დასავლეთის კედელზე მოთავსებული წარწერა. დიდი ზომის თითქმის კვადრატული ქვა ჩასმულია ფასადის ღერძზე, ფანჯრების ქვემოთ, კარის ზემოთ. ეს ასომთავრული წარწერა მკვეთრად, მცოდნე ხელით არის ამოკვეთილი და თითქმის დაუზიანებლადაა მოღწეული (ტაბ. XLII$_1$).

მოგვყავს სტრიქონების დაცვით ეს წარწერა:

[ᲘᲨ]ᲐᲜᲐᲗᲝ:. ᲙᲔ ᲨᲔᲛᲬᲘᲐᲠᲔᲝ:. ᲮᲝᲜᲐᲝ:. ᲒᲨᲧᲝᲨᲩᲜᲔ:. ᲢᲪᲒᲐᲠ:. ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ: ᲡᲘᲛᲔᲝᲜᲘ: ᲫᲔ: ᲨᲝᲛᲧᲔᲤᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲙᲝ: ᲢᲘᲛᲗᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲢᲔᲛᲜᲘᲨᲔᲡ: ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ: ᲨᲔ ᲜᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐ: ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲐ: ᲨᲔᲛᲬᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲢᲐᲫᲐᲠᲘ: ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲙᲐᲠᲘ: ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲙᲐᲠᲘᲡ: ᲖᲔᲛᲝᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲙᲐᲠᲘᲡ: ᲥᲕᲔᲛᲝᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ: ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ: ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ: ᲥᲕᲔᲛᲝᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ: ᲖᲔᲛᲝᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ: ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ: ᲙᲐᲠᲘᲡ: ᲖᲔᲛᲝᲗ: ᲓᲐᲐᲐᲠᲔᲡᲔᲜᲐ

ⴠⴂⴗⴠⴕⴓⴓ: ⴕⴋⴀⴑⴍⴕ: ⴓⴄⴗⵜⴝⴓⴍⴑⴀⴗ:. ⴑⴓ:. ⴃⴓ: ⴠⴂⴑⴋⴂⴑⴀⴕ: ⴣⴍⴕ

ⴑⴂⴑⴑⴀⴗⴕⴄⴕ:. ⴕⴕⴋⴀⴑⴍⴕⴓ: ⴃⴂⴍⴓⴃⴂⴓⴂⴍ: ⴋⴕⴀⴕ:. ⵖⵍⴂ:

ⴓⵏⴑⵂⵍⵇⴀⵛⵏⴝⴓ:. ⵛⵍⵍⴑⴂⴍ

ⵛⵏ:. ⴋⴕⴀⴕ:. ⴝⴓⴑⵏⴂⵍⵇⴀⴀⴄⵇⴑⴑⴀⴑ: ⴑⴓ: ⵇⴓⴝⴝⴓⴀⴕⴀⴀⵇⵖⵇⵍⴑⴑ:.

ⴑⴓ: ⴠⴂⴗⵍⵖⴝⴓ: ⴣⴓⴍⵍ

ⵇ[ⴝⴓ]: ⴋⴓⴀⴀⴕⴀⴀⴃⴂⵍⵇⵍⴑⴓⴑ:. ⵆⵇⴑⵛⵂⴃⴓ:. ⴣⴍⴃⴓ:. ⵛⵍⴝⴓⴍⴑⴑⵇⵍⴑⴓⴑ:.

ⴓⴀⵛⵍⴍ:.

წარწერა ძეგლთან ერთად პირველად გამოსცა გ. ჩუბინაშვილმა. მასვე მოჰყავს წარწერა ა. შანიძის წაკითხვით[23].

პატ. მკვლევარი წერს, რომ წარწერა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი დაწერილია იამბური ლექსით, X ს. საგალობლების მიბაძვით. მართლაც, თვით წარწერა იწყება სიტყვით: „იამბიკოდ“. გაშიფრულ წარწერას ჩვენც ლექსად მოვიყვანთ ქარაგმების გახსნით:

იამბიკოდ

აღდგომაო ქრისტესო, თაყუანის გცემთ
ვითარ პეტრე და მოწაფენი ქრისტესნი
აღდგომილი რაჲ გიხილეს გალილიას.
კურთხევა მათი ეგრეთ იყავნ ჩუენ ზედა!
აწ მეცა მეფე ალექსანდრე გევედრები,
მეცხედრე ჩუენი დედოფალი თინათინ
მცველ და მფარველ გუექმენ ორსავე ცხოვრებასა“.

ამ წარწერის მეორე ნაწილი ქანწილით იწყება და იკითხება ასე[24]:

„ქ. ჩუენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმან
ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან
თინათინ აღვაშენეთ ტაძარი ესე აღდგომისა შიხიან შიგა ჩუენდა
სადღეგრძელოდ და გასამარჯებლად და მეფობისა ჩუენისა წარსამართებელად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად. ამინ“.

წარწერაში[25] გარკვეულია მხოლოდ ამგებნი. ესენია — კახეთის მეფე ალექსანდრე და მისი მეუღლე თინათინი (იგი ყოფილა ბარძიმ ამილახვრის ასული). წარწერას თარიღი არა აქვს. როგორც გ. ჩუ-

---

23 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 450—453, таб. 350. 371, 373, 374, 378.

24 აქ გახსნისას ჩვენ არ ვიცავთ სტრიქონებს.

25 წარწერა გამოცემული აქვს აგრეთვე თ. ბარნაველს (კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1962, გვ. 33—34). ჩვენი წაკითხვა ორივე გამოცემისგან ოდნავ განსხვავდება.

ბინაშვილი წერს, აქ იგულისხმება ლევანის ძე ალექსანდრე. ალექსანდრე II მეფობის ხანა კი მოდის 1574—1605 წლებს შორის. იგივე ავტორი მართებულად ავიწროებს ამ დიდ ჩარჩოებს. ჯერ ერთი, იგი სარგებლობს იმით, რომ წარწერაში პირდაპირაა ნათქვამი — მეფე აღდგომის ეკლესიას აშენებს სოფ. შიხიანში, მეორეც — რუს ელჩებთან 90-იან წლებში უკვე ნახსენებია სოფ. აღდგომა[26]. ე. ი. ამ დროს ეკლესია უკვე აგებულია. ამით ეკლესიის აგების წლები რამდენადმე შემცირდა. მკვლევარი ამით არ ჯერდება და კიდევ ამჭიდროვებს ჩარჩოებს. წარწერაში მხოლოდ მეფე და დედოფალია ნახსენები, ამიტომ მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს წარწერა იმ დროს არის შესრულებული, როდესაც მათ ჯერ კიდევ შვილები არ ჰყავდათო, ე. ი. მათი შეუღლების დასაწყისში[27]. ამით ამოიწურება აღდგომის ტაძრის ისტორია.

აღდგომის ტაძრის გეგმა მოგრძო სწორკუთხედია (სურ. 57). ცენტრში აღმართულია გუმბათი, რომელიც ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებს და დასავლეთის ორ კოლონას. საკურთხეველი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, არაჩვეულებრივად ღრმაა, რაც ადგილზე ნაკლებშესამჩნევია, ვიდრე ნახაზზე. საკურთხევლის ცენტრალური ნაწილი ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. იგი ბემისაგან განიერი პილასტრითაა გამოყოფილი. ამ პილასტრების სიგანე ზემოთკენ საფეხურებით იზრდება. ბემა საკმაოდ ღრმაა, რასაც კიდევ ემატება კუთხის პილასტრი. ყველაფერი ეს, შედარებით მცირე სიგანესთან, ღრმად გამოიყურება. ამ ცენტრალურ ნაწილთან კარით შეერთებულია მხოლოდ სამკვეთლო, როგორც უფრო ხშირად ვხვდებით სხვა ეკლესიებშიც, რაც თავისთავად ფუნქციონალური კავშირით არის გამოწვეული. სამკვეთლოს გეგმაც უჩვეულოა იმ მხრივ, რომ აფსიდი უფრო ღრმაა წინა ნაწილთან შედარებით. სადიაკვნეში კი პირიქითაა — აფსიდი ნახევარი წრეც კი არ არის, სწორკუთხა სათავსო კი ღრმაა. თანაც, აღმოსავლეთის კედელი სამკვეთლოსთან შედარებით ორჯერ სქელია. ამ სათავსოს მარჯვენა კედელში მოზრდილი სწორკუთხა ნიშაა. სამივე აფსიდში თითო ნახევარი წრით დამთავრებული სარკმელია მოთავსებული. ტრაპეზი

---

26 ელჩების ნაწერში, როდესაც ლაპარაკია ქლაქ გრემის სოფ. აღდგომაზე. აქ დანამდვილებით სოფ. შიხიანი იგულისხმება, რადგან ამ სახელის მატარებელი ეკლესია და სოფელი გრემის ახლოს სხვა არ ყოფილა.

27 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი. გვ. 453

აფსიდების ცენტრებში დგას საკურთხეველსა და სამკვეთლოში. პირველი მათგანი ცილინდრულია სწორკუთხა ფილით დამთავრებული, მეორე კი მთლიანად სწორკუთხაა. სამივე სათავსოს სწორკუთხა ნაწილი შეისრული კამარებით მთავრდება, აფსიდები კი — კონქებით. სამკვეთლო და სადიაკვნე თითო კარით უერთდება დარბაზს.



სურ. 57. შიხიანი. „აღდგომის“ ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის დარბაზის ცენტრალურ ნაწილს აგვირგვინებს გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრული წესით ხდება, მაგრამ როგორც ამას ხშირად ვხედავთ, გვიანი საუკუნეების ძეგლებზე, აფრებზე პატარა სამკუთხა ტრომპებია გამოსახული. ცილინდრული ფორმის გუმბათის ყელზე თავდაპირველად რვა მაღალი სარკმელი ყოფილა, რომელთაგან ოთხი (თითოს გამოშვებით) გვიან ამოუვსიათ. თვით გუმბათი სფერულია.

შიდა სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავები გადახურულია შეი-

სრული კამარით. თითოეული კამარა ორ-ორ თაღს ეყრდნობა, თითო მათგანი კუთხეებზე გადადის, ხოლო თითოც შუა საყრდენადაა გამოყენებული. სარკმლები სამ მხარეს ორ-ორია, ხოლო აფსიდაში — ერთი.

დასავლეთის მკლავის გვერდის ნავები შეისრული თაღებითაა გამოყოფილი. მათ ასეთივე მოხაზულობის კამარა ახურავთ და დასავლეთიდან თითო ფანჯრით ნათდება.

გუმბათქვეშა საყრდენები ცილინდრული ფორმისაა, კოლონები დაყრდნობილია კვადრატულ ბაზებზე და ზემოთ წრიდან სწორკუთხედზე გადასვლა ხდება აგურის კბილანა წყობით. კოლონების მოპირდაპირე მხარეზე მდებარე პილასტრები დეკორატულადაა გადაწყვეტილი. პილასტრი ქვემოთ თუ სწორკუთხაა, წელსზემოთ ცილინდრულია, ხოლო თაღის საწყისში ისევ კბილანები ჩნდება.

ტაძრის ინტერიერი საკმაოდ კარგადაა განათებული. ცხადია, სინათლე ადრე მეტი იქნებოდა, როდესაც გუმბათის ყველა სარკმელი მოქმედებდა. ამჟამად კედლები XIX საუკუნის ნალესობითაა დაფარული და ზედაპირი კი კირის ხსნარითაა შეთეთრებული. მართალია, მხატვრობის კვალი არ ჩანს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი თავის დროზე ფრესკით არ ყოფილიყო დაფარული. კედლები ნაგებია აგურით. ფლეთილი ქვა მხოლოდ აქა-იქაა გამოყენებული. კედლების ძირას გამავალ საფეხურზე და საკურთხევლის შემაღლებაზე.

ეკლესიას სამი მხრიდან განიერი შესასვლელი აქვს. მათი ფორმა შიგნიდან სწორკუთხაა, გარედან კი ისრული თაღებითაა გადახურული. ტაძრის ფასადები მარტივია. კედლები აგურისაა და მორთულობაც აგურითაა გამოყვანილი. ოთხივე მხარეს სამ-სამი არეა, მოპირდაპირე მხარეებზე ერთნაირი გადაწყვეტით.

აღმოსავლეთის ფასადის ძირითად დამუშავებას სამი თაღი წარმოადგენს (ტაბ. XLI$_1$). ამათგან ცენტრალური ორჯერ მაღალია გვერდითებზე. ზედა არის შუაზე დიდი ჯვარია გამოსახული აგურის წყობით. ქვემოთ კი სამი თაღია, რომელთაგან შუა სარკმელს შემოფარგლავს. გვერდის არეების თაღები სწორკუთხედებშია ჩასმული. მათ შიგნით ორ იარუსად სამ-სამი თაღია განლაგებული. აქაც ქვედა რიგის შუა თაღები სადიაკვნესა და სამკვეთლოს სარკმლებს შემოფარგლავენ.

პრინციპში ანალოგიური გადაწყვეტაა მოპირდაპირე დასავლეთის ფასადზეც, მაგრამ მთავრად ის მიუჩნევია არქიტექტორს და ამიტომ უკეთ მოურთავს, წარწერაც ხომ აქეთ მოათავსა (ტაბ. XLII$_2$).

ცენტრალური თაღის შევსება დეკორატიული ელემენტებით ქვემოდან ზემოთკენ ნელდება. ქვედა მონაკვეთი სწორკუთხად არის მოჭრილი და სამი დეკორატიული თაღით დამთავრებული. ქვემოთ კი თაღოვანი კარი მაღალ სწორკუთხედშია ჩასმული და ზემოთ კბილანათი მთავრდება. შუა ჰორიზონტი დაკავებული აქვს მაღალ სწორკუთხედებში ჩასმულ ორ სარკმელს, შუაზე პატარა ჯვრით. ხოლო ზემოთ ყველაფერი ამის დამაგვირგვინებელია დიდი ჯვარი.

ფასადის გვერდის მონაკვეთები ისევ სწორკუთხედებში მოთავსებული თაღოვანი არეებია. თაღზე უშუალოდ მიბჯენილია სარკმლის შემომსაზღვრელი ვერტიკალური ხაზები. ქვემოთ გვერდებზე კი თითო თაღია. ასეთივე პატარა თაღი განლაგებულია ქვედა ჰორიზონტზე, რომლებიც კბილანათია გამოყოფილი ზედა მონაკვეთისაგან.

გვერდის გრძელი ფასადებიც სამ-სამ თაღოვან მონაკვეთებადაა დამუშავებული. შუა მაღალი თაღის ზემოთ მოთავსებულია მაღალი და ფართო ჯვარი, შუაზე — წყვილად მდგარი სარკმლები და ქვემოთ — სწორკუთხედში ჩასმული თაღოვანი კარი, გვერდითი მონაკვეთები კი თითო განიერი თაღითაა დამუშავებული (ტაბ. XXXIX, XL).

ასეთივე კომპოზიცია მეორდება ჩრდილო ფასადზე. მხოლოდ კარის თავზე არ არის კბილანა წყობა. რაც შეეხება ფასადის მარცხენა მონაკვეთს, იგი დაზიანებულა და აღდგენის დროს უთაღოდ დატოვებიათ.

საინტერესოა აქვე იმის აღნიშვნა, რომ გუმბათქვეშა ჯვრის მკლავები სახურავს ზემოთ თითქმის ერთ დონეზე სწორკუთხედებში ჩასმული თაღებითაა დამუშავებული. ზედა ჰორიზონტზე კბილანები გასდევს, ხოლო სწორკუთხედები და თაღები რადგან კედელში ჩაღრმავებითაა გამოყვანილი, შუაზე პილასტრები იქმნება. თავისთავად ამ ადგილების თაღებით დამუშავება საფუძველს XI ს. ისეთ ძეგლებში ჰპოვებს, როგორიცაა სვეტიცხოველი[28] და სამთავისი[29]. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ საწყისი პერიოდია, შემდეგ კი მან არაერთხელ განიცადა ცვლილება და ანალოგიებს იქვე XVI ს. ისეთ ძეგლებში ვხედავთ, როგორიცაა ახალი შუამთა[30] და გრემი[31].

---

28 გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936, გვ. 91.

29 Н. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, ტაბ. 42.

30 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, ტაბ. 354, 355.

31 იქვე, ტაბ. 362, 366.

ნაგებობის ცოკოლი არ ჩანს. შეიძლება მცირე საფეხური იყო და მიწით დაიფარა. ტაძრის ქვედა ტანის დამამთავრებლად მარტივი პროფილის კარნიზი ყოფილა. კარნიზი შირიმის ქვისაა და ყველგან არაა შერჩენილი. საერთოდ, შენობა ნაგებია აგურით (ზომები: 21—23×5 სმ) უფორმო. მაგრამ ზედაპირგათლილი ქვები მხოლოდ უმნიშვნელოდაა გამოყენებული.

ნაგებობას ამთავრებს მაღალი, მოხდენილი გუმბათი (ტაბ. XL). იგი რვაგვერდაა და სიმაღლეზე ორ მონაკვეთადაა დაყოფილი. ზემო ჰორიზონტზე, იქ სადაც XII—XIII საუკუნეებში ჩუქურთმიანი ფრიზი გასდევდა, ამჟამად ჩაღრმავებული სწორკუთხედებია გამოყვანილი, ზემოთ აგურის კბილანა წყობით. გუმბათის ქვედა მონაკვეთი წახნაგების მიხედვით მაღალ სწორკუთხედებს წარმოადგენს. სწორკუთხედებს წიბოებზე ლილვები შემოფარგლავს, ზედა რიგს კი ისევ კბილანა გასდევს, სწორკუთხედის შიგნით შეისრული ფორმის დიდი თაღია, მაღალი სარკმელი კი ვიწრო სწორკუთხედშია ჩასმული, გუმბათის ყელს აქაც ლილვიანი კარნიზი ამთავრებს.

ნაგებობის ქვედა ტანი, ამჟამად ახალი კრამიტითაა დაფარული. კრამიტი ეხურა მას ალბათ XVI საუკუნეშიც. რვაგვერდა გუმბათს კი თუნუქი ახურავს. თუ რა იმალება მის ქვეშ არ ჩანს.

ტაძრის დასავლეთით მდგარი დარბაზული ეკლესია უფრო ადრეა აგებული. მას გადაკეთების კვალი ეტყობა. ამ მცირე ზომის ეკლესიაში შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდანაა. მის გადაკეთებულ ზედა ნაწილში გარედან ტიმპანია გამოყვანილი, შიგნიდან კი — არქიტრავი. აფსიდი შიგნიდან მომრგვალებულია, მაგრამ ნახევარწრეზე ნაკლებია. ასევე დაჭყლეტილის შთაბეჭდილებას ტოვებს კონქიც. საკმაოდ უფორმოა კამარაც. ოთხკუთხა ტრაპეზი მიდგმულია კედელზე. თითო სწორკუთხა ფანჯარაა აღმოსავლეთით და დასავლეთით. ერთი სწორკუთხა ნიშა აფსიდში მარჯვნივაა. კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა. ფრესკული მხატვრობის ნაშთები ასომთავრული წარწერით საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. იატაკი არ არის შერჩენილი. შემოსასვლელი შიგნიდან სწორკუთხედშია ჩამჯდარი, რაც თავისთავად გვიანფეოდალურ ხანაზე მიგვითითებს. ეკლესიის კედლები ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით, რიყის ქვის გამოყენებით. ფასადები არაფრით არ არის დამუშავებული. თავდაპირველი კარნიზი არ შერჩენია, რესტავრირებული კარნიზი კი აგურითაა ნაწყობი.

ეკლესიისათვის დასავლეთით მიუდგამთ საძვლე. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია. გადახურულია შეისრუ-

ლი კამარით, რომელიც აღმოსავლეთით ეყრდნობა დაკიდულ თაღს. სწორკუთხა, განიერი სარკმელი სამივე კედლის ცენტრშია. სამხრეთის კედლის აღმოსავლეთის ბოლოში ნიშაა, შეისრულად ორი აგურის წყობით გადახურული. კარი გარედან ისრული ფორმის თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი კოჭებითაა. შენობა ნაგებია ყორე ქვით და აგურით. ფასადები მარტივია. კარნიზი და გადახურვა აგურითაა.

ორივე შენობისათვის ჩრდილოეთით მცირე ფართობის ეზო შემოუფარგლავთ. გალავანი თითქმის დანგრეულია, მაგრამ, ჩანს, რომ შესასვლელი ყოფილა ჩრდილო კედლის დასავლეთის ბოლოში. გალავანი ნაგებია ყორე და რიყის ქვით.

სამრეკლო დგას იქვე სამხრეთით. იგი ორსართულიანი ულაზათო ხაგებობაა (ტაბ. XLI$_2$). ქვედა სართული ოთხივე მხრიდან ღიაა განიერი თაღებით. მეორე სართულის რვაგვერდა ფანჩატური ეიწრო და მაღალი თაღებითაა დამუშავებული. ორივე სართულს გუმბათოვანი გადახურვა აქვს. თაღები ყველგან ისრული ფორმისაა. კედლებიდან ქვედა კუბური მასის ნახევარი ყორე ქვითაა ნაგები. ზემოთ კი აგურია (ზომები: 22×22×4; 23×23×6 სმ). კარნიზიც აგურისაა კბილანა ფორმით ნაწყობი.

გ. ჩუბინაშვილი სამრეკლოს ათარიღებს XV ს. ბოლოთი, ან XVI ს. დასაწყისით[32].

წმ. სტეფანეს ეკლესია

წმ. სტეფანეს ეკლესია დგას გრემის დასავლეთით 4—5 კილომეტრზე მდ. ბოლიას ხეობაში. იგი მაღალ მთებს შუაა მოწყვდეული. იქ, სადაც ბოლიას შეერთვის პატარა მდინარე „მასხარა", იქცნება კონცხი, მცირედ გაშლილი ადგილით. სწორედ ამ კონცხზე მდებარეობს ამ მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები. აქ ამჟამად მანქანისათვის ძნელი მისასვლელია, მაგრამ თავის დროზე გამართული საურმე გზა იქნებოდა, რადგან აქვეა ნასოფლარი, ხოლო ზემოთ რაღაც ნიმე კილომეტრზე ახლაცაა სოფლები. თუ გზას გავაგრძელებთ მდ. ლოპოტაზე ჩავალთ, სადაც ოდესღაც სათავეს იღებდა გრემის სარწყავი არხი. ეს არხი ეკლესიას და სოფელს თუ ჩრდილოეთიდან ჩამოუდიოდა, იქვე ახლოს, მდ. ბოლიას მარჯვენა ფერდობზე აქა-

---

[32] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 451.

იქ ახლაც ჩანს იმ წყალსადენის კერამიკული მილები, რომლითაც ქალაქი გრემი წყლით მარაგდებოდა. ეს წყალსადენი ეკლესიიდან 2—3 კილომეტრზე იღებდა სათავეს. ე. წ. ქვიშათხევის ყელიდან. ისტორიას არ შემოუნახავს იმ სოფლის სახელი, სადაც ეს ეკლესია დგას და არც ხალხში დარჩენილა რაიმე გადმოცემა. ეკლესიის კედლებზეც არავითარი წარწერა არ არის დაცული.

წმ. სტეფანეს ეკლესია პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში შეიტანა გ. ჩუბინაშვილმა[33]. ავტორი ნაშრომის იმ განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია სამეკლესიანი ბაზილიკებისადმი პირველი ჯგუფის დასკვნით ნაწილში მოკლედ ეხება აღნიშნულ ნაგებობასაც. გამოცემაში მოთავსებული გეგმის მიხედვით, ეკლესია არ არის ტიპიური სამეკლესიანი ბაზილიკა, სამხრეთით მესამე ეკლესიის უქონლობის გამო. ჩვენ დავინტერესდით და მოვსინჯეთ ნანგრევებში ხომ არ იმალებოდა მესამე ეკლესიის საძირკვლის კვალი. გავწმინდეთ და სამხრეთის მხარეს საჭირო გათხრებიც ვაწარმოეთ. მაგრამ ამ მხარეს არავითარი ნაგებობის კვალი არ აღმოჩენილა, რამაც ეჭვი გააქარწყლა. ჩრდილოეთის მხარის გაწმენდამ კი დაადასტურა მთელ სიგრძეზე მინაშენის არსებობის კვალი. ამავე დროს ისიც ვაირკვა, რომ ჩრდილოეთის მხარის დასავლეთის მონაკვეთი კონსტრუქციულად დაკავშირებული არ ყოფილა ეკლესიის ძირითად კორპუსთან.

